


**გიორგი ქათამაძე GIORGI KATAMADZE**

**მზიკე დე სეშუნდო გონენს სუბიექტების  
კრიზისი დე მისი პრევენცია  
პოსტ-პანდემიკი პერიოდი სეპარტველიში**



**THE CRISIS OF SMALL AND MEDIUM  
BUSINESS SUBJECTS AND ITS PREVENTION  
IN THE POST-PANDEMIC PERIOD IN GEORGIA**

**ბიორბი ქათამაძე**

**მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების  
კრიზისი და მისი პრევენცია  
პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველოში**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭომ, 19/11/2024 წელს განიხილა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა 2022 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის - „მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების კრიზისი და მისი პრევენცია პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველოში“ (გრანტის ნომერი YS-22-548) - ფარგლებში, ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორ გიორგი ქათამაძეს მიერ მომზადებული ორენოვანი (ქართული-ინგლისური) მონოგრაფია - „მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების კრიზისი და მისი პრევენცია პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველოში“ და დაადგინა, რომ წიგნის შინაარსი აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს და საგამომცემლო საბჭო მხარს უჭერს მის გამოქვეყნებას. დადგენილების ნომერი: MES 4 24 0001492999

**ავტორი:** გიორგი ქათამაძე  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და  
ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

**რედაქტორი:** ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი,  
პროფესორი **ნათელა წიკლაშვილი**

**რეცენზენტი:** ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
**ბადრი გეზაია**

**რეცენზენტი:** ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
**გიორგი აბუსელიძე**

**რეცენზენტი:** ბულგარეთის, ქ. სვიშტოვის დ. ცენოვის  
სახელობის ეკონომიკის აკადემიის პროფესორი  
**მარიანა პეტროვა.**

**ტექნიკური რედაქტორი:** ფილოლოგიის დოქტორი, **მაია ბოლქვაძე**

**დიზაინერი:** ვახაბერ მახარაშვილი



მონოგრაფია მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის  
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.  
[გრანტის ნომერი YS-22-548]

წიგნი აიწყო-დაკაბადონდა და დაიბეჭდა  
შპს „გამომცემლობა სამშობლო“-ში



გამომცემლობა  
**სამშობლო**

თბილისი, როზაშვილის 7; შიპ.: 551 95 90 31

ISBN 978-9941-9930-5-3

# სამადლობელი

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდიდან, ათწლეულებია, ინტენსიური კვლევის საგანია, თუმცა კვლევების დიდი რაოდენობის მიუხედავად დღემდე, არც სამეცნიერო და არც ოფიციალურ საკანონმდებლო დონეზე, არ არის მკაფიო, ერთმნიშვნელოვანი განმარტება ტერმინისა თუ რას ნიშნავს მცირე და საშუალო ბიზნესი. წინამდებარე ნაშრომი გარდა ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის კომპლექსური კვლევისა ამ ტერმინის (მცირე და საშუალო ბიზნესი) განმარტების განსხვავებულ, კვლევებზე დაფუძნებულ ვერსიას გთავაზობთ.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტი YS-22-548, გრანტის დასახელება: „მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების კრიზისი და მისი პრევენცია პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველოში“.

მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს საქართველოში მეცნიერების განვითარების, ქართველ მეცნიერთა ნაშრომების საერთაშორისო მასშტაბით დისემინაციის უდიდესი შესაძლებლობისათვის და განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერისათვის. მადლობა ფონდის თითოეულ თანამშრომელს პროექტის განხორციელების პროცესში თანადგომისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს მენტორს და მონოგრაფიის რედაქტორს პროფესორ ნათელა წიკლაშვილს კვლევის პროცესში სასარგებლო რჩევების, მხარდაჭერის, საკუთარი მდიდარი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და საინტერესო მასალების მოწოდებისათვის.

მადლობა ჩემს კონსულტანტებსა და რეცენზენტებს, პროფესორებს გიორგი აბუსელიძეს და ბადრი გეზბაიას, რომლებიც მთელი პროექტის განმავლობაში მიჭერდნენ მხარს და მაძლევდნენ ღირებულ რჩევებს, მათი რეკომენდაციების საფუძველზე მნიშვნელოვნად დაიხვეწა ნაშრომი.

მადლობა ჩემს უცხოელ კონსულტანტს პროფესორ მარიანა პეტროვას, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე მნიშვნელოვნად გამდიდრდა ნაშრომში კვლევის პრაქტიკული ნაწილი და რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

მადლობა ნაშრომის მთარგმნელს, ტექნიკურ რედაქტორს, კორექტორს, ჩემს კოლეგებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან, მადლობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას პროექტის განხორციელების პროცესში თანადგომისათვის.

მადლობა კვლევაში მონაწილე კომპანიების ხელმძღვანელებს, ბუღალტრებსა და ფინანსურ მენეჯერებს სავსე სამუშაოების დროს ინტერვიუსა და კითხვარებზე დახარჯული დროისა და გულწრფელობისათვის, რომელთა პასუხებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კვლევის შედეგებსა და დასკვნებზე.

მადლობა ჩემს ოჯახსა და მეგობრებს პროექტის განხორციელების პროცესში მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებული კვლევა გრძელდება სხვადასხვა მიმართულებით და მკითხველს ვთხოვთ გაგებით მოეკიდოს ნაშრომში გაპარულ ტექნიკურ შეცდომებსა და მცირე უზუსტობებს, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,  
**გიორგი ქათამაძე**

## სარჩევი

<b>თავი I. ბიზნეს სუბიექტები-არსი და ინსტიტუციური სტრუქტურა -----</b>	<b>10</b>
1.1 მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები საქართველოში: საკანონმდებლო გარემო, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა -----	10
1.2 ბიზნეს სუბიექტების საგადასახადო რეგულირების საკითხები საქართველოში -----	25
<b>თავი II. მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების გამოწვევები პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველოში -----</b>	<b>43</b>
2.1 მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები და სახელმწიფო პოლიტიკა პანდემიისა და პოსტ-პანდემიურ პერიოდში -----	43
2.2 მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები და საბანკო პოლიტიკის გამოწვევები პანდემიისა და პოსტ-პანდემიურ პერიოდში -----	78
<b>თავი III მცირე და საშუალო ბიზნესი: რეალობა, ტრენდი, პერსპექტივა -----</b>	<b>93</b>
3.1. COVID-19 პანდემიის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე -----	93
3.2. მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები და თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება -----	113

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკებს უპრეცედენტო მასშტაბების ბიზნეს ოპერაციების განხორციელების პირობებში არაერთ გამონვევასთან უწევთ გამკლავება, რომელთა ნაწილი ხშირად პრობლემად გარდაიქმნება. ორი ცნება-გამონვევა და პრობლემა, მათი იდენტიფიცირება და ზოგჯერ ამ გამონვევების ფორს-მაჟორად ტრანსფორმაციის პროცესის ანალიზი და მისი დაძლევის გზების განსაზღვრა არის ჩვენი კვლევის ინსპირაცია.

ბიზნეს საოპერაციო ციკლში შეფერხებები, ფორს-მაჟორები, კრიზისები და სრული პარალიზების ქეისები არის ჩვენი კომპლექსური კვლევის საგანი, რომელთა ნაწილი ხშირად ბიზნეს ციკლის სტრეს ტესტის ნაირსახეობად გვევლინება და სამეცნიერო თვალსაზრისით კვლევისათვის ღირებულ მასალას წარმოადგენს.

Covid-19 პანდემია იყო და რჩება თანამედროვე მსოფლიო ბიზნესების ყველაზე ძვირ, რთულ და ხანგრძლივ სტრეს-ტესტად, რომლის დაძლევა ბიზნეს სუბიექტების დიდ ნაწილს ძალიან გაუჭირდა და დიდი ნაწილი ისევ ამ გამონვევის დაძლევის პროცესშია.

პანდემიის განმავლობაში და ასევე პოსტპანდემიურ პერიოდში ბიზნეს ოპერაციების შეუფერხებელ წარმოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო ორგანიზაციები, ფინანსური ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა. ჩვენი კვლევის აქტუალობაც სწორედ ამ კომპლექსურმა, სხვადასხვა მიმართულებით ანტიკრიზისული ღონისძიებების მრავალფეროვნებამ და მიდგომების შესწავლამ განაპირობა, რომელიც სრულიად ეყრდნობა ემპირიულ კვლევას ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიით.

კვლევის მიზანია დავადგინოთ:

- რამ იმოქმედა ბიზნესზე განსაკუთრებით ნეგატიურად?
- შეძლო თუ არა ბიზნესმა მასთან გამკლავება და როგორ?
- იყო თუ არა ბიზნესი მზად ფორს-მაჟორული მდგომარეობებისთვის?
- როგორი იყო სახელმწიფოს როლი ამ მდგომარეობაში?
- რა პოზიტიური გამოცდილება, ინოვაციური მიდგომები შეიძინა ბიზნეს სუბიექტებმა პანდემიისგან? რა პრევენციული მექანიზმები

შეიძლება შეიმუშაოს ბიზნესმა მსგავსი ფორს-მაჟორული სიტუაციების დასაძლევად?

რატომ მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები?!

Covid-19 პანდემიამ სრულიად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია ყველა სფეროზე, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ მიმართულებაზე. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობის შედეგები არის ქვეყნის ბიუჯეტის შემოსულობებისა და ეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი შემადგენელი (სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა, 2023) ასევე ეს სეგმენტი გვევლინება უდიდეს დამსაქმებლად ქვეყანაში და კიდევ ერთი მიზეზი მათი საკვლევ ობიექტად შერჩევისა არის საქართველოში სამეწარმეო რეესტრით რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტების რაოდენობაში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023) მათი მოწინავე რაოდენობა. სწორედ ამ მიზეზების გამო ბიზნესის ამ სეგმენტის გამართული ფუნქციონირება, მათი შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისათვის საყოველთაო ლოქდაუნისა და გართულებული ბიზნესის აღმინისტრირების პირობებში.

2023 წლის 5 მაისს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორმა COVID-19 პანდემია დასრულებულად<sup>1</sup> გამოაცხადა და სწორედ ესეც ზრდის ჩვენი კვლევის მნიშვნელობას ვინაიდან, ბიზნეს სუბიექტების პანდემიური და პოსტპანდემიური კომპლექსური კვლევა, ძალზედ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის, ასევე მის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

კვლევის მიზნებია:

1. გავაანალიზოთ ბიზნესის „ქცევა“ კრიზისის დროს და მისი სტრატეგიები (სპონტანური და დაგეგმილი);
2. შევისწავლოთ COVID-19-ის პანდემიის პირობებში კრიზისთან დაკავშირებული სახელმწიფო ინსტიტუტების გადაწყვეტილებები და მათი შედეგები;
3. გავაანალიზოთ სახელმწიფოს ჩარევის/რეგულირების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე COVID-19 პანდემიის პერიოდში;

<sup>1</sup> <https://www.who.int/news-room/speeches/item/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing—5-may-2023>



4. დავადგინოთ და განვსაზღვროთ საქართველოში COVID-19-ის პანდემიის პირობებში ბიზნეს სუბიექტების კრიზისის ანატომია და მისი პრევენციის გზები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

- ბიზნეს სუბიექტების კრიზისების ინდივიდუალური შემთხვევების ანალიზი „ქეის სთადი“
- სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი და მათი კლასიფიკაცია სფეროების, შებენის სიმკაცრის და აღსრულების/კონტროლის მექანიზმის მიხედვით;
- სახელმწიფო რეგულაციების ბიზნესზე გავლენის შესწავლა შემოსავლებისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;
- COVID-19-ის პანდემიის პირობებში კრიზისის ახალი ტიპოლოგიის, მახასიათებლების და სპეციფიკის განსაზღვრით, ანტიკრიზისული სტრატეგიის დაგეგმვის მეთოდების შემუშავება;

კრიზისი სხვადასხვაგვარი პროცესებისა და ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია; ამ თვალსაზრისით კრიზისი არა მარტო პრობლემის გამოვლენის, არამედ მისი გადამუშავების ფაქტორიცაა. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: კრიზისი არ არის ნეგატიური მოვლენა; კრიზისი კი არ ქრება, არამედ გადამუშავდება; კრიზისი არის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი; კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, თეორიული ჩარხო სრულიად აგებულია ინსტიტუციური ანალიზის მიდგომაზე და კვლევის მეთოდოლოგია შემდეგნაირად განისაზღვრა:

- „ქეის სთადი“ - კვლევის პროცესში გამოყენებულია შემთხვევების ანალიზის მეთოდი - COVID-19-ის პანდემიის პირობებში ბიზნეს სუბიექტების კრიზისების კონკრეტული შემთხვევების კვლევა, რომელიც არის არა მხოლოდ კრიზისის შემთხვევის შესახებ შეფასებითი ჩანაწერი, აღწერა, არამედ მისი კომპლექსური, ინფორმაციული, მასალა, რომელიც იძლევა სიტუაციის სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას.
- სტატისტიკური ანალიზი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე COVID-19-ის პანდემიის პერიოდის სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია და დადგენილია მათი დინამიკა ტენდენციები;

- შედარების მეთოდი - ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელდა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, მსგავსი ბიზნეს კატეგორიების მონაცემების შედარებითი ანალიზი კონკრეტული კომპონენტის ტენდენციების დასადგენად;
- კომპონენტური ანალიზი - აღნიშნული მეთოდით მოხდა კომპონენტების მიხედვით (მაგ.: ვალუტის კურსი, ბიზნეს ლოკაციის ფაქტორი, რეგულაცია და ა.შ.) კრიზისული ქეისების კლასიფიკაცია, ამ ფაქტორების კრიზისზე გავლენის შესწავლა ცალ-ცალკე და შემდგომ კრიზისის წარმოშობაში მათი როლისა და ადგილის განსაზღვრა;
- ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი - COVID-19-ის პანდემიის პირობებში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ბიზნესთან დაკავშირებული ოფიციალური გადაწყვეტილებები შესწავლილია და კლასიფიცირებულია.

კვლევის პროცესში გაანალიზდა სხვადასხვა ბიზნეს სუბიექტის ქეისი; ქეისების შერჩევის პროცესში გათვალისწინებულ იყო შემდეგი კრიტერიუმები:

- ა) ბიზნეს სუბიექტის საქმიანობის დაწყების პერიოდი (Covid-19 პანდემიამდე მინიმუმ 2 წელი);
- ბ) ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის არეალი (საქართველოს სხვადასხვა ქალაქები);
- გ) ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სეგმენტების მრავალფეროვნება;

# თავი I. ბიზნეს სუბიექტები-არსი და ინსტიტუციური სტრუქტურა

## 1.1 მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები საქართველოში: საკანონ- მდებლო გარემო, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა;

თანამედროვე გლობალური სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესები ბოლო წლების განმავლობაში უწყვეტი გამონვევების წინა-შეა, იცვლება ქვეყნებს შორის საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური დღის წესრიგი, რომელიც ასევე გავლენას ახდენს ეკონომიკურ ურთიერთობებზე რომლის მთავარი აქტორი ბიზნეს სუბიექტებია. ბიზნესი ეკონომიკური განვითარებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია, სწორედ ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან მისი საქმიანობის მდგრადობისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მასთან დაკავშირებული პროცესების სათანადო რეგულირება.

COVID-19 პანდემიამ სრულიად შეცვალა ბიზნესის ქცევა, რაც გამონვეული იყო ბიზნეს გარემოს ცვლილებით, თავად ბიზნეს გარემო კი სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორებისაგან შედგება, თუმცა პანდემიის შემთხვევაში გარე ფაქტორი იყო ბიზნეს პროცესების ფუნდამენტური გარდაქმნის მიზეზი.

ვიდრე უშუალოდ ბიზნეს სუბიექტების ინსტიტუციურ მახასიათებლებს შევხებით, მნიშვნელოვანია ბიზნესისადმი სახელმწიფოს ფუნდამენტური პოზიცია აღვნიშნოთ, კერძოდ, საქართველოში ეკონომიკური თავისუფლება გარანტირებულია ქვეყნის უმაღლესი კანონით, კონსტიტუციით სადაც მკაფიოდ დეკლარირებულია:

„მუხლი 6. ეკონომიკური თავისუფლება

1. ეკონომიკური თავისუფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.
2. სახელმწიფო ბრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.
3. დაუშვებელია კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება.“ (საქართველოს კონსტიტუცია , 1995)

ბიზნეს სუბიექტების სამენარმეო საქმიანობა, გარდა მოგებაზე ორიენტირებული მიზნისა, ფართო გაგებით მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციასაც შეიცავს, რომელიც სხვადასხვა სექტორის, სეგმენტის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ტიპოლოგიისა და მიდგომების ბიზ-

ნეს სუბიექტებთან მჭიდრო კავშირს, კომუნიკაციასა და თანამშრომლობას გულისხმობს. ამ ფუნქციას თუ კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობით განვიხილავთ, კერძოდ საერთაშორისო ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბიზნესი სახელმწიფოსა და საზოგადოების, ბიზნესისა და ეკონომიკური ურთიერთობებში მონაწილეების ინტერნაციონალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი აქტორია, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფუნქციასაც ასრულებს.

საქართველოს კანონით „მენარმეთა შესახებ“ სამეწარმეო საქმიანობად ითვლება ის საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს მოგების მიღებას და ახასიათებს მართლზომიერება, არაერთჯერადობა, დამოუკიდებლობა, ორგანიზებულობა (საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, 2022).

1983 წელს ევროპარლამენტმა გამოაცხადა „მცირე და საშუალო საწარმოებისა და ხელოსნობის წელი“ და წამოიწყო მთელი რიგი ინიციატივებისა მათი განვითარების წახალისების მიზნით. ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი ძირითადად ეროვნულ დონეზე ფუნქციონირებს, რადგან შედარებით მცირე ნაწილი ეწევა საზღვრისპირა ბიზნესს ევროკავშირის ფარგლებში. თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესზე გავლენას ახდენს ევროკავშირის კანონმდებლობა სხვადასხვა სფეროში, როგორცაა გადასახადები (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 110-113-ე მუხლები), კონკურენცია (მუხლები 101-დან 109-მდე TFEU) და კომპანიების სამართალი (დაფუძნების უფლება). – TFEU 49-დან 54-ე მუხლები). კომისიის განმარტება მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ რეკომენდაციაში 2003/361/EC (<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32003H0361>).

ევროკავშირის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები:

მცირე ბიზნესის აქტი:

- A “Small Business Act” for Europe- <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008DC0394&from=LV>;
- European Charter for Small Enterprises <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/european-charter-for-small-enterprises.html>;
- Modern SME Policy for Growth and Employment <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex:52005DC0551>;
- ერთიანი ბაზრის აქტი II <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52012DC0573>;

- სანარმოთა და მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამა (COSME) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32013R1287>;
- SME სტრატეგია მდგრადი და ციფრული ევროპისთვის (An SME Strategy for a sustainable and digital Europe) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM%3A2020%3A103%3AFIN>;
- VAT Directive (2006/112/EC) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32006L0112>;
- Anti-Tax Avoidance Directive (ATAD) [https://taxation-customs.ec.europa.eu/taxation/company-taxation/anti-tax-avoidance-directive\\_en](https://taxation-customs.ec.europa.eu/taxation/company-taxation/anti-tax-avoidance-directive_en);
- Working Time Directive (2003/88/EC) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32003L0088>;
- Temporary Agency Work Directive (2008/104/EC) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32008L0104>;
- Framework Directive on Safety and Health at Work (89/391/EEC) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A31989L0391>;
- Directive 2014/24/EU on public procurement <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32014L0024>;
- proposal amending Directive 2014/65/EU to make public capital markets in the EU more attractive for companies and to facilitate access to capital for SMEs <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52022PC0760&qid=1680533563578>;

ბიზნეს სუბიექტების თეორიული შესწავლა, მისი შინაარსისა და ფუნქციების, სტრატეგიებისა და მიდგომების კვლევა უწყვეტი და განგრძობადი პროცესია. სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური წყობა, ეკონომიკური სისტემა, კანონმდებლობა და ეკონომიკური კულტურა განაპირობებს ბიზნეს სუბიექტების განსხვავებულობას როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, ასევე მისი მართვისა და ზოგადად მიდგომების მხრივ. ბიზნეს სუბიექტების უნივერსალური სტრუქტურა, კლასიფიკაცია და შინაარსი არ არსებობს და მისი ცვლილება-განვითარება გლობალური ტენდენციების შეუქცევადი პროცესია.

ბიზნესის რეგულირება მოიცავს კომპლექსურ სამართლებრივ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომელსაც მთავრობები იღებენ ბიზნეს გარემოსა და ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა მიმართულებების სწორად მართვისა და კონტროლისთვის. ბიზნესის რეგულირების

უპირველესი მიზანი სამართლიანი ბიზნეს გარემოს უზრუნველყოფა, კონკურენციის, მომხმარებლებისა და გარემოს დაცვა, ბაზრის სტაბილურობა, საზოგადოების ინტერესების დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფაა.

ევროკავშირში, მოქმედი ბიზნეს სუბიექტებიდან 99%-ს წარმოადგენს მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, თუმცა მიუხედავად ამისა, ევროკავშირში პერიოდულად ხდება ახალი რეგულაციებისა და დადგენილებების მიღება, რომელიც აძლიერებს მცირე და საშუალო ზომის ბიზნეს სუბიექტებს (<https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/63/small-and-medium-sized-enterprises>), ამასთანავე პოსტ-პანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა, რომელიც თანამედროვე ბიზნეს პროცესების ძირითადი გამომწვევაა. 2008 წელს მცირე ბიზნესის აქტი („Think Small First“ A „Small Business Act“ for Europe) ადგენს პრინციპებს, რომლებიც შექმნილია ევროკავშირში მენარმეობის წახალისებისა და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის (<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008DC0394&from=LV>). 1983 წელს ევროპარლამენტმა გამოაცხადა „მცირე და საშუალო საწარმოებისა და ხელოსნობის წელი“ და წამოიწყო მთელი რიგი ინიციატივები მათი განვითარების წახალისების მიზნით. მას შემდეგ პარლამენტმა მუდმივად აჩვენა თავისი ერთგულება წახალისების ევროპული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის სამრეწველო პოლიტიკა ძირითად პრინციპად მიზნად ისახავს ევროპული ინდუსტრიის უფრო კონკურენტუნარიანობას, რათა მან შეძლოს ევროპაში მდგრადი ზრდისა და დასაქმების მამოძრავებელი როლის შენარჩუნება (<https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/61/general-principles-of-eu-industrial-policy>).

მცირე და საშუალო საწარმოთა დეფინიცია დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და სხვადასხვა ქვეყნებში მისი დამახასიათებელი ნიშნები და კლასიფიკაციის კრიტერიუმები სხვადასხვაგვარად განისაზღვრა, თუმცა ძირითადი მახასიათებელი მაინც თანამშრომელთა რაოდენობა, ბრუნვისა და აქტივების მოცულობაა. მთავრობა, ბიზნეს ასოციაციები და თავად ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მცირე და საშუალო ბიზნესის განმარტების სრულყოფაში და ზოგადად ამ სეგმენტის კონცეფციის განვითარებაში. არაერთი უცხოელი ავტორის მოსაზრებით მცირე და საშუალო ბიზნესი მრავალ ქვეყანაში განიხილება როგორც ეროვნული, ისე რეგიონული განვითარების მთავარ აქტორებად (Keskin, Senturk, Sungur, & Kiris, 2010).

ზოგადად, ბიზნესის დეფინიციასთან დაკავშირებით ბევრი განსხვავებული მოსაზრება არსებობს, თუმცა მათი სტრუქტურირება შეიძლება ძირითადი განმარტებების საფუძვლამდე რომელიცაა ეკონომიკური, სისტემური და ორგანიზაციული პერსპექტივა. Drucker, P.F. (1954) მოსაზრებით, ეკონომიკური პერსპექტივით ის ქმნის ღირებულებას, რომელსაც ყიდის მომხმარებელზე მოგების მიღების მიზნით და მთავარი როლი ღირებულების შექმნაა. ჩეკლანდის მოსაზრებით Checkland, P. (1981) სისტემური პერსპექტივით ეს არის დაინტერესებული მხარეების გაერთიანება ერთობლივი მიზნების მისაღწევად. ხოლო, (Daft, R.L. (2015) მიიჩნევს, რომ ორგანიზაციული პერსპექტივით: ეს არის ფორმალური გაერთიანება, რომლის მიზანია საქონლის ან მომსახურების მიწოდება სხვა ბიზნესზე ან ინდივიდუალურად ადამიანებზე. ყველა ამ განმარტების შეჯერებით, ვფიქრობთ ბიზნესი არის ნებისმიერი სახის ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობს მინიმუმ ორი მხარე და ერთის მიზანია საქონლის გაყიდვა ან მომსახურების გაწევა მოგების მიღების სანაცვლოდ, ხოლო მეორე მხარის მიზანია ამ საქონლის ან მომსახურების მიღება პირველი მხარის მიერ დადგენილი გადასახადის სანაცვლოდ. ან მეორე განმარტებით, ბიზნესი არის ინსტიტუციური ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს ორი მხარე და ორივეს მიზანია სარგებლის მიღება სხვადასხვა ანაზღაურებადი ფორმით.

ბიზნესის მდგრადობა მნიშვნელოვანია როგორც თავად ბიზნეს სუბიექტებისათვის, ასევე სახელმწიფოსა და ზოგადად სოციალისათვის. თითოეულ მათგანს გარდა საბოლოო მიზნისა, როგორცაა: მოგების მიღება, გადასახადების გადახდა, მომხმარებელთა დაკმაყოფილება და ზოგადად, მოთხოვნის დაკმაყოფილება ასევე აქვს უფრო დიდი სოციალური ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია დასაქმებასთან/ხელფასთან, ცხოვრების რიტმის განსაზღვრასა და მის სტაბილურად შენარჩუნებასთან.

ადამ სმიტი თავის ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ აღნიშნავს: „ის, რაც საზოგადოების ველურ მდგომარეობაში ერთი ადამიანის სამუშაოს შეადგენს, განვითარებულ საზოგადოებაში სრულდება რამდენიმე ადამიანის მიერ“ (სმიტი, 2007). საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანება და ერთიანი ძალა ყოველთვის უფრო მეტ წარმატების მიღწევას უზრუნველყოფს საბოლოოდ მოგებისა თუ თვითკმაყოფილების მიღების მიზნით. სწორედ ამის გამო საუკუნეების წინ იქმნებოდა ის გაერთიანებები მათი პირველადი ფორმებით, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში კომპანიების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ჰოლდინგების სახით საქმიანობენ.



საფინანსო ინსტიტუტები, გადასახადები, საერთაშორისო ვაჭრობა, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებები, შრომის რეგულირება, კონკურენცია და ანტიმონოპოლიური საქმიანობა, ბიზნესის კონფიდენციალურობა და პერსონალური ინფორმაცია ეს ის ძირითადი ჩამონათვალია, რომელთა ერთობლიობა ქმნის მდგრად ეკონომიკურ და კონკურენტულ ბიზნეს გარემოს რომლებიც ბიზნეს სუბიექტების წარმატებული საქმიანობისათვის უმთავრესი პირობაა. ხოლო თავად ბიზნესის სტაბილურობისათვის გარდა განვითარების სტრატეგიისა ასევე მნიშვნელოვანია ანტიკრიზისული სტრატეგიის ქონა, რომელიც უფრო და უფრო აქტუალური ხდება ბოლო წლების განმავლობაში (Katamadze G. , Business Entity's Preventive-Anti-Crisis Strategy Model and Possibilities of Its Implementation in Georgia, 2022). საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების კლასიფიკაცია/კატეგორიზაცია სხვადასხვა კრიტერიუმებისა და მათთან დაკავშირებული რეგულაციის გათვალისწინებით ხდება. სწორედ ბიზნეს სუბიექტების ეს სტატუსი განსაზღვრავს მათ საგადასახადო ვალდებულებებსა და ბიზნესის მართვის სტილს.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს კანონმდებლობაში მცირე და საშუალო საწარმოთა დეფინიციის ეტაპები და ვარიანტები წლებისა და რეგულაციების მიხედვით. ზოგადად საწარმოთა კლასიფიკაციის ისტორიულ ასპექტებზე თუ გავამახვილებთ ყურადღებას უნდა აღინიშნოს 1999 წლის 11 აგვისტოს საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული იყო მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ განმარტება, კერძოდ: „საქართველოს ტერიტორიაზე მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა და საწარმოს წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობას:

- ა) მრეწველობაში 40 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს;
- ბ) მშენებლობაში 20 დასაქმებულსა და 300 ათას ლარს;
- გ) ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 20 დასაქმებულსა და 200 ათას ლარს;
- დ) სოფლის მეურნეობაში 20 დასაქმებულსა და 150 ათას ლარს;
- ე) საბითუმო და საცალო ვაჭრობაში 10 დასაქმებულსა და 50 ათას ლარს;
- ვ) განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვასა და კულტურაში 25 დასაქმებულსა და 60 ათას ლარს;



8) სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას 15 და-საქმებულსა და 100 ათას ლარს.“ (საქართველოს კანონი „მცირე საწარ-მოთა მხარდაჭერის შესახებ“, 1999)

ამავე კანონში 2002 წლის 4 ივლისს შევიდა ცვლილება და უფრო ზო-გადად განისაზღვრა მცირე და საშუალო საწარმოთა ტიპოლოგია, კერ-ძოდ: „საქართველოს ტერიტორიაზე მცირე და საშუალო საწარმოებს გა-ნეკუთვნება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

ა) მცირე საწარმოებისათვის – 20 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს;

ბ) საშუალო საწარმოებისათვის – 100 დასაქმებულსა და 1500 ათას ლარს“ (საქართველოს კანონი, ცვლილება „მცირე საწარმოთა მხარდა-ჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, 2002), თუმცა აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 9 ივნისი-დან ეს კანონი არის ძალადაკარგული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 83-ე მუხლი სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს ავრცელებს მიკრო, მცირე და ფიქსირებული გადა-სახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებზე და ამავე კოდექსით განმარტავს მათი სტატუსის მინიჭების პირობებს, კერძოდ:

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომე-ლიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწ-ევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღ-ემატება 30 000 ლარს;

მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება პირს, თუ ეკონომიკური საქმიანობ-იდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს არ გადააჭარბა;

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს პირი, რო-მელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერ-თზე მეტ საქმიანობას (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010);

კიდევ ერთ კლასიფიკაციას გვთავაზობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, კერძოდ საწარმოთა სტატისტიკურ გამოკვლევა-ში 2017 წლიდან მონაცემები ქვეყნდება საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგიით, რომლის მიხედვითაც:

**ცხრილი 1: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საწარმოთა ზომები**

საწარმოს ტიპი	დასაქმებულთა რაოდენობა	ბრუნვის მოცულობა
<b>მსხვილი ზომის საწარმო</b>	განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 250 (ძველი მეთოდოლოგიით – 100) კაცს;	საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. (ძველი მეთოდოლოგიით – 1.5 მლნ.) ლარს;
<b>საშუალო ზომის საწარმო</b>	განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 249 კაცის ჩათვლით (ძველი მეთოდოლოგიით –20-დან 99 კაცის ჩათვლით);	საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე (ძველი მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე);
<b>მცირე ზომის საწარმო</b>	განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 49 (ძველი მეთოდოლოგიით – 19) დასაქმებულს;	და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს (ძველი მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ.);

წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017);

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №223 „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“, 2016). ამ სამსახურის დებულების მიხედვით სამენარჩეო იურიდიული პირები კლასიფიცირდება 4 კატეგორიად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

იტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობის მიზნებიდან გამომდინარე. მაგალითად:

**ცხრილი 2: აუდიტის ზედამხედველობის სამსახური-საწარმოთა კლასიფიკაცია**

კატეგორია	მახასიათებელი
I კატეგორიის საწარმო	<p>სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:</p> <p>ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონს ლარს აღემატება;</p> <p>ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს აღემატება;</p> <p>გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება.</p>
II კატეგორიის საწარმო	<p>სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:</p> <p>ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება;</p> <p>ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება;</p> <p>გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება.</p>
III კატეგორიის საწარმო	<p>სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:</p> <p>ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება;</p> <p>ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება;</p> <p>გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება.</p>
IV კატეგორიის საწარმო	<p>სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:</p> <p>ა) აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება;</p> <p>ბ) შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება;</p> <p>გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება.</p>

წყარო: ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური;

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ „სუბიექტი“ განმარტებულია როგორც: „სუბიექტი – საქარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიული პირები, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა, სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალი, ინდივიდუალური მენარმე, თუ ისინი წარმოადგენენ მესამე, მეორე ან პირველი კატეგორიის საწარმოებს“ (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური).

რაც შეეხება ევროკავშირის რეგულაციას, 2003 წელს მიღებული დოკუმენტით მცირე და საშუალო საწარმოთა კლასიფიკაცია შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

მუხლი 2: საწარმოთა კატეგორიების განმსაზღვრელი პერსონალის რაოდენობა და ფინანსური ზღვარი

1. მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა კატეგორია შედგება საწარმოებისგან, სადაც 250 ადამიანზე ნაკლებია დასაქმებული და რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 50 მილიონ ევროს და/ან წლიური ბალანსი საერთო ჯამში არაუმეტეს 43 მილიონი ევრო.

2. მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიაში მცირე საწარმო განისაზღვრება, როგორც საწარმო, რომელშიც დასაქმებულია 50-ზე ნაკლები ადამიანი და რომლის წლიური ბრუნვა ან/და წლიური ბალანსი არ აღემატება 10 მილიონ ევროს.

3. მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიაში მიკროსაწარმო განისაზღვრება, როგორც საწარმო, რომელშიც დასაქმებულია 10-ზე ნაკლები ადამიანი და რომლის წლიური ბრუნვა ან/და წლიური ბალანსი არ აღემატება 2 მილიონ ევროს (Commission Recommendation of 6 May 2003 concerning the definition of micro, small and medium-sized enterprises (Text with EEA relevance) (notified under document number C(2003) 1422), 2003).

გემოაღნიშნული განმარტებების სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის ვიზუალიზაციისათვის ჩვენს მიერ წარმოდგენილია ცხრილის სახით, სადაც ასევე ავტორის მიერ შემოთავაზებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ახალი დეფინიცია. იხ. ცხრილი N3.

**ცხრილი 3: მცირე და საშუალო საწარმოების კლასიფიკაცია-შედარება და ავტორის ვერსია**

ინსტიტუცია	სტატუსი	დასაქმებულთა რაოდენობა (აღამიანი)	ბრუნვა
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	1. მსხვილი 2. საშუალო 3. მცირე	1. აღემატება 250 2. 50-249 3. 49-მდე	1. 60 მლნ-დან 2. 12-60 მლნ 3. 12 მლნ-მდე
საქართველოს საგადასახადო კოდექსი	1. მიკრო 2. მცირე 3. ფიქსირებული		1. 30.000 ლარამდე 2. 500.000 ლარამდე
საქართველოში ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური	1. I კატეგორიის 2. II კატეგორიის 3. III კატეგორიის 4. IV კატეგორიის	1. აღემატება 250 2. არ აღემატება 250 3. არ აღემატება 50 4. არ აღემატება 10	1. აღემატება 100 მლნ 2. არ აღემატება 100 მლნ 3. არ აღემატება 20 მლნ 4. არ აღემატება 2 მლნ
ევროკავშირის რეგულაცია	1. მიკრო 2. მცირე 3. საშუალო	1. არ აღემატება 10 2. არ აღემატება 50 3. არ აღემატება 250	1. არ აღემატება 2 მლნ ევროს 2. 10 მლნ ევროს 3. 50 მლნ ევროს
ავტორის შეთავაზებული განმარტება	1. მცირე 2. საშუალო	1. არ აღემატება 10 თანამშრომელს; 2. არ აღემატება 50 თანამშრომელს;	1. არ აღემატება 1 მლნ ლარს; 2. არ აღემატება 10 მლნ ლარს;

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ (გამოქვეყნებულია [www.iem.ge](http://www.iem.ge))

სხვადასხვა კრიტერიუმებისა და კლასიფიკაციის განხილვის შედეგად მიგვაჩნია, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ზოგადად, ქვეყანაში არსებული ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები შეიძლება განიშარტოს შემდეგნაირად: **მცირეა ბიზნეს სუბიექტი, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1 მლნ ლარს და თანამშრომელთა რაოდენობა 10 დასაქმებულს, ხოლო საშუალოა ბიზნეს სუბიექტი რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 12 მლნ ლარს და თანამშრომელთა რაოდენობა 50 დასაქმებულს.**

იმდენად, რამდენადაც არ არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის ერთიანი საკანონმდებლო განმარტება, ამიტომ ამ ტერმინის დაზუსტებისა და ავტორისეული განმარტების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმ ინსტიტუციების წარმომადგენლებთან (ბანკები, ბიზნეს ასოციაციები, ფინანსური მენეჯერები, ბუღალტრები, აკადემიური წრის წარმომადგენლები) გასაუბრებამ, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი სტანდარტი/კლასიფიკაცია მცირე და საშუალო ბიზნესის ტერმინთან დაკავშირებით.

რაც შეეხება 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, საქართველოში ბიზნეს სუბიექტების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

**ცხრილი 4: GEOSTAT-ბიზნეს რეგისტრი 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით**

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით - ნაზარდი ჯამი, ათასი	530.2	567.3	593	630.3	675.7	719.7	763.1	800.1	845.9	914.7	979.9
მათ შორის: მოქმედ ორგანიზაციათა რაოდენობა, ათასი	130	133.8	163.7	166.3	164.2	164.2	173.3	173	183.1	212.7	236.4
რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა წლების მიხედვით - ნაზარდი ჯამი, ათასი	503.8	539.3	563.3	597.8	640.7	683.5	725.6	761.4	805.9	873.7	937.8
მათ შორის: მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, ათასი	124	127.5	157.4	159.7	157.6	157.8	166.9	166.7	176.8	206.3	229.9
ახლადრეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით, ათასი	46	46.5	45.3	47.8	52.2	51.3	50.4	41.2	52.2	78.7	76
მათ შორის: ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, ათასი	44.2	44.9	43.5	44.9	49.6	49.9	49	39.9	51.9	77.6	74.8

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri>

ისევე როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარებისა და ზოგადად ევროინტეგრაციისათვის განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებისათვის, ბიზნეს სუბიექტებისათვის მნიშვნელოვანია 2014 წლის 27 ივნისის გაფორმებული „ასოცირების შესახებ შეთან-

ხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, სადაც მე-5 თავის 313 მუხლში პირდაპირაა დეკლარირებული, რომ: „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას სამრეწველო და სანარმოების პოლიტიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას ყველა ეკონომიკური ოპერატორისთვის, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო სანარმოებზე, როგორც ეს შესაბამისადაა განსაზღვრული ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობებში. გაძლიერებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ევროკავშირის და საქართველოს იმ ბიზნესების ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ჩარჩოების დახვეწას, რომლებიც ევროკავშირისა და საქართველოს ფარგლებში ფუნქციონირებენ, და დაეყრდნობა ევროკავშირის სამრეწველო და მცირე და საშუალო სანარმოების პოლიტიკას, ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.“ (ასოციირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014). ასევე აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტზე საბაჟო გადასახადი გაუქმდა. გადასახადები ასევე გაუქმდა საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულ პროდუქტებზეც (როგორც ვივარტროთ ევროკავშირთან , 2023).

მნიშვნელოვანია იმ ისტორიული წინაპირობების აღნიშვნა, რაც ამ შეთანხმებამდე ხორციელდებოდა ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობებს შორის, კერძოდ:

- საქართველო– ევროკავშირის ურთიერთობები 1991-92 წლებში დაიწყო, მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. 1993 წლიდან საქართველოში ევროკავშირის ეკონომიკური დახმარების საში ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: საფინანსო დახმარება, ჰუმანიტარული დახმარება (ძირითადად სასურსათო დახმარების სახით) და ტექნიკური დახმარება;
- 1991 წელს, საბჭოთა კავშირის ყოფილი წევრი ქვეყნების დასახმარებლად ევროკავშირმა წამოიწყო ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისთვის – TACIS (Technical Assistance to the Commonwealth of Independent States), რომლის მიზანი ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნე-



ბის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიის განმტკიცების ხელშეწყობა იყო;

- TACIS-მა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. 1992-2006 წლებში, ევროკომისიამ მთლიანობაში, TACIS-ის ფარგლებში საქართველოში ასობით პროექტის განსახორციელებლად 131 მილიონამდე დახმარება გამოყო. 2007 წელს TACIS-ის პროგრამა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENPI) ჩაანაცვლა;
- 1995 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP). 2005 წელს, საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+) შეღავათები მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის. 2014 წლის იანვარში ძალაში შევიდა განახლებული GSP+, რომელიც საქართველომაც გაგრძელდა;
- 1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში;
- აღსანიშნავია, რომ 1997 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს;
- 2000 წლიდან შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ხელშეწყობა ევალებოდა. კომისიის მიერ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის #613 განკარგულებით. (<https://infocenter.gov.ge/eu-georgia/thanamshromlobis-istoria/>);



- 2010 წლის 15 ივლისს დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ასოცირების შეთანხმებაზე“, (AA) რომლის ნაწილიცაა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაც“ (DC FTA);
- 2012 წლის 28 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DC FTA);
- 2013 წლის 28-29 ნოემბერს ქ. ვილნიუსში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტი. ვილნიუსის სამიტის ფარგლებში, 29 ნოემბერს მოხდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პარაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტის ჩათვლით;
- 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DC FTA) ჩათვლით; (<https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia>).

საინტერესოა საქართველოს ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებული საერთაშორისო რეიტინგები, სადაც 2023 მონაცემებით, doing business რეიტინგების მიხედვით საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით მე-7 ადგილზეა, ხოლო ბიზნესის დაწყების სიმარტივის მიხედვით მე-2 ადგილზე. მნიშვნელოვანია ასევე სამშენებლო ნებართვის მიღების მიხედვით ქვეყნის რეიტინგი, სადაც საქართველო 21-ე ადგილზეა, ელექტროენერჯიასთან ხელმისაწვდომობის მიხედვით 42-ე, ხოლო ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მიხედვით მე-5 ადგილზე (Doing Business, 2023).

რეიტინგებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივე, რომელიც საქართველოში მინიმალურ ვადებთან და მარტივად მოსამზადებელ დოკუმენტაციასთან არის დაკავშირებული. ბიზნეს საქმიანობის დასაწყებად საქართველოში, მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ავტორიზებულ პირებს (ბიზნესობიუდსმენი, 2023). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი წარმოადგენს მონაცემთა ერთობლიობას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა, ასევე უცხო ქვეყნის სანარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდი-

ული პირის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ (იუსტიციის სახლი, 2023). სწორედ სამეწარმეო რეესტრი ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ძირითად პროცედურებს.

ვიდრე საქართველოში ბიზნეს სუბიექტები დღევანდელი სახით საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდნენ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქვეყანამ როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური მიმართულებით. მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური პროცესები ვითარდება საქართველოში, რეფორმები უწყვეტად გრძელდება როგორც ეკონომიკური ასევე ზოგადად, ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტების გარდაქმნა-ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ახალ მიდგომებსა და განვითარებას ახლავს ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ცვლილება, საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილება და სხვა მრავალი, რომელ გარემოსთანაც ადაპტირება უწევთ ბიზნეს სუბიექტებს წარმატებული საქმიანობისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაცალიოთ:

- ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის როლისა და ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში მათი წვლილის გათვალისწინებით, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასა და ბიზნესის განვითარების კონცეფციაში მნიშვნელოვანი აქცენტი სწორედ მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერებაზე უნდა გაკეთდეს.
- საერთაშორისო თეორიისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, საჭიროა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიების ტერმინის მკაფიო/ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია მოხდეს, რომელიც იქნება უნივერსალური და სხვადასხვა დოკუმენტებში მოხდება მათი ერთნაირად იმპლემენტაცია.

## **1.2. ბიზნეს სუბიექტების საგადასახადო რეგულირების საკითხები საქართველოში;**

ბიზნეს სუბიექტებისათვის დროული, სანდო და ზუსტი მონაცემები ის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ეხმარება მათ როგორც დროის გარკვეული მონაკვეთის ტრენდისა და დინამიკის შეფასებაში, ასევე სამომავლო სტრატეგიების განსაზღვრისა და ზუსტად დაგეგმვაში. საქართველოში სტატისტიკის წარმოების სახელმწიფო ინსტიტუტია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარ-

მოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას და ის ახორციელებს როგორც რეგიონულ ისე მუნიციპალურ სტატისტიკას. ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)).

2014 წელს ხელმოწერილი „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ მე-4 თავის 286 მუხლში დეკლარირებულია, რომ: „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას სტატისტიკის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს დროული, საერთაშორისო დონეზე შედარებადი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გრძელვადიანი მიზნის შესრულებას. მოსალოდნელია, რომ მდგრადი, ეფექტიანი და პროფესიონალურად დამოუკიდებელი ეროვნული სტატისტიკის სისტემა საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებს, ბიზნესებსა და დაწესებულებების მიმღებთ მიაწვდის რელევანტურ ინფორმაციას, რაც საშუალებას მისცემთ, მის საფუძველზე მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ეროვნული სტატისტიკის სისტემა დაიცავს გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს“, სტატისტიკის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის, მათ შორის, „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის“ გათვალისწინებით, ეროვნული სტატისტიკის სისტემის ევროპის სტატისტიკის ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით“. და იქვე 288-ე მუხლში დაკონკრეტებულია, რომ: „მხარეები ითანამშრომლებენ ევროპის სტატისტიკის სისტემის ფარგლებში, რომელშიც „ევროსტატი“ წარმოადგენს ევროპის სტატისტიკის ხელმძღვანელ ორგანოს“.

ქვეყანაში ბიზნეს გარემოს სრულყოფილი შესწავლის მნიშვნელოვანი კომპონენტია ბიზნეს სუბიექტებთან დაკავშირებული სტატისტიკის ანალიზი, რომელიც ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა ინფორმაციასთან სინთეზში.

ბიზნეს სუბიექტების რაოდენობისა და მათი ფინანსური მონაცემების შესახებ მონაცემები ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად ზრდადია. შეფერხება რომელიც ბიზნეს სტატისტიკის თითქმის ყველა კომპონენტს შეეხო ეს არის პანდემიის პერიოდში 2020-2021 წლები, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით თითქმის ყველა ქვეყანამ თანაბარი რთული ეკონომიკური პროცესებით გადალახა. სადაც 2024 წლის მდგომარეობით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით საქართველოში ბიზნეს სუბიექტთა რეგისტრაციის მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

**ცხრილი 5: GEOSTAT საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა რეგიონებისა და ზომების მიხედვით 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით**

რეგიონები	რეგისტრირებული სუბიექტი		აქტიური სუბიექტი									
	რაოდენობა	%	სულ		მათ შორის							
					მსხვილი		საშუალო		მცირე		ზომა უცნობია	
			რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
<b>სულ</b>	<b>1011807</b>	<b>100</b>	<b>257246</b>	<b>100</b>	<b>759</b>	<b>100</b>	<b>3259</b>	<b>100</b>	<b>232377</b>	<b>100</b>	<b>20851</b>	<b>100</b>
ქ. თბილისი	455358	45.00	113508	44.12	552	72.73	1977	60.66	101009	43.47	9970	47.82
აფხაზეთის ა.რ.	186	0.02	14	0.01	0	0.00	1	0.03	13	0.01	0	0.00
აჭარის ა.რ.	97944	9.68	28667	11.14	54	7.11	331	10.16	25891	11.14	2391	11.47
გურია	23040	2.28	5760	2.24	6	0.79	41	1.26	5254	2.26	459	2.20
იმერეთი	124435	12.30	29340	11.41	43	5.67	232	7.12	26997	11.62	2068	9.92
კახეთი	58784	5.81	14379	5.59	16	2.11	124	3.80	13229	5.69	1010	4.84
მცხეთა-მთიანეთი	19691	1.95	5578	2.17	13	1.71	55	1.69	5081	2.19	429	2.06
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	9305	0.92	2567	1.00	0	0.00	18	0.55	2324	1.00	225	1.08
სამეგრელო-ზემო სვანეთი	72624	7.18	16939	6.58	21	2.77	135	4.14	15575	6.70	1208	5.79
სამცხე-ჯავახეთი	33710	3.33	10086	3.92	7	0.92	74	2.27	9390	4.04	615	2.95
ქვემო ქართლი	73142	7.23	18524	7.20	32	4.22	181	5.55	16805	7.23	1506	7.22
შიდა ქართლი	43433	4.29	11807	4.59	15	1.98	90	2.76	10767	4.63	935	4.48
უცნობი	155	0.02	77	0.03	0	0.00	0	0.00	42	0.02	35	0.17

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/65/sakmianobis-sakheebis-mikhedvit>

მიუხედავად რეგისტრაციის დიდი რაოდენობისა, აქტიურ ბიზნეს სუბიექტთა მონაცემები დაბალია, კერძოდ სულ რეგისტრირებულ 980212 სუბიექტიდან აქტიურ საქმიანობას აგრძელებს 261449 სუბიექტი, რაც მთლიანი რაოდენობის 26,7% ია. ასევე საინტერესოა რეგიონების მიხედვით რაოდენობების შედარება, სადაც ჩანს, რომ რეგისტრირებული და აქტიური სუბიექტების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა

თბილისი, შემდეგ მოდის იმერეთი, აჭარის ა.რ., ქვემო ქართლი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და ა.შ. ასევე საინტერესო მონაცემებია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით კლასიფიკაციის შემთხვევაში, დეტალურად იხ. ცხრილი N2.

**ცხრილი 6: GEOSTAT საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და ზომების მიხედვით 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	რეგისტრირებული სუბიექტი		აქტიური სუბიექტი									
	რაოდენობა	%	სულ		მათ შორის							
					მსხვილი		საშუალო		მცირე		ზომა უცნობია	
			რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
<b>სულ</b>	<b>1011807</b>	<b>100.00</b>	<b>257246</b>	<b>100.00</b>	<b>759</b>	<b>100.00</b>	<b>3259</b>	<b>100.00</b>	<b>232377</b>	<b>100.00</b>	<b>20851</b>	<b>100.00</b>
კომერციული იურიდიული პირები	362384	35.82	78874	30.66	574	75.63	2189	67.17	71514	30.77	4597	22.05
შემლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება	350611	34.65	77729	30.22	490	64.56	2079	63.79	70590	30.38	4570	21.92
სააქციო საზოგადოება	3172	0.31	844	0.33	84	11.07	108	3.31	630	0.27	22	0.11
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2741	0.27	125	0.05	0	0.00	1	0.03	123	0.05	1	0.00
კომანდიტური საზოგადოება	186	0.02	18	0.01	0	0.00	1	0.03	17	0.01	0	0.00
კოოპერატივი	5674	0.56	158	0.06	0	0.00	0	0.00	154	0.07	4	0.02
არასამეზარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	32660	3.23	3758	1.46	70	9.22	422	12.95	3084	1.33	182	0.87
ინდივიდუალური მენარმე	604814	59.78	171282	66.58	2	0.26	15	0.46	155236	66.80	16029	76.87
სხვა	6631	0.66	703	0.27	12	1.58	46	1.41	608	0.26	37	0.18
საჯარო სამართლის სუბიექტები	5318	0.53	2629	1.02	101	13.31	587	18.01	1935	0.83	6	0.03

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/67/organizatsiul-samartlebrivi-formebis-mikhedvit>

როგორც ვხედავთ, რეგისტრირებული იურიდიული პირების რაოდენობებში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს) ლიდერობს, ხოლო ჯამურად რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობაში პირველ ადგილზე ინდივიდუალური მეწარმეები არიან.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური და სხვა რეფორმების კვალდაკვალ ინტენსიურად მიმდინარეობს ეკონომიკური მიმართულების რეფორმები. ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე და ახლა უკვე როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი საქართველოს მთავრობას რეფორმების ნაწილში გარკვეული სტანდარტების დაცვასა და მის ევრორეგულაციების შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ავალდებულებს.

უწყვეტ პროცესში მიმდინარეობს საკანონმდებლო ცვლილებები ეროვნულ კანონმდებლობაში და ასევე ხდება ახალი საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმება, რომლის მიზანი გარდა პოლიტიკურ-სოციალური მიზნებისა არის ბიზნესის ხელშეწყობა, გამარტივებული სავაჭრო ურთიერთობები და მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ბოლო წლებში დასრულებულ პროექტებთან ერთად, საყურადღებოა დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმები, რომელთა შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ოფიციალურ წყაროებსა და რესურსებში.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე აღსანიშნავია რამდენიმე მათგანი კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის დადგენილება N619-ის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა “საქართველოს 2023–2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია” და კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის 2023–2024 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის მიზანი 1. კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შესაბამისობაშია 2021-2025 წლების საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიასთან, ასევე, სტრატეგიის ამოცანა 1.1 ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება შესაბამისობაშია 2022-2025 წლების მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიასთან. მისი შემუშავება მოხდა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების (მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, და საქართველოს ეროვნული ბანკი, კერძო სექტორის წარმომადგენლების (მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟა), ამიის განვითარების ბანკის ექსპერტებისა და კონსულტანტების აქტიური ჩართულობით. ამასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, პარტნიორი სახელმწიფო უწყებების ჩართუ-



ლობით შემუშავებული საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების განხილვისა და მოსაზრებების მიღების მიზნით, სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა 2 შეხვედრა (2020 წლის აგვისტოსა და 2022 წლის ოქტომბერში) დაინტერესებულ მხარეებთან და კაპიტალის ბაზრის რეგულირებულ სუბიექტებთან. დამატებით, 2022 წლის 3 ოქტომბერს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები განთავსდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე (economy.ge). სტრატეგიისა და პროექტის შესახებ ჯამში მიღებულ იქნა 20 რეკომენდაცია, რომელთაგან 12 იქნა გათვალისწინებული, 6 ნაწილობრივ გათვალისწინებული, ხოლო 2 არ იქნა გათვალისწინებული. (<https://www.economy.ge/?page=reforms&s=17>).

საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების 2022-2028 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა სახელმწიფო საწარმოთა კაპიტალის ბაზარზე ჩართულობის გაზრდის უზრუნველსაყოფად შემდეგი აქტივობების განხორციელებას ითვალისწინებს:

- სახელმწიფო საწარმოების სტრატეგიის შემუშავება და მიღება;
- საჯარო კორპორაციების კანონის მიღება;
- კორპორაციული მიზნის მქონე განზრახვის გამოქვეყნება.

([https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/sacarmoebus\\_reforma/2\\_strategy.pdf](https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/sacarmoebus_reforma/2_strategy.pdf));

ასევე აღსანიშნავია სახელმწიფო საწარმოების ყოვლისმომცველი რეფორმა. როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ დოკუმენტში დაფიქსირებული: სახელმწიფო საწარმოების ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია წარმოადგენს საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკების საფუძველზე შემუშავებულ დოკუმენტს, რომელიც ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, განსაზღვრავს სექტორის მთავარ გამოწვევებს და მათი დაძლევის გზებს. დოკუმენტი მომზადებულია საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით და მოიცავს რეფორმის 5 ძირითად მიმართულებას, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას სექტორის 4 წლიან პერსპექტივაში განვითარებასთან დაკავშირებით. სტრატეგიის მიზანია სახელმწიფო კორპორაციების ეფექტიანობის გაზრდა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და საჯარო ფინანსების გაძლიერების უზრუნველსაყოფად რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ღონეზე გასატარებელი ღონისძიებების საფუძველზე. ის უზრუნველყოფს სა-

ხელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონის მიღებას, რომელიც შექმნის სტრატეგიაში განვირეული პრინციპებისა და რეფორმის ძირითადი მიმართულებების განხორციელების მკაფიო საკანონმდებლო საფუძველს.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების მიერ, აქტიური კონსულტაციები განხორციელდა შემდეგ ინსტიტუციებთან:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF);
- აზიის განვითარების ბანკი (ADB);
- მსოფლიო ბანკი (WB);
- ენერჯეტიკული გაერთიანება (Energy Community);
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;

2023 წლიდან სახელმწიფო საწარმოების კომპლექსური რეფორმით გათვალისწინებული აქტივობები დაიგეგმა საპილოტედ სამ სახელმწიფო კორპორაციაში: სს საქართველოს რკინიგზა, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება და შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია. ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული მაკორდინირებელი ორგანო (შემდგომში მაკორდინირებელი ორგანო) უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა შესაბამისი პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების ჩართულობას. სტრატეგიის შეფასება განხორციელდება პოლიტიკის ციკლის დასრულების ბოლო ეტაპზე, მაგრამ არაუგვიანეს 2027 წლის პირველი ნახევრისა. ([https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/sacarmoebus\\_reforma/2\\_strategy.pdf](https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/sacarmoebus_reforma/2_strategy.pdf)).

საქართველოს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე 2024 წლის სტრატეგიაში ჩამოთვლილია ის პროექტები, რომლებიც 2024 წელს უნდა განხორციელდეს, კერძოდ:

- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელებთან კომუნიკაცია ქვევითი მიდგომის გამოყენებით კანონშესაბამისობის გასაუმჯობესებლად;
- საგადასახადო დეკლარაციის წინასწარი შევსების მექანიზმის დანერგვა;
- საგადასახადო სისტემისადმი დამოკიდებულების კვლევა;
- ძირითად გადასახადებში დეკლარაციების ავტომატური კონტროლის სისტემის დანერგვა;
- საგადასახადო დეკლარაციის წინასწარი შევსების მექანიზმის დანერგვა;



- ჯარიმების ავტომატიზაცია;
- შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის (გასს) მოდერნიზაცია;
- შემოსავლების სამსახურის 2025-2030 წლების განვითარების სტრატეგიის შემუშავება;
- მდგრადი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ბიზნეს სუბიექტების მდგრად განვითარებაზე. წარმატებული სამეწარმეო საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც ქვეყნის პოლიტიკურ გარემოზე ასევე საკანონმდებლო რეგულაციებზე. საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის მიმართულეებით აღსანიშნავია შემდეგი ნორმატიული აქტები:
  - საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომელიც მიღებულია 2010 წლის 17 სექტემბერს და დღემდე მასში შეტანილია 200 ცვლილება.
  - საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, რომელიც მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს. მანამდე მოქმედი იყო ძველი ვერსია, რომელიც თარიღდება 1994 წლის 28 ოქტომბრით და 2021 წლამდე მასში შეტანილი იყო 70 ცვლილება.
  - საქართველოს საბაჟო კოდექსი, რომელიც მიღებულია 2019 წლის 28 ივნისს და დღემდე მასში შესულია 7 ცვლილება.
  - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს და მასში შესულია 123 ცვლილება.
  - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს და მასში შესულია 248 ცვლილება.
  - „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 2001 წლის 8 ივნისს და მასში შესულია 51 ცვლილება.
  - „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 2005 წლის 24 ივნისს და მასში შესულია 96 ცვლილება.
  - „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 1998 წლის 6 თებერვალს და მასში შესულია 42 ცვლილება.
  - „გადახდისუენარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 2007 წლის 28 მარტს და მასში შესულია 31 ცვლილება.
  - „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი რომელიც მიღ-

ბულია 2004 წლის 13 თებერვალს და მასში შესულია 17 ცვლილება.

ასევე პრეზიდენტის ბრძანებულებები, მთავრობის დადგენილებები, ფინანსთა მინისტრის ბრძანებები, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები და სხვა სამართლებრივი აქტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო შეთანხმებები ადმინისტრაციული ურთიერთდახმარება/ინფორმაციის გაცვლის, ორმაგი დაბეგვრისა და სხვათა შესახებ.

2021 წლის 2 აგვისტოს მიღებულ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათში ვკითხულობთ: „მენარმეთა შესახებ“ ახალი კანონის პროექტზე მუშაობა 2013 წელს, იუსტიციის სამინისტროს სათათბირო ორგანოს - კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში (რომელიც მოგვიანებით, 2016 წლის აგვისტოში, კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოდ გარდაიქმნა) შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ დაიწყო, USAID-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აქტიური ჩართულობით და მხარდაჭერით. კანონპროექტის პირველადი ვერსია სამუშაო ჯგუფის წევრი ექსპერტების მიერ მომზადდა, ხოლო შემდგომი სრულყოფის მიზნით ის იუსტიციის სამინისტროს წარედგინა“ (საქართველოს პარლამენტი, 2021). აქვე არის კანონის ცვლილების ძირითადი მიზეზი დასახელებული შემდეგი ფორმულირებით: „კანონის შემუშავების შემდგომ კორპორაციული ურთიერთობების მოცულობისა და სირთულის ზრდამ, ასევე ბიზნეს სექტორის სწრაფმა განვითარებამ, საჭირო გახადა უფრო დეტალური, თანამედროვე მოთხოვნებსა და გამომწვევებზე მორგებული რეგულაციების შემუშავება...2008 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა მენარმეები სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა, ვინაიდან ხშირად პარტნიორები ვეღარ ახერხებენ, ისარგებლონ კანონით მათთვის მინიჭებული შესაძლებლობით; წესდებები ზოგადი ხასიათისაა და არ აწესრიგებს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რის გამოც კანონით გაუთვალისწინებელი საკითხები, ფაქტობრივად, რეგულირების მიღმა რჩება, კანონი კი, რომელიც საშუალებას აძლევს სამენარმეო საზოგადოებებს, საკუთარი შეხედულებისამებრ მოაწესრიგონ სამართლებრივი ურთიერთობები, დავის წარმოშობის შემთხვევაში, ვეღარ ეხმარება მათ. ხანგრძლივი და ძვირადღირებული დავების ძირითად მიზეზად ხშირ შემთხვევაში სწორედ სუსტი წესდებები და „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული არასაკმარისი რეგულაციები

სახელდება და დღითიდღე ცხადი ხდება, რომ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო მთელ რიგ ასპექტებში საჭიროებს შევსებას, რათა ცალკეული საკითხების პარტიორთა შეთანხმებით დაურეგულირებლობის შემთხვევაში, კანონით მოხდეს ძირითადი სტანდარტების დადგენა... მოქმედ კანონში არსებული ხარვეზები განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება დაგების სასამართლოსთვის გადაცემის შემდგომ. სასამართლო პრაქტიკის კვლევა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მოქმედი კანონის ხარვეზიანობას და მიუთითებს იმაზე, რომ კანონით არასათანადოდ არის მოწესრიგებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება სასამართლოში საქმის წარმოების ხარისხსა და კორპორაციული დაგების განხილვისას მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და ამ მიმართულებით კანონმდებლის როლის გაძლიერება (საქართველოს პარლამენტი, 2021).

2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადებამ (World Health Organization, 2020) დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობაზე და მათ შორის ბიზნესის საკანონმდებლო რეგულირებაზეც. საქართველოში სრულიად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია ყველა სფეროზე, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ მიმართულებაზე. სახელმწიფოებს მოუხდა ფორს-მაჟორულ სიტუაციებში სწრაფი და მკაცრი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც უმეტესად უნივერსალური ხასიათის იყო მთელს მსოფლიოში, ვინაიდან ეფუძნებოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციებს (Katamadze G. , 2022).

პანდემიიდან ორი წლის შემდეგ, 2022 წლის თებერვლიდან, უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ შეზღუდვების ეტაპობრივად გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო, რამაც სწრაფად და მნიშვნელოვნად იმოქმედა ბიზნეს სექტორზე. დღეის მდგომარეობით კი ბიზნესი, შეიძლება ითქვას, დაუბრუნდა პანდემიამდელ მდგომარეობას და უკვე მის წინაშე ახალი გამოწვევებია, მათ შორის ბიზნესის ინსტიტუციური გაძლიერება სამომავლო ფორს-მაჟორების მართივად გადასალახად და ბიზნესის მდგრადობის უზრუნველსაყოფი სხვა ღონისძიებების გატარება.

გარდა ბიზნესის რეგისტრაციისა და სხვა ორგანიზაციული პროცესების სიმარტივისა, ბიზნეს სუბიექტებისათვის მნიშვნელოვანია ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მათ სხვადასხვა სახის შეღავათებსა და პრეფერენციებს უწესებს. ასეთებად შეიძლება განვიხილოთ სპეციალ-

ური სამეწარმეო სტატუსები და დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები. არსებობს საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი სახის გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია:

- საშემოსავლო გადასახადი.
- მოგების გადასახადი.
- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ).
- აქციზი.
- იმპორტის გადასახადი.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები დაწესებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ადგილობრივი გადასახადებია:

● **ქონების გადასახადი**

ადგილობრივი გადასახადის შემოღებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი განაკვეთების ფარგლებში, რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე (<https://old.rs.ge/4771>).

თუმცა სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები საქართველოში მოქმედ ბიზნეს სუბიექტებს განსხვავებულ საგადასახადო რეგულირებას სთავაზობს.

● **თავისუფალი ინდუსტრიული ზონები - „თიზ“.**

საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა: (შემოსავლების სამსახური, 2020).

1. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
2. ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
3. ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
4. თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები რეგულირდება საქართველოს კანონით „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, რომელიც მიღებულია 2007 წლის 3 ივლისს და მასში დღემდე შესულია 9 ცვლილება. „თიზ“-ების მთავარი მიზანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობაა. ზოგადად თავისუფალი ინდუსტრიული ზონები უზრუნველყოფს ხელსაყრელ ბიზნეს გარემოს, განვითარებულ, თანამედროვე ინფრასტრუქტურას და საგადასახადო შეღავათებს პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების წახალისებისა და ინდუსტრიული საქმიანობის ხელშეწყობისთვის. რაც შეეხება შეღავათებს საქართველოში „თიზ“-ებისთვის: თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში გადასახადებთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს საბაჟო კოდექსით.

**ცხრილი 7: „თიზ“-თან დაკავშირებული გადასახადები**

<b>მოგების გადასახადი</b>	გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან, თიზის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.
<b>დამატებული ღირებულების გადასახადი</b>	დამატებული ღირებულების გადასახადით არ იბეგრება თიზ-ში უცხოური საქონლის შეტანა და თიზ-ში განხორციელებული ოპერაციები.
<b>ქონების გადასახადი</b>	ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება
<b>იმპორტის გადასახადი</b>	იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში უცხოური საქონლის შეტანა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან შეტანა (იმპორტი) საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ) შენიშვნა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საშემოსავლო გადასახადს დაქირავებული იხდის შემოსავლის დეკლარირების საფუძველზე.

წყარო: საქართველოს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“, 2010

**ო თავისუფალი ტურისტული ზონა**

2010 წლის 2 ნოემბერს საქართველოში მიღებულ იქნა კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“, რომლის მიზანია ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ეს კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს (საქართველოს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“, 2010). ამავე კანონის მე-5 მუხლი დეტალურად განსაზღვრავს შეღავათებს:

1. ინვესტორი თავისუფლდება:

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან 15 წლის ვადით, ამ კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში;

ბ) მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებებისაგან.

2. ინვესტორს შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. ამ კანონით დადგენილი შეღავათები, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულისა, არ მოქმედებს, თუ ინვესტორი აღარ უზრუნველყოფს სასტუმროს ფუნქციონირებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ კანონი პირდაპირ განსაზღვრავს ინვესტორის წინაშე ვალდებულებებს და ამავე კანონის მე-6 მუხლში დეტალურად ჩამოთვლილია:

მუხლი 6. სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს:

ა) სასტუმროს შენობამდე შესაბამისი ინფრასტრუქტურის (გამი, წყალი, წყალარინება, ელექტროენერგია) მოწესრიგებას და საჭიროების შემთხვევაში ახლის მშენებლობას;

ბ) სასტუმროსთან მისასვლელი გზების მშენებლობას/შეკეთებას;

გ) სასტუმროს ტერიტორიის მიწის ნაკვეთის გონივრულ ფარგლებში კეთილმოწყობასა და გამწვანებას;

დ) ამ კანონით გათვალისწინებული სასტუმროსთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის სტატუსის მინიჭებას და მშენებლობის ნებართვის გამართივებული წესით გაცემას;

## **o ვირტუალური ზონა-სპეციალური რეჟიმი**

შემოსავლების სამსახურის მეთოდურ მითითებაში ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე ვკითხულობთ: „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიები განვითარება, რაც უზრუნველყოფს საქართველოში პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების შექმნას. ამასთან, ამავე კანონის მე-6 მუხლით განიმარტე-



ბა რა განეკუთვნება ვირტუალურ ზონაში საქმიანობას. კერძოდ, ასეთ საქმიანობას მიეკუთვნება იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მმართველი იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნასთან. შესაბამისად, მოგების გადასახადში საგადასახადო შეღავათის გავრცელების მიზნებისათვის არსებითია ვირტუალური ზონის პირი საქართველოს ტერიტორიაზე ქმნიდეს საინფორმაციო ტექნოლოგიებს და მის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით (მათ, შორის მომსახურების სახით მიწოდებით) იღებდეს მოგებას. რაც შეეხება პირის საქმიანობის საქართველოს ტერიტორიაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნად მიჩნევის საკითხს, აღნიშნულის მიზნებისათვის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ ვირტუალური ზონის პირი საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაქმნელად არსებითად იყენებდეს საქართველოში შესაბამისი პროფილური განხრით დაქირავებული ფიზიკური პირების შრომას - ჰყავდეს სათანადო ადამიანური რესურსები საჭირო კვალიფიკაციით. ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე ჰქონდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაქმნელად აუცილებელი შესაბამისი აქტივები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 35-36 ნაწილები განმარტავს ვირტუალური ზონის პირის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცნებას. კერძოდ, ვირტუალური ზონის პირი არის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას და მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიები არის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების შესწავლა, მხარდაჭერა, განვითარება, დიზაინი, წარმოება და დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები. ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესი, პირობები და ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მიმნიჭებელი პირი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის N49 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023).

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას, უფლებამოსილია ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მისაღებად მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს.“ (საქართველოს შემოსავლების სამსახურის მეთოდური მითითება ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე, 2022).

### o საერთაშორისო კომპანიის სტატუსი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს საერთაშორისო კომპანიის სტატუსით მოსარგებლეთ ბიზნეს სუბიექტებს. შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმით სარგებლობისთვის კი კომპანიას აუცილებელია მინიჭებული ჰქონდეს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად: „საერთაშორისო კომპანია არის საქართველოს სანარმო, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით“ (საქართველოს მთავრობა, 2020) განსაზღვრულ საქმიანობებს ახორციელებს და შემოსავალს მხოლოდ ამ საქმიანობებიდან იღებს (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010).

რაც შეეხება კონკრეტულ შეღავათებს, კანონი მას შემდეგნაირად აკონკრეტებს:

- საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5 პროცენტით იბეგრება;
- საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება;
- საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განისაზღვრება;
- საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთია 5 პროცენტი;
- საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.95-ზე გაყოფით;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ხარჯის საქართველოში გაწევის შემთხვევაში საერთაშორისო კომპანიას უფლება აქვს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით შეამციროს მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა, ამ ხარჯის ოდენობით;
- საერთაშორისო კომპანია ვათავისუფლებულია ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან, თუ ეს ქონება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნებადართული საქმიანობის განხორციელებისათვის არის გამიზნული ან გამოიყენება;



- საგადასახადო ორგანოსთვის დაქირავებულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვადასხვა ბიზნეს სუბიექტების სამართლებრივი სტატუსები მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებთან და ადმინისტრირების პროცესის სიმარტივესთანაა დაკავშირებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ბიზნესთან დაკავშირებული შეღავათები (მიკრო, მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი) ძირითადად ფიზიკურ პირებს-ინდივიდუალურ მენარმეებს ეხება, მაგრამ როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, არსებობს ასევე სხვა შეღავათიანი სტატუსები რომლებიც იურიდიულ პირებს ეხება.

„მცირე ბიზნესი“ არის მენარმე ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი, რომლის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500 ათას ლარს.

არსებობს „მიკრო ბიზნესის“ სტატუსი, მიკრობიზნესის სტატუსი ენიჭება გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს. მიკრობიზნესის სტატუსის მისანიჭებლად არ არის სავალდებულო, ის იყოს რეგისტრირებული მენარმე ფიზიკურ პირად და საკმარისია დამოუკიდებლად ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას და მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატებოდეს 30 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს, თუმცა ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში წარადგინოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს არ აქვს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის ვალდებულება (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N999 ბრძანება, მუხლი 2);

კიდევ ერთი შეღავათიანი სტატუსია „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი“, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას (საქართველოს შემოსავლების სამსახური, 2023).

საქართველოს კანონმდებლობა ბიზნეს სუბიექტებს საშუალებას აძლევს საქმიანობის შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი მარტივად მიიღონ, რაც კიდევ უფრო აადვილებს ბიზნესის ადმინისტრირებას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის შესაბამისი სტატუსის შერჩევასა და ეფექტურად საქმიანობის განხორციელებაში მნიშვნელოვანია მენეჯმენტის როლი, ვინაიდან შესაძლოა არასწორად შერჩეულმა ბიზნეს სუბიექტის სტატუსმა შემდგომი გართულებები გამოიწვიოს ბიზნესის მართვის პროცესში.

როგორც ბიზნეს სუბიექტებისათვის სხვადასხვა საგადასახადო სტატუსების ანალიზით გამოვლინდა, მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებისათვის საგადასახადო კუთხით სხვადასხვა შესაძლებლობებია ბიზნეს საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად და მისი განვითარებისათვის. გასათვალისწინებელი და აღსანიშნავია ბიზნესის ადმინისტრირების მარტივი ფორმები, რომლითაც მცირე ბრუნვების მქონე მენარმე სუბიექტს არ უწევს ყოველთვიურად დეკლარაციის წარდგენა და ასევე მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯის გაღება.

დასკვნის სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებული საქმიანობისათვის საქართველოში მნიშვნელოვანი წინაპირობებია, მათ შორის: ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სრულყოფილი კანონმდებლობა, საშეღავათო რეჟიმები, სპეციალური სტატუსები, ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროექტები, მონენსრიგებული ინფრასტრუქტურა და სხვა, თუმცა ამ სეგმენტის გაძლიერებისათვის შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებით მუშაობის გააქტიურება, კერძოდ:

- საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდამჭერი როგორც სახელმწიფო ასევე საერთაშორისო პროექტების მეტად პოპულარიზაცია, ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, რომელიც უფრო გააძლიერებს ამ სეგმენტს და გაზრდის მათ წვლილს ქვეყნის ეკონომიკაში.
- მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციური მხარდაჭერა, როგორც ბიზნესის მფლობელთა და დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების მიცემით, ასევე მათი წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიმართულებით კომპლექსური, ინტენსი-

ური ღონისძიებების დაგეგმვით. უნდა გაძლიერდეს კომუნიკაცია ბიზნესსა და ბიზნეს სექტორთან დაკავშირებულ სახელმწიფო ინსტიტუციებში, საჭიროა ბიზნესის მეტი ჩართულობა რეგულაციების შემუშავებისა და განხილვის პროცესში.

- თანამედროვე ცხოვრების რიტმისა და ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით, საჭიროა ბიზნესის მხარდაჭერა ციფრული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული კომერციის განვითარების მიმართულებით, ვინაიდან ყოველწლიურად უფრო მეტად საჭიროებს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას ბიზნესი და დიდია ელექტრონული პლატფორმების როლი წარმატებულად ბიზნესის ადმინისტრირებაში.

## თავი II. მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების გამომწვევები პოსტ-პანდემიურ პერიოდში

### 2.1. მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები და სახელმწიფო პოლიტიკა პანდემიისა და პოსტ-პანდემიურ პერიოდში;

სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთობა მუდმივად არის ცხარე დისკუსიებისა და სხვადასხვა სამეცნიერო კვლევების ინსპირაცია. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტირი და შიდა პოლიტიკური გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, ისევე როგორც ეკონომიკური ცვლილებები პირდაპირპროპორციულად მოქმედებენ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე. პოლიტიკისა და ეკონომიკის ეს მჭიდრო და ურთიერთგავლენიანი დამოკიდებულება ქმნის რეგულირებულ სივრცეს ქვეყანაში, სადაც ბიზნეს სუბიექტებს უწევთ საქმიანობა.

ბიზნესი, როგორც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი, როგორც სამინაო, ასევე საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა. სახელმწიფო პოლიტიკის როლი, ისევე როგორც ბიზნეს სუბიექტების მნიშვნელობა უდიდესია ეკონომიკური განვითარების პროცესსა და შედეგებში, ამიტომაც პოლიტიკური სტაბილურობა მნიშვნელოვანია ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის. ცხოვრების დონის განვითარების კვალდაკვალ იზრდება ადამიანთა მოთხოვნილება სხვადასხვა ნივთებზე, მომსახურებაზე და ა.შ. სწორედ ეს პროგრესი განაპირობებს ბიზნესის შეუქცევად განვითარებას და მისი ფაქტორის კიდევ უფრო გაძლიერებას, რომელიც სათანადო, თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენტული ბიზნეს გარემოთი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ.

ზოგადად, ბიზნეს სუბიექტების წარმატებული საქმიანობა და პოზიტიური შედეგები დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მაგრამ ძირითადი რაც ბიზნესს სჭირდება არის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო, რაც თავის თავში მოისაზრებს: ქვეყნის დადებით საერთაშორისო იმიჯს, სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს, მიმზიდველ ბიზნეს რეგულაციებს, სახელმწიფო პროგრამების ორიენტირს ბიზნესის განვითარებისათვის და

სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას. თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების მხარდამჭერი ქვეყნის პასუხისმგებლიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფა, დაბალი გადასახადები და ზოგადად მდგრადად განვითარებადი ეკონომიკური პროცესების ხელშეწყობა წარმოადგენს.

სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა შესაძლებელია მრავალმხრივი და კომპლექსური იყოს და ის უშუალოდ მოიცავდეს რეგულაციებთან, გადასახადებთან, სუბსიდიებთან, საერთაშორისო ვაჭრობასა და ცნობადობის მრდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, თუმცა ორივე მხარე მაქსიმალურად იცავს ფორმალობას და ფრთხილად იცავენ საკუთარი ინტერესების საზღვრებს ამ ურთიერთობებში. ბიზნესის მიზანი ზოგადად მოგების მაქსიმიზაციაა, სახელმწიფოს მიზანი ბიზნესთან კი ეკონომიკის განვითარება, დასაქმება და საბიუჯეტო შემოსავლების მრდაა. ბიზნესის ქმედება ამ მიზნის მისაღწევად არის სათანადო პროდუქციის ქონა, კონკურენტუნარიანი ფასების შეთავაზება, კარგი რეპუტაცია მომხმარებლებში და ბიზნესის კარგი ადმინისტრირებაა. სახელმწიფოს ქმედება მიზნის მისაღწევად კი არის სათანადო რეგულაციების ქონა, კარგი საგადასახადო ადმინისტრირება, ბიზნესის მხარდამჭერა და ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა.

სტანდარტულ შემთხვევაში, სახელმწიფო-ბიზნესის ურთიერთობა არის კონკრეტული ტიპი, რომელიც, პირველ რიგში, ბიზნესის საკანონმდებლო რეგულირებითა და საგადასახადო ადმინისტრირებით შემოიფარგლება; საბოლოო ჯამში, პარტნიორობის ეს ეტაპი განსაზღვრავს პროცედურების სტრუქტურას, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს როგორ ვითარდება ბიზნესი ან როგორ უმკლავდება ის გადასახადს პრობლემებს. ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, მათი კომუნიკაციის ფორმა, სტანდარტი და ინტენსივობა იყო, არის და ყოველთვის იქნება განხილვის საგანი მეცნიერთა, პრაქტიკოსთა, ბიზნეს და სახელმწიფო წრეებში. თამაშის წესებს მთავრობა განსაზღვრავს, რომელიც ასევე ზრუნავს მათ ზედმინევით დაცვაზე. ბიზნეს სუბიექტები მოქმედებენ ამ წესებით, რომლებიც შეიძლება დროდადრო შეიცვალოს, მაგრამ, როგორც წესი, თანმიმდევრულია, გარდა კრიზისის შემთხვევებისა და გაუთვალისწინებელი გარემოებებისა.

ბოლოდროინდელი კრიზისებისა და ფორსმაჟორული მოვლენების პირობებში (განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი და ა.შ.), რომლებმაც გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკასა და

ფინანსურ-ეკონომიკურ სისტემებზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს როლი და ფუნქცია ბიზნეს სექტორის მიერ ამ პროცესების დაძლევაში. ეს სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებში, სუბსიდიებში, შეღავათებში და ა.შ. გამოიხატა. ბიზნეს სუბიექტების წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მაგრამ მთავარი, რაც ბიზნესს სჭირდება არის კარგი ეკონომიკური გარემო, რომელიც მოიცავს: ქვეყნის პოზიტიურ საერთაშორისო იმიჯს, სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს, მიმზიდველ ბიზნეს რეგულაციას, სამთავრობო პროგრამების ფოკუსირებას ბიზნესის განვითარებაზე და სამთავრობო ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებას. ამ ნაშრომის მიზანია გაანალიზდეს მიმდინარე პრაქტიკა და უკეთ გავიგოთ ის ინსტიტუციური პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს ბიზნეს სუბიექტებსა და სამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობას საქართველოში.

მთავრობასა და ბიზნესს შორის ურთიერთობის განხილვისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ორი ფუნდამენტური თეორია: ადამ სმიტის „ხილაგი ხელის“ კონცეფცია - (Smith, 1937) მეტაფორა, რომელიც აღწერს თავისუფალ ბაზარზე გავლენის უხილავ ძალებს და ჯონ მეინარდ კეინსის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (J.M & Keynes, 2016), რომლითაც გამართლებულია მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში კრიზისის დასაძლევად, თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნები უფრო და უფრო ცდილობენ ეკონომიკის ლიბერალიზაციას. მთავრობასა და ბიზნესს შორის ურთიერთობის განხილვისას დიდი მნიშვნელობა აქვს რამდენიმე რესურსს, განსაკუთრებით ინსტიტუციურ ანალიზს: ეკონომიკური შეხედულება სახელწოდებით „New Institutional Economics (NIE)“ („ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა“), რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკის განვითარებას ინსტიტუტებზე აქცენტირებით (North, 1986) და პორტერის „ბრილიანტის მოდელი“ (“diamond model”) (Porter, 1998), რომლის კვლევაც სამთავრობო პოლიტიკასა და კონკურენტულ სტრატეგიას შორის ურთიერთობას ეძღვნებოდა. ქვეყნის კონკურენტული პოზიციის შემუშავებისას, მისი მოდელის ჰიპოთეზა ხაზს უსვამს დაკავშირებული და დამხმარე ინდუსტრიების ურთიერთდამოკიდებულებას, მთავრობის პოლიტიკას, ფაქტორებისა და მოთხოვნის გარემოებებს, ფირმის სტრატეგიას, სტრუქტურას და კონკურენციას.

ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი მოსაზრებები: სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სწორი ფისკალური პოლიტიკა მთელი ქვეყნის წარმატების საფუძველს ქმნის. ქვეყნის ბიუჯეტი შემუშავებულია



ამ ქვეყნის საგადასახადო სისტემის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე დაყრდნობით, რაც ასევე საფუძვლად უდევს საგადასახადო განაკვეთის სტრუქტურას. (Abuselidze, 2020).

ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით (Sergi et al., 2019), სახელმწიფო-კერძო (საჯარო-კერძო) პარტნიორობა კარგი გზაა მდგრადი განვითარების დასაფინანსებლად, რადგან ისინი ხელს უწყობენ საჯარო და კერძო ინტერესების გაერთიანებას, აერთიანებენ სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებს და ქმნიან უაღრესად ეფექტურ და ყოვლისმომცველ გზას მდგრადი განვითარების ინიციატივის განსახორციელებლად (Sergi, 2019). მიუხედავად იმისა, რომ ახლადდაარსებული და უკვე შემდგარი კომპანიები ექვემდებარებიან მრავალფეროვან მარეგულირებელ ჩარჩოებს ბაზრის სხვადასხვა ფორმებში, მენეჯმენტის ფუნქციები დიდ როლს ასრულებს საჯარო და კერძო პარტნიორობის ორგანიზაციების დაფინანსების გადანყვეტილებებში (Devapriya, 2006).

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველომ მოახდინა სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ღირებულებების დეკლარირება და განსაზღვრა: „სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობისა და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას“ (საქართველოს კანონი 01.07.2011).

ბოლო წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის აღსანიშნავია ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების წახალისება, რომლებიც თავის მხრივ პირდაპირპროპორციულად უწყობენ ხელს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და დამოუკიდებლობას. როგორც პროფესორი დავით ნარმანია აღნიშნავს, 2003 წლიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა იყო ბიზნესის რეგისტრაციის დროის შემცირება (Narmania, 2009, pp 113-121), რომელმაც ბიზნესის რეგისტრაციის რაოდენობის ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი აქსელერაციის ფუნქცია შეასრულა.

სახელმწიფო ინსტიტუციები იღებენ ფისკალურ თუ ზოგადად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომელიც ქვეყნის სტრატეგიისა და განვითარების ძირითადი მიზნების შესაბამისია, ამით კი სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართულად ხდება ბიზნესის იმ სეგმენტების წახალისება / მხარდა-



ჭერა, რომელიც პრიორიტეტულია სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკური სტრატეგიისათვისა და ზოგადად ქვეყნის განვითარებისათვის, მაგალითად:

- კოოპერატივების გასააქტიურებლად საკანონმდებლო აქტების ინიცირება. კოოპერატივების საგადასახადო შეღავათებით სახელმწიფოს მიზანი იყო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა/წახალისება;
- შ.პ.ს-ების რეგისტრაციების გამარტივებით სახელმწიფოში გაიზარდა იურიდიული პირებისათვის ბიზნესის ყველაზე მეტად მოქნილი და მიმზიდველი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბიზნეს სუბიექტების შ.პ.ს-ების რაოდენობა, რომელთა შენატანები ქვეყნის ბიუჯეტში არის დიდი მოცულობის და ყოველწლიურად იზრდება;
- კანონმდებლობაში მიკრო და მცირე ბიზნეს სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების წარმოშობით ინდ.მენარმეებსა და ფიზიკურ პირებს საშუალება მიეცათ „მარტივ“ ბიზნეს სუბიექტებად რეგისტრაცია / სტატუსის შეცვლით, ამით კი გაუმარტივდათ ბიზნესის ადმინისტრირება, შეუმცირდათ საბუღალტრო მომსახურების ხარჯები, ასევე შეუმცირდათ გადასახადები და გაიზარდა მათი შემოსავლები, საერთო ჯამში ეს პირდაპირპროპორციულად აისახა მოსახლეობის კეთილდღეობაზე რაც იყო სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი (Abuselidze & Katamadze, 2018);

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მიღწევისა და ამოცანების განხორციელების ირიბი ინსტრუმენტია კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდის წახალისება, იმის მიხედვით, თუ ეკონომიკის რომელი დარგების წახალისება-გაძლიერება სურს სახელმწიფოს, შესაბამისად ბიზნეს სუბიექტების როლი ეკონომიკური გარემოს ფორმირებაში არის მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებულად განხორციელების უმთავრესი ინსტრუმენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის პრიორიტეტულ მდგომარეობაში ჩაყენება პირდაპირ მოქმედებს სხვა ბიზნეს სუბიექტის საქმიანობაზე და აქედან გამომდინარე ყველა მსგავსი გადაწყვეტილება სახელმწიფოს მიერ საჭიროებს დაგეგმილი ცვლილებების შეგავლენის ვრცელ, სიღრმისეულ ანალიზსა და ფაქიზ დამოკიდებულე-

ბას, ვინაიდან ბიზნეს საქმიანობა თითოეული ცვლილების მიმართ არის სენსიტიური და პირდაპირ მოქმედებს მისი საქმიანობის შედეგებზე.

რაც შეეხება ფისკალურ პოლიტიკას:

მსოფლიო ეკონომიკური განვითარების დინამიკა აჩვენებს, რომ არსებული ფინანსური და ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე, სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ბიზნეს სექტორის წარმატებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს შორის ფინანსური თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გლობალურ პანდემიისა და პოსტპანდემიურ სამყაროში. მის მნიშვნელობას განსაზღვრავს ფინანსური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ერთის მხრივ, მთავრობასთან თანამშრომლობა ასტიმულირებს ბიზნესს, რადგან კონკრეტული პროექტებისთვის ნაკლები ფინანსური რისკები და მეტი რესურსია ხელმისაწვდომი, თუმცა, ბიზნესის ზრდა სახელმწიფოს აძლევს ხელსაყრელ უკუგებას გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის სახით. მთავრობა და ბიზნეს სექტორი აღიქმება, როგორც კონკურენტული მხარეები, რადგან ისინი ხელს უწყობენ მათთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტებს: მთავრობა ერევა ეკონომიკაში ბიზნეს ოპერაციების რეგულირებით და კონკრეტული საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრით, ბიზნესი კი ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს მოგება და შეამციროს ხარჯები; ეს კავშირი ქმნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის ბალანსს. კერძოდ, მთავრობას შეუძლია შესთავაზოს სუბსიდიები, შეღავათები გადასახადებზე და ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმები, თუმცა ამავდროულად დაარეგულიროს ბიზნეს საქმიანობა რეგულაციების, კანონებისა და სხვა პოლიტიკის მეშვეობით.

საქართველოს განვითარების ფისკალური ჩარჩოს ფორმირების პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზს და მომავალი ზრდის პერსპექტივების პროგნოზირებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს შორის ურთიერთქმედებისას გადამწყვეტია ეკონომიკური პოლიტიკის ფისკალური მიმართულებების აღწერა: საგადასახადო პოლიტიკა ბიზნეს სექტორზე გავლენას სხვადასხვა გზით ახდენს, მათ შორის საგადასახადო შეღავათების გამოყენებით, საგადასახადო განაკვეთების ცვლილებით და გადასახადების დაწესებით. გადასახადის გადამხდელთა და საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, საგადასახადო შემოწმების პროცედურების ეფექტი-

ანობა, საგადასახადო ადმინისტრირების რეგულაციები და სხვა საკითხები უნდა იყოს მკაფიო და მარტივად გასაგები. ზემოაღნიშნული საკითხების არა მკაფიო განმარტება ხშირად საგადასახადო ორგანოებსა და ბიზნესის მფლობელებს შორის დავის საფუძველს ქმნის; ბიზნეს სექტორთან მიმართებაში, საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის ლიბერალური ხასიათის მინიჭებისას (სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები). სხვა შემთხვევაში, სიტუაცია შეიძლება განვითარდეს ისე, რომ სხვადასხვა წყაროდან შემოსავლების დაბეგვრის განსხვავებული განაკვეთების გამო, გადასახადის გადამხდელს შეიძლება გაუჩინდეს სტიმული მიიღოს შემოსავალი იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბიზნესით, რომლებიც იბეგრება უფრო დაბალი განაკვეთით. ასეთი პოლიტიკის რაციონალურობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა გადასახადების შესაბამისობა რეგულირებად ხარჯებთან. მნიშვნელოვანია, რომ ხარჯების კორექტირება მიზნად ისახავდეს თანაბარ პირობებს და არა უპირატესობის შექმნას. ბარიერების შემცირების სარგებელი შეიძლება დაკომპენსირდეს პროდუქციის საშუალო ღირებულების ზრდით, თუმცა მასშტაბის ზრდა საგადასახადო ვალდებულებების ნახტომსაც იწვევს. თუ პროდუქციის მოცულობის, აქტივების ან დასაქმებულთა რაოდენობის ლიმიტი დაწესდება მაღალ ნიშნულზე, მაშინ ამ ზღვართან ახლოს დაგროვდება შესაბამისი დარგის სანარმოების დიდი რაოდენობა, რომლებთანაც კონკურენცია რთული იქნება დამწყები სანარმოებისთვის. სწორედ ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება რეგულაციის შემუშავების დროს, რომ ბიზნეს სექტორთან დაკავშირებით დადგენილმა პოლიტიკამ, კონკურენციის ხელშეწყობის ნაცვლად ამ სფეროში დამატებითი ბარიერები არ შექმნას.

აქედან გამომდინარე, საგადასახადო პოლიტიკის მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი არ შეიძლება პირდაპირ მივიჩნიოთ ბიზნეს სექტორის ხელშეწყობად ან განმავითარებლად, თუ თანმდევნი განმარტებები არ გაკეთდება. დამატებითმა ხელოვნურმა სტიმულირებამ შეიძლება გამოიწვიოს რესურსების არაეფექტური გამოყენება მაშინაც კი, როდესაც ნარმოების მინიმალური ეფექტური რაოდენობა არ არის დიდი. ასეთ დროს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ფისკალური პოლიტიკის მეორე ნაწილმა – საბიუჯეტო პოლიტიკამ. ფისკალური პოლიტიკა, ერთის მხრივ, საქონლისა და მომსახურების შესყიდვით და შრომით უზრუნველყოფს ბიზნეს სექტორის გაფართოების სტიმულირებას ან/და შეიძლება შექმნას ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის. ხოლო, მეორეს მხრივ, ინოვაციების და საინვესტიციო ხარჯების მეშვეობით ასტიმუ-

ლირებს ბიზნეს იდეების განხორციელებას. საქართველო აქტიურად ახორციელებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებს და ეკონომიკურ ინტეგრაციას სხვადასხვა ქვეყნებთან, არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი და ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებს ევროკავშირთან, ჩინეთთან, თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან, რამაც უზრუნველყო ბიზნესის გაძლიერება, ბაზარზე წვდომა და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა; ქვეყანაში შეიქმნა ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (GNIA) და «ანარმოე საქართველოში» (Enterprise Georgia). საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება ფასდება. სახელმწიფო ხელისუფლება თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სხვადასხვა მექანიზმებით, ხოლო სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების ასახვა ხდება კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტით, რომელიც ახდენს ცალკეული საკითხის რეგულირებას ან დერეგულირებას. სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ გადაწყვეტილებას კონკრეტული რეგულირების სფერო და სამიზნე აუდიტორია ჰყავს, თუმცა კოვიდ 19 პანდემიამ მსოფლიოს შეუცვალა დღის წესრიგი და ბოლო პერიოდის სახელმწიფოთა რეგულირების ძირითადი და ინტენსიური აქცენტები პანდემიის მართვის სტრატეგიიდან გამომდინარეობდა. ბიზნესის სხვადასხვა სექტორებისთვის გამოიკა ინდივიდუალური სახელმძღვანელოები პანდემიის პერიოდში შემზღვევების პარალელურად საქმიანობის გასაგრძელებლად აუცილებელი ღონისძიებების შესახებ, თუმცა მოთხოვნების დაკმაყოფილება მარტივი არ აღმოჩნდა ცალკეული ბიზნესებისათვის, სახელმწიფოებს მოუხდა ფორსმაჟორულ სიტუაციებში სწრაფი და მკაცრი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც უმეტესად უნივერსალური ხასიათის იყო მთელს მსოფლიოში, ვინაიდან ეფუძნებოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციებს. რეგულაციების გავრცელება მოხდა ყველა სფეროზე, სადაც ადამიანს უწევდა კომუნიკაცია და ადამიანი იყო ქმედების ძირითადი ობიექტი. რა თქმა უნდა ეს რეგულაციები პირდაპირ შეეხო ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებს და კონკრეტულად ბიზნეს სუბიექტებს, რომლის როლი ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაში არის ძალიან მნიშვნელოვანი.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები არიან უფრო მოქნილები სხვადასხვა კრიზისებთან ადაპტირებისა და ბიზნესის

ტრანსფორმაციის მიმართულებით, მაინც ყველაზე მოწყვლადი ბიზნეს ჯგუფია სხვადასხვა კრიზისების მიმართ. ასევე არ შეიძლება ამ კრიზისებთან ბრძოლაში გამოირიცხოს ბიზნესის ადგილმდებარეობის ფაქტორი, ვინაიდან დიდი ქალაქები და დასახლებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბიზნესის კრიზისებთან ბრძოლისას, ვინაიდან მოსახლეობის დიდი რაოდენობა პირდაპირპროპორციულად ნიშნავს მომხმარებლების დიდ რაოდენობას.

COVID-19 თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა სფეროებში სისუსტეების გამოვლენის სტრეს-ტესტი იყო. ფაქტობრივად ყველა მიმართულებამ გამოავლინა სად იყო მისი სუსტი მხარე და სად გადაჭარბებული თვითდაჯერებულობა. ერთმნიშვნელოვანია, რომ საქმიანობების გაჩერებით და პანდემიის შესაბამისი ღონისძიებების გატარებით მსოფლიო „დაპაუზდა“ და ეს სტაგნაცია ყველაზე მეტად ბიზნეს გარემოსა და ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებზე დიდი ხნის განმავლობაში იქონიებს გავლენას. როგორც უკვე აღინიშნა, 2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების შემდგომ, ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებებისათვის გამოიცა ცალკეული სახელმძღვანელოები საქმიანობის გასაგრძელებლად აუცილებელი ღონისძიებების შესახებ, თუმცა მოთხოვნების დაკმაყოფილება მარტივი არ აღმოჩნდა ცალკეული ბიზნესებისათვის, მაგალითად: საჭირო იყო სპეციალური წესითა და ხსნარებით დეზინფექცია, რომლის დეტალური სახელმძღვანელო არ არსებობდა, ამას გარდა საჭირო იყო სამუშაო ობიექტზე მომუშავეთა სპეცტანსაცმლით აღჭურვა, რომლის ერთ პერსონაზე ეკვიპირების საფასური საკმაოდ მაღალი იყო, ასევე სამუშაო სივრცეში საჭირო იყო სოციალური დისტანციის დაცვა, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ბევრი ობიექტი ვერ ახერხებდა ამ პირობების დაკმაყოფილებას. სწორედ ეს იყო მიზეზების ძირითადი ჩამონათვალი, რის გამოც ბიზნესის უდიდესმა ნაწილმა საკუთარი სურვილით შეაჩერა საქმიანობა.

საქართველოს მთავრობის რეაგირება პანდემიის გავრცელების გამოცხადებიდან იყო ძალიან სწრაფი და ინტენსიური. რეგულაციიდან რეგულაციამდე შუალედებში, ძალიან მოკლე დროში, ვერ ხერხდებოდა უშუალოდ ბიზნეს სუბიექტების მხრიდან რაიმეს დაგეგმვა ან შეთავაზება ბიზნეს სექტორის ოპერირების შეუფერხებლად განხორციელებისათვის მთავრობა გადაწყვეტილებებს იღებდა ფორს-მაჟორულ მდგომარეობაში. რა თქმა უნდა პანდემიამ დააზიანა ყველა სექტორი, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა იმ რეგიონებზე იქ-

ონია, რომელთაც ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა ერთი მიმართულებით აქვთ და ძირითადი შემოსავლის წყარო ეს სეგმენტია. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში აჭარის ა.რ. მცხოვრებთა შემოსავალი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საერთაშორისო ტურიზმზე. ტურისტულ კომპანიებზე სერიოზული გავლენა მოახდინა COVID 19-ის პანდემიამ, განსაკუთრებით სასტუმროებზე - რომლებიც ძირითადად დამოკიდებულნი არიან საერთაშორისო ტურისტების ნაკადებზე - შემომავალ ტურიზმზე; ასეთ ფორს-მაჟორულ და კრიტიკულ სიტუაციებში კომპანიებისთვის ძალიან რთულია ადაპტაცია, რადგან სასტუმროს ბიზნესი მთლიანად დამოკიდებულია ადამიანების განთავსებაზე. ერთადერთი გამოსავალი იყო „COVID Hotel“-ად გადაქცევა, რაც სასტუმროების უმეტესობა, მიმდინარე ხარჯების ნაწილობრივ დასაფარად გააკეთა (Katamadze, G. 2021). ეს იყო მნიშვნელოვანი გადანყვეტილება, რომელმაც სასტუმრო ბიზნესს მცირე, თუმცა ღირებული დახმარება გაუწია. პანდემიის პერიოდში ტურიზმში, ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სექტორი აღმოჩნდა საქართველოში, განსაკუთრებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ბიზნესისა და სახელმწიფო რეგულაციების ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს სექტორი მთლიანად მოქცეულია სახელმწიფო რეგულაციებში, რომლების პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პარალელურად იცვლება. ფორს-მაჟორულ სიტუაციებში კი როგორც ბიზნესს ასევე სახელმწიფოს არ გააჩნია არც პრევენციული, არც ანტიკრიზისული და არც პოსტ-კრიზისული სტრატეგია. შესაბამისად მსგავსი სიტუაციების წარმოქმნის პროცესში როგორც ბიზნესს ასევე სახელმწიფოს უხდება ამ ყველაფრის დაჩქარებულად, შემჭიდროებულ პერიოდში მომზადება. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფორს-მაჟორული სიტუაციის შემთხვევაში, სახელმწიფოს უპირველეს ყოვლისა კრიტიკულად მნიშვნელოვანი სფეროების მართვა უნევს და შემდეგ უკვე დანარჩენის. ბიზნეს სუბიექტებს არ აქვთ სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ფორსმაჟორული სიტუაციების დაძლევაზე, რომელიც წარმოიშვა მათი საქმიანობის პროცესში; შესაბამისად, ნებისმიერ მსგავს მოვლენას კომპანიის მენეჯმენტი გადაჰყავს სპონტანური გადანყვეტილებების მიღების რეჟიმში. სპონტანური გადანყვეტილებები აორმაგებს კრიზისის გამომწვევი ფაქტორების გაძლიერების რისკს (Katamadze, G. 2022).

კრიზისის სირთულეზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ზოგადად კეთილდღეობა, ვინაიდან კრიზისში მყოფი კომპანიების მართვის ხისტი მეთოდი, სწრაფი და გადაუდებელი გადანყვეტილებები, ინ-



ტუიციური, რისკების შემცველი ნაბიჯები დიდი საფრთხის წინაშე აყენებს როგორც ზოგადად სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, ასევე ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის საკითხს. მართალია, სახელმწიფო შეღავათების დაწესებისას სახელმწიფო ბუჯეტიდან გაიღებს დიდ თანხებს, თუმცა შენარჩუნებული და კრიზისგადალახული ბიზნეს სექტორი გრძელვადიან პერსპექტივაში მეტად დაეხმარება სახელმწიფოს ეკონომიკური პროცესების სწრაფ აღდგენაში. აქვე მეორე მომენტიც, კერძოდ ბიზნეს სექტორს გაუჩნდება სახელმწიფოსგან ძლიერი თანადგომის, დაცულობის განცდა და უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება საგადასახადო და ბიზნეს პროცესების ადმინისტრირების საკითხს.

ამ ეტაპისთვის ფაქტია ერთი რამ, კოვიდ 19 პანდემიისგან გამომწვეული „ფორს-მაჟორი“ ამონურულია, თუმცა ამ ფორს-მაჟორისგან გამომწვეული კრიზისის დაძლევა, გადალახვა ძირითადად დამოკიდებულია ბიზნეს სუბიექტების სწორად დაგეგმილ, კარგად გააზრებულ ქმედებებზე, რომელიც შეიძლება იყოს რისკების შემცველი, თუმცა ნებისმიერი რისკის დაზღვევა ან შერბილება დროის თვალსაზრისით უფრო კომფორტული და შედარებით მართვადი პროცესია ვიდრე ფორს-მაჟორი, რომელიც ჩნდება მოულოდნელად და მხოლოდ მისი ამონურვის შემდეგ გახდება შესაძლებელი შედეგების შეფასება და შემდგომ ქმედებებზე ფიქრი.

პანდემიისა და პოსტ-პანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იყო:

- ტურიზმთან დაკავშირებულ ბიზნეს-სუბიექტებისთვის ქონებისა და საშემოსავლო გადასახადის გადავადება;
- მცირე სასტუმროებისთვის საბანკო სესხის პროცენტის გადახდის ექვსი თვით
- გადავადება;
- ავტოიმპორტიორებისთვის განბაჟების ვადის გადავადება;
- თვეში 1500 ლარზე ნაკლები ოდენობის ხელფასის მქონე პირებისთვის საშემოსავლო გადასახადის დროებითი შეჩერება;
- ამავე პერიოდში ამოქმედდა დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმი და გაორმაგდა დღგ-ს დაბრუნება ბიზნესებისთვის;
- კომერციული ბანკებს მიეცა წვდომა 600 მილიონი ლარის გრძელვადიან რესურსზე;
- ამუშავდა სასესხო გარანტიების პროგრამა ბიზნეს სესხებისთვის;



- გაუმჯობესდა ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები, მათ შორის სესხის პროცენტის სუბსიდირების პროგრამა და მიკრო და მცირე გრანტების პროგრამა;
- გრანტები ტექნიკისთვის, სათბურებისთვის და სარწყავი სისტემებისთვის;
- თანადაფინანსება სესხებზე და სასოფლო სამეურნეო დაზღვევაზე;
- დიზელის საწვავის ფასების სუბსიდირება;
- ერთჯერადი დახმარება რეგისტრირებული მიწათმესაკუთრეთათვის;

ასევე გაიმიჯნა ტურიზმისა და მშენებლობა/დეველოპმენტის მხარდასაჭერი პაკეტი, რომელიც მოიცავდა შემდეგს:

- სასტუმროებისთვის სესხის პროცენტის სუბსიდირება და ტურ ოპერატორებისთვის საბანკო გარანტიის პროცენტის სუბსიდირება;
- ქონების გადასახადისგან გათავისუფლება და საშემოსავლო გადასახადის გადავადება;
- რესტორნების ჩართვა საკრედიტო საგარანტიო სქემაში;

მშენებლობა/დეველოპმენტის მიმართულებით:

- იპოთეკური სესხის პროცენტის გადასახადის სუბსიდირება;
- გარანტია იპოთეკური სესხებისთვის;
- მიმდინარე მშენებლობების დასრულების უზრუნველყოფა შესყიდვის გარანტიის გაცემით საცხოვრებელი ფართის არაუმეტეს 30%-ზე;
- ამოქმედდა საცხოვრებელი ფართის არანაკლებ 20%-ის ესქრო (Escrow) ანგარიშის გამოყენებით რეალიზაციის ვალდებულება; ([https://pdf.usaid.gov/pdf\\_docs/PA00Z2S4.pdf](https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00Z2S4.pdf))

პანდემიამ ბიზნეს სუბიექტები, კრიზისისა და ფორს-მაჟორული მდგომარეობის პარალელურად, განვითარების ახალ შესაძლებლობებზეც დააფიქრა, რომელიც უკავშირდებოდა პროდუქციის განახლებას, ახალი სერვისების დანერგვას, ახალი მომწოდებლებისა და მომხმარებლების მოძიებას, ელექტრონული კომერციისა და დისტანციური არხების განვითარებას, წარმოების ეფექტიანობას და სხვა.

კვლევამ აჩვენა, რომ:

- მთავრობისა და ბიზნესის თანამშრომლობა არის პროცესი, რომელიც სარგებელს მოუტანს ორივე მხარეს და მიიღებს დადებით შე-

დეგებს, რაც საბოლოოდ აისახება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადობის დადებით დინამიკაზე;

- ბიზნესის განვითარებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები იქმნება სახელმწიფო რეგულაციებით და ზოგადად კანონმდებლობით, რაც აისახება საგადასახადო პოლიტიკაზე, მაგალითად ბიზნეს სუბიექტებისათვის კატეგორიების მინიჭებით, გადასახადებისა და დეკლარაციების მართვის უმარტივესი პროცედურების შეთავაზებით და ა.შ.;
- პანდემიის შემდეგ, ბიზნეს პროცესები დაუბრუნდნენ პანდემიამდელ მდგომარეობას და ბოლო ორი წლის განმავლობაში დაფიქსირდა ბიზნეს შემოსავლების/ბრუნვისა და ახალი კომპანიების რეგისტრაციის მნიშვნელოვანი ზრდა;
- მთავრობამ ხელი მოაწერა რამდენიმე კონვენციას და შეთანხმებას, რომლებიც მხარს უჭერენ თავისუფალ ვაჭრობას სხვადასხვა ქვეყნებთან, რათა შეიქმნას მსოფლიო კომერციული კავშირები და გაზარდოს ექსპორტი. ეს საბოლოოდ გააუმჯობესებს საგარეო ვაჭრობის დინამიკას და გარდა ამისა, ექსპორტის ზრდის პროპორციულად პირდაპირ გავლენას მოახდენს ქვეყნის ეროვნული ვალუტის სტაბილურობის პროცესზე;
- კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ გარემოებიდან გამომდინარე, ფინანსური და ეკონომიკური თანამშრომლობის გავლენა საზოგადოების კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიაში. სახელმწიფო-ბიზნეს სექტორის თანამშრომლობის მოსალოდნელი უპირატესობები ნაჩვენებია იყო ემპირიული ანალიზით და მოიცავდა სოციალურ და გარემოსდაცვით მდგრადობას, ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის შემცირებას და სერვისების უკეთ ხელმისაწვდომობას. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ თითოეული დასკვნა შესაძლოა გახდეს დამოუკიდებელი კვლევის საგანი მომავალში.

სახელმწიფოს მიერ ბიზნეს სუბიექტების მხარდაჭერა და მათი აქტივობის ხელშეწყობი ღონისძიებები, პროექტები, სწორედ იმ სტრატეგიის ნაწილია, რომლის უკუგებას სახელმწიფო ბიზნეს სექტორის გაძლიერებითა და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდით იღებს. საქართველოში ბიზნესის მხარდაჭერი პროექტები ბოლო წლების დამკვიდრებული პრაქტიკაა და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც ომისშემდგომ, ასევე სხვადასხვა კრიზისებისა და პოსტკრიზისულ პერიოდში. ნებისმიერი კრიზისის განსაკუთრებულად ზრდის სახელმწიფო ინსტიტუციების როლს, რომელ-

თა წარმატებული საქმიანობა პირდაპირ აისახება როგორც ხელისუფლების იმიჯზე ასევე ზოგადად ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციაზე.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რამდენიმე ათწლეულის ისტორია აქვს და ამ ათწლეულებში ხელისუფლებისა და სახელისუფლებო პოლიტიკის რადიკალური ცვლილების მიუხედავად, ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად ხდებოდა ბიზნესის ხელშემწყობი პროექტების განხორციელება, ვინაიდან სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობაში ბიზნეს სუბიექტების მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება.

ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო ინიციატივების/პროგრამების ზოგადი მიზანია ეკონომიკური გარემოს გაძლიერება, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას და ბიზნესის განვითარებას. ამ ინიციატივებსა და პროგრამებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა, როგორც საკანონმდებლო დონეზე რეგულაციების გამარტივება/შემსუბუქება, ასევე პირდაპირი ხასიათის ღონისძიებები, მაგალითად ინფრასტრუქტურის განვითარება და საგადასახადო შეღავათები.

„სახელმწიფო - შენი პარტნიორი“ საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილი პლატფორმაა, რომელიც თავს უყრის ბიზნესის ხელშემწყობაზე ორიენტირებულ 20-ზე მეტ სახელმწიფო პროგრამას. პროექტის მთავარი მიზანია, მაქსიმალურად გაამარტივოს და გაზარდოს წვდომა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაზე მათთვის, ვისაც ბიზნესის დაწყება, ან არსებულის გაფართოება სურს. დღეისათვის, ბიზნეს პროგრამების ერთიან პლატფორმაზე წარმოდგენილია სააგენტოების „აწარმოე საქართველოში“, „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა“ და „სოფლის განვითარების სააგენტოს“ პროგრამები. შესაბამისად, სახელმწიფოს მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა აქვთ მიკრო და საშუალო ზომის საწარმოებს, ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს, ტურიზმის სფეროში მოქმედ სუბიექტებს, ფერმერებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და სხვებს ([www.programs.gov.ge](http://www.programs.gov.ge)).

სააგენტო აწარმოე საქართველოში 2014 წელს შეიქმნა და წარმოადგენს მენარმეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდაჭერა ძირითად სახელმწიფო ინსტიტუტს საქართველოში. როგორც საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიაში 2021-2025 ვკითხულობთ: სააგენტოს მიზანია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა, მენარმეობის მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენებით, ასევე ექსპორტის ზრდის მხარდაჭერა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წახალისება. მიზნებიდან გამომ-

დინარე, სააგენტოს გააჩნია 3 საკვანძო მიმართულება: 1) ბიზნესის განვითარება; 2) ექსპორტის მხარდაჭერა და 3) ინვესტიციების მოზიდვა. [www.economy.ge](http://www.economy.ge).

სააგენტოს პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარებისკენაა მიმართული, დეტალურად იხილეთ ცხრილი „პროგრამების ჩამონათვალი“.

**ცხრილი 8: პროგრამების ჩამონათვალი**

<b>ინდუსტრიული მიმართულების კომპონენტი</b>	ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამართივების და ტექნიკური დახმარების მეშვეობით გამომწვლია ბიზნესის განვითარების, ახალი სანარმოების შექმნისა და არსებული სანარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობაზე;
<b>სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი</b>	რეგიონებში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობ ინიციატივას ნარმოადგენს;
<b>მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი</b>	საქართველოს მასშტაბით ფინანსურ მხარდაჭერას (საგრანტო პროგრამა) და კონსულტაციას უწევს მიკრო და მცირე მენარმებს;
<b>„გადაიღე საქართველოში“ კომპონენტი</b>	კინოინდუსტრიის წამახალისებელი პროგრამაა. პროგრამა კინონარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროდიუსერებს შესაძლებლობას აძლევს საქართველოში გადაიღონ ფილმი თუ სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია;
<b>„ანარმე უკეთესი მომავლისთვის“ საგრანტო პროგრამა</b>	ითვალისწინებს გამყოფი ხაზების (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები)) გასწვრივ ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის, აგრეთვე თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის საფუძვლის შექმნის მიზნით, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერას;
<b>საკრედიტო-საგრანტო მექანიზმი</b>	ხელს უწყობს ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო სანარმოების დაფინანსებას, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი უზრუნველყოფა არსებული საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში სესხის ასაღებად ან ოპერირებენ ისეთ სექტორში ან ბაზარზე, რომელიც საბანკო სექტორში არსებული საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად დაკავშირებულია განსაკუთრებით მაღალ რისკთან.

<p><b>ექსპორტის მხარდაჭერა</b></p>	<p>სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განვითარება, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება. ექსპორტის ხელშეწყობის მხრივ სსიპ აწარმოე საქართველოში ორი მიმართულებით - ექსპორტის პოპულარიზაციისა და განვითარების საკითხებზე მუშაობს. ექსპორტის პოპულარიზაციის კუთხით სააგენტო ახორციელებს საერთაშორისო გამოფენების, შიდა და გარე სავაჭრო მისიების ორგანიზებას. ამასთანავე, სააგენტოს შექმნილი აქვს სავაჭრო პორტალი და საექსპორტო პროდუქციის ონლაინ-კატალოგი. შესაბამისად, <a href="http://www.tradewithgeorgia.com">www.tradewithgeorgia.com</a> ვებ-გვერდის „Business Inquiry“ ფუნქციის მეშვეობით კომპანიებს შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში განათავსონ საკუთარი წინადადებები და შეთავაზებები.</p>
<p><b>ინვესტიციების მოზიდვის მიმართულება</b></p>	<p>ინვესტიციის მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და რეინვესტირების წახალისება.</p> <p>აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.</p>

წყარო: <https://www.economy.ge/?page=services&s=72>

2022 წელს, სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“ შეიქმნა 1 ახალი პროგრამა - „ექსპორტის სტიმულირების პროგრამა“ და განახლდა 3 პროგრამა - პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი ბიზნეს უნივერსალი, მიკრო და მცირე მენარმეობის პროგრამა და საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი. „სოფლის განვითარების სააგენტომ“ დაიწყო 7 ახალი პროგრამა და ასევე, 13 არსებული პროექტისა და პროგრამის ფარგლებში განახორციელა 22 ცვლილება. კერძოდ, დაიწყო შემდეგი ახალი პროგრამები: თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა; საპილოტე პროგრამა ქალებისთვის; ბიონარმოების ხელშეწყობის პროგრამა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის შემნახველი საწარმოების სახელმწიფო პროგრამა; სასოფ-

ლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა; 2022 წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ. სააგენტოს მიერ ცვლილებები განხორციელდა შემდეგ პროგრამებში: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა; ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა; სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“; სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა; მერძეეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა; ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა; აგროდაზღვევის პროგრამა; მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა; რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა; მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა; შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი; 2022 წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ. [www.economy.ge](http://www.economy.ge)

### **სტარტაპ საქართველო:**

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2016 წლის ივნისიდან, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩურული საინვესტიციო პროგრამა – „სტარტაპ საქართველო“, რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილია. პროექტის კოორდინატორები არიან „საპარტნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. პროგრამა ერთობლივად მომზადდა საპარტნიორო ფონდისა და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებით დამტკიცდა. ([matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge)). სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდი ინოვაციურ პროექტებზე. „სტარტაპ საქართველოს“ მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციების იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობ-




ას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო სანარმოების ზრდას და განვითარებას. კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასევე ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი (MOA, 2018). მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით უნდა აღინიშნოს, ასევე პროექტი „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“, რომელიც ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარეობს და მას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს. პროექტის მიზანია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) განხორციელებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემოს რეფორმების მხარდაჭერა, კერძოდ, მცირე და საშუალო მეწარმეობის შესაძლებლობათა გაძლიერების კუთხით, რათა გაიზარდოს ამ სექტორის კონკურენტუნარიანობა და უზრუნველყოფილ იქნას ახალ მარეგულირებელ გარემოსთან მისი ადაპტირება. პროექტი მოამზადებს ნიადაგს მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის საქართველოში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. პროექტი მოიცავს ოთხ კომპონენტს:



**ცხრილი 9: პროექტის კომპონენტები**



წყარო: ცხრილი ავტორის შემუშავებულია DCFTA.GOV.GE-ზე დაყრდნობით

პროექტი ხელს უწყობს ბიზნეს საზოგადოების, მათ შორის, მცირე და საშუალო მენარმეების, ინფორმირებულობის გაზრდას DCFTA-ს შესახებ. მისი მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს DCFTA.gov.ge ვებგვერდი და დაარსდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის DCFTA საინფორმაციო ცენტრები. (<https://dcfta.gov.ge/ge/>)

მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე, დაჩქარებული ეკონომიკური პროცესების ვგადავალ საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და სტაბილური განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი საფინანსო ინსტიტუტებია. ისევე როგორც სასტარტო ბიზნესის ასევე ზოგადად ბიზნეს სექტორის გაძლიერება/განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სწორ დაფინანსებაზე და ფინანსური ოპერაციების გამართულად წარმოებაზე.

საქართველოში მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს

გაუმჯობესება მცირე და საშუალო მენარმეობისთვის;

2. მცირე და საშუალო მენარმეობის უნარების განვითარებისა და სა-მენარმეო

კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

4. მცირე და საშუალო სანარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდო-მისა და

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებ-ის, ინოვაციების,

კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მენარ-მეობისთვის;

6. ქალთა მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა;

7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. [www.economy.ge](http://www.economy.ge).

აღსანიშნავია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სა-აგენტოს (GITA) პროგრამები, რომელიც მიმართულია საქართველო-ში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოს-ისტემის ფორმირების, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობისაკენ, ასევე სააგენტოს მისიაა ინოვაციებისა და ტექნო-ლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის სხვადასხვა დარ-გებში, ასევე ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა. სააგენტო ახორციელებს სტარტაპე-ბის დაფინანსებისა და ბიზნესის განვითარებისკენ მიმართულ სხვა-დასხვა პროგრამებს და ის სთავაზობს დაინტერესებულ პირებს სხვა-დასხვა უფასო მომსახურებას. სააგენტო ტექნოპარკთან ერთად მოიც-ავს როგორც საერთო სამუშაო სივრცეს, ასევე სამრეწველო ინოვაცი-ების უნივერსალურ ლაბორატორიას FABLAB-ს, საკონფერენციო დარ-ბაზს, შეხვედრების ოთახებსა და სარეკრეაციო ზონას. ასევე ინოვაცი-ების სააგენტო სტარტაპებს უფასოდ სთავაზობს საერთო სამუშაო სივ-რცეს, ე.წ. co-working-ს.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სახელმწიფო ასევე საერ-თაშორისო პროგრამებისა და ფონდების მიერ ბიზნესის განვითარების და ხელშეწყობის პროექტების უმეტესობაში მთავარი აქცენტი გაკეთებუ-ლია ინოვაციურ ბიზნესზე, ტექნოლოგიურ ფაქტორზე, ჭკვიან ტექნოლო-გიაზე და ა.შ. რაც ბოლო წლების ძირითად ტენდენციად შეიძლება ჩაით-

ვალოს. განსაკუთრებით საზგასმულია ამ მიმართულებით მოთხოვნები საგრანტო დაფინანსებებისას.

მაშინ როცა პანდემიის პერიოდში სახელმწიფოს ყველა ინსტიტუციის ძირითადი საზრუნავი მოსახლეობის უსაფრთხოება და შემდგომ ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება იყო, პანდემიის დასრულების ნიშნების გაჩენისთანავე სახელმწიფოს მთელი აქცენტი ეკონომიკის ზრდისა და ბიზნეს გარემოს გაძლიერებაზე იქნა გადატანილი. ბოლო წლებში გლობალური გავლენის მქონე ორმა მოვლენამ მთლიანად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების თამაშის წესები - ეს იყო COVID 19-ის პანდემია და ომი უკრაინაში. საქართველომ, რომელიც მნიშვნელოვნად გარე ფაქტორებზე დამოკიდებული, პანდემიის შედეგად მასიური ეკონომიკური შოკი განიცადა. კორონა ვირუსმა, უკიდურესად უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოზე, სწრაფად დააბიანა 2019 წელს მიღწეული ეკონომიკური ზრდა, გარდა ამისა, პირდაპირ შეეხო ინდუსტრიებს. კოვიდ 19-ის პანდემია იყო მსოფლიო მაკრო და მიკრო ეკონომიკის სტრეს ტესტი, რომლის პასუხების მიღება საკმაოდ ძვირი დაუჯდა მსოფლიოს, მაგრამ ეს გამოცდილება და შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი მდგრადი განვითარებისთვის.

პანდემიის პერიოდი განსაკუთრებით პრობლემური იყო ინფლაციისთვის. საწყის პერიოდში, 2020 წლის მარტში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და საზღვრების ჩაკეტვის შემდეგ, ეროვნული ვალუტა გაუფასურდა. ამ პერიოდში სურსათის ფასებმაც დაიწყო ზრდა. COVID-19 არის მსოფლიო პანდემია, რომელიც აჩერებს ეკონომიკურ აქტივობას და სერიოზულ რისკს უქმნის საერთო კეთილდღეობას. COVID-19-ის გლობალური სოციალურ-ეკონომიკური გავლენა მოიცავს უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლებს, ნავთობზე დაბალ ფასებს, განათლების სექტორების ცვლილებას, სამუშაოს ბუნების ცვლილებებს, მშპ-ს შემცირებას და ჯანდაცვის მუშაკებისთვის გაზრდილ რისკებს (M. Mofijur a, 2021) ამ პანდემიის გამო ყველაზე მეტად დაზარალდნენ ვაჭრები, რომლებიც მთლიანად იყვნენ დამოკიდებული სატრანსპორტო სისტემებზე. ასევე, დაინფიცირების შემთხვევების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის გამო, ყოველდღიური მუშაკთა რაოდენობა შემცირდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ინდუსტრიულ სექტორებზე (NT Pramathesh Mishra a, 2020). პოსტპანდემიური ეპოქა მომავალი კვლევისთვის მნიშვნელოვანი სფეროა, რადგან COVID-19-ის კატასტროფული ზემოქმედებისგან თავის დაღწევა და აღდგენა არის პროცესი, რომელიც დიდ ყურადღებას საჭიროებს - როგორც აკადემიური, ასევე ინსტიტუციური წრეების მხრიდან (Petrova

& Tairov, 2022). კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემია ეკონომიკური კრიზისის მიზეზი გახდა (Narmania & Zurashvili, 2022). კრიზისმა გააუარესა სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა განვითარებად ბაზრებსა და განვითარებად ეკონომიკებში (Kovzanadze, 2021). COVID-19-ის გავრცელების წინააღმდეგ დაწესებულმა შეზღუდვებმა, ეკონომიკის აღდგენის პროცესის შემდგომ გაძლიერებასთან და მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, გამოიწვია სატრანსპორტო არხების შეფერხება, მკვეთრად გაზრდილი მსოფლიო ტრანსპორტისა და სხვა საოპერაციო ხარჯები. ამან, თავის მხრივ, იმოქმედა თითქმის ყველა პროდუქტის საბოლოო ფასზე. 2020 წლის დროს ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო COVID-19 პანდემიით, გლობალური ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად აღდგა 2021 წელს.

საქართველოში ინფლაციას კლების ტენდენცია აქვს და 2023 წლის ივნისში მთლიანი ინფლაცია 0,6%-მდე დაეცა. ეს შემცირება ძირითადად ეგზოგენური ფაქტორებით იყო განპირობებული. ბოლო დროს საერთაშორისო ბაზრებზე საკვები პროდუქტებისა და ნავთობის ფასები იკლებს. ეს ლარის გამყარებულ კურსთან ერთად ამცირებს იმპორტირებულ საქონელზე ფასებს საქართველოში. მცირდება შიდა წარმოების საქონლის ინფლაციაც, თუმცა შედარებით ნელი ტემპით - ტენდენცია, რომელიც, სავარაუდოდ, წლის განმავლობაში გაგრძელდება (National Bank of Georgia, 2023).

საწვავის ფასების სტაბილიზაციისა და მიწოდების ჯაჭვების თანდათანობითი აღდგენით, ტრანსპორტირების ღირებულება გლობალურად მცირდება. საერთაშორისო გადაზიდვების ფასმა 2021 წლის სექტემბერში პიკს მიაღწია და 2022 წლის დასაწყისიდან კლების ტენდენცია ჰქონდა, რამაც იმპორტირებული ინფლაციის შენელება გამოიწვია. 2023 წლის ივნისში ტვირთების ფასი თვეში 7,4%-ით და ყოველწლიურად 77,5%-ით შემცირდა, რაც პანდემიამდელ დონემდე (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022 წ.) მიახლოებას უზრუნველყოფს.

მაღალი ინფლაციური გარემო სუფევდა როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში 2023 წლის მეორე კვარტალში. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სურსათისა და ნავთობის ფასები კვლავ კლებულობს. მაღალი შიდა ინფლაცია დიდწილად დაკავშირებულია მომსახურების გაძვირებასთან, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა საბანკო მომსახურების, ბინების ქირის, სანოტარო გადასახადის და კაფე-რესტორნების გაძვირებამ. ივნისში ადგილობრივი ინფლაციის 8,5%-დან 5,4 პროცენტი მომსახურებაზე მოდიოდა. მომსახურებებში მაღა-

ლი ინფლაცია ნაწილობრივ ქვეყანაში უცხოელების რაოდენობის მკვეთრი მრდისა და ფასებზე გაზრდილი ზეწოლის ასახვაა. მიუხედავად დადებითი ნიშნუბებისა, გლობალური ეკონომიკური ექსპანსიის ნელი რეალობის გათვალისწინებით, მიმდინარე მაღალი და ნიშნულზე მაღალი გლობალური ინფლაცია და გაურკვეველი მაკროეკონომიკური პროგნოზები კვლავ ხასიათდება რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებული ურვეულო გაურკვეველობითა და საფრთხეებით. ქვეყნის ზოგადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო სარეიტინგო ინდექსები (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2024 წ) შემდეგია:

**ცხრილი 10: ზოგადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები**

დასახელება	წყარო:	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
მოსახლეობა წლის ბოლოს (ათასი კაცი)	საქსტატი	3,729	3,726	3,730	3,723	3,717	3,729	3,689	3,736	3,695
უმუშევრობის დონე	საქსტატი	21.9%	21.7%	21.6%	19.2%	17.6%	18.5%	20.6%	17.3%	16.4%
სლიური ინფლაცია (დეკემბერი/დეკემბერთან)	საქსტატი	4.9%	1.8%	6.7%	1.5%	7.0%	2.4%	13.9%	9.8%	0.4%
მშპ, მლრდ ლარი	საქსტატი	34.5	36.6	41.3	45.4	49.7	49.8	60.7	72.9	80.2
მშპ, მლრდ აშშ დოლარი	საქსტატი	15.2	15.4	16.5	17.9	17.6	16.0	18.9	25.0	30.5
მშპ რეალური ზრდა	საქსტატი	3.4%	3.4%	5.2%	6.1%	5.4%	-6.3%	10.6%	11.0%	7.5%
მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი	საქსტატი	4,085	4,143	4,420	4,804	4,741	4,301	5,084	6,731	8,210
მშპ ერთ სულზე, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით, PPP (მიმდინარე საერთაშორისო \$)	საერთაშორისო საგალოტო ფონდი	12,100	12,855	13,596	14,584	15,611	14,772	16,997	20,243	22,357
დანაშოგის დონე (ეროვნული დანაშოგი/მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალთან)	სებ-ის გაანგარიშება	14.5%	16.3%	16.7%	20.5%	20.6%	11.4%	9.8%	18.5%	21.4%
მიმდინარე ანგარიში/მშპ	სებ-ის გაანგარიშება	-11.6%	-12.2%	-7.9%	-6.7%	-5.9%	-12.4%	-10.3%	-4.5%	-4.3%
საგარეო სავაჭრო გახსნილობა (საქონლისა და მომსახურების ექსპორტი+საქონლისა და მომსახურების იმპორტი)/მშპ	სებ-ის გაანგარიშება	97.0%	95.0%	102.6%	109.8%	117.4%	93.0%	102.0%	115.7%	107.9%

დასახელება	წყარო:	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ	სებ-ის გაანგარიშება	11.4%	10.7%	12.1%	7.5%	7.7%	3.7%	6.6%	8.4%	5.2%
საერთაშორისო რეზერვები, მლრდ აშშ დოლარი	სებ	2.5	2.8	3.0	3.3	3.5	3.9	4.3	4.9	5.0
საერთაშორისო რეზერვები საქონლისა და მომსახურების იმპორტის თვეებით	სებ-ის გაანგარიშება	3.5	4.0	3.9	3.7	3.8	5.2	4.6	3.8	3.4
მთლიანი საგარეო ვალი/მშპ	სებ-ის გაანგარიშება	100.6%	103.2%	105.2%	99.9%	106.9%	130.3%	117.0%	94.3%	79.1%
მთავრობის საგარეო ვალი/მშპ	სებ-ის გაანგარიშება	28.8%	30.3%	32.1%	30.1%	32.5%	46.4%	42.2%	32.2%	28.4%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (საშუალო წლიური ცვლილება)	სებ	-4.6%	3.4%	-2.2%	1.0%	-5.4%	-2.9%	1.7%	18.7%	11.6%
ფისკალური დეფიციტი/მშპ	სებ-ის გაანგარიშება	-2.3%	-2.6%	-2.9%	-2.1%	-2.0%	-9.2%	-6.0%	-3.0%	-2.4%
კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები, მლრდ ლარი	სებ	16.0	18.9	22.3	26.6	31.9	38.2	43.1	44.8	52.7
კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ზრდა	სებ	23.5%	18.1%	17.8%	19.4%	20.0%	19.7%	12.7%	3.9%	17.6%
კომერციული ბანკების სესხების ზრდა, გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენის გამორიცხვით	სებ	6.1%	10.8%	18.6%	17.8%	16.2%	9.0%	18.2%	12.1%	17.1%
დეპოზიტები კომერციულ ბანკებში, მლრდ ლარი	სებ	14.4	17.0	19.9	23.1	26.3	34.6	37.2	44.3	50.6
დეპოზიტები კომერციულ ბანკებში, ზრდა	სებ	23.5%	18.2%	16.8%	16.1%	13.9%	31.9%	7.5%	18.9%	14.2%
დეპოზიტების ზრდა კომერციულ ბანკებში, გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენის გამორიცხვით	სებ	5.9%	10.8%	17.0%	14.4%	9.3%	20.8%	12.2%	29.6%	14.1%

დასახელება	წყარო:	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
კომერციული ბანკების აქტივები/მშპ	სებ-ის გაანგარიშება	72.8%	82.5%	83.7%	87.5%	94.9%	114.2%	99.7%	96.6%	99.7%
დეპონიტების დოლარიზაცია (საბანკო სექტორი)	სებ	69.1%	71.2%	65.3%	63.1%	64.0%	61.4%	60.0%	56.1%	50.7%
სესხების დოლარიზაცია (საბანკო სექტორი)	სებ	64.6%	65.4%	57.1%	57.1%	55.4%	55.7%	50.8%	45.0%	45.2%
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	სებ	8.00%	6.50%	7.30%	7.00%	9.00%	8.00%	10.50%	11.00%	9.50%
საპროცენტო განაკვეთი ლარით გაცემულ სესხებზე	სებ	19.4%	18.2%	16.8%	15.7%	15.4%	14.4%	15.7%	16.2%	15.3%
საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე	სებ	10.3%	8.7%	7.9%	7.6%	6.3%	6.9%	6.3%	8.6%	9.0%

წყარო: [nbg.gov.ge](http://nbg.gov.ge)

ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იზრდება მოგადად ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავალი, ხარჯები და წმინდა საოპერაციო ბალანსი. მონაცემთა ანალიზის შედეგად ჩანს, რომ პოსტპანდემიურ პერიოდში დინამიკა დადებითია. მონაცემები დეტალურად შეგიძლიათ ნახოთ ცხრილში:

**ცხრილი 11: საქართველოს ბიუჯეტის დინამიკა**

	ნაერთი ბიუჯეტი						
	2023				2023	2024*	
	I	II	III	IV		I	II
<b>შემოსავლები</b>	<b>5,069.7</b>	<b>5,798.7</b>	<b>5,389.6</b>	<b>5,866.2</b>	<b>22,124.2</b>	<b>6,323.8</b>	<b>6,555.0</b>
გადასახადები	4,609.3	4,899.7	4,893.2	5,330.4	19,732.6	5,773.4	5,766.2
საშემოსავლო გადასახადი	1,541.8	1,471.0	1,532.2	1,526.5	6,071.5	1,748.1	1,824.3
მოგების გადასახადი	671.1	441.8	475.3	430.0	2,018.2	620.8	1,116.1
დღგ	1,957.2	2,019.3	2,176.9	2,233.6	8,387.0	2,147.9	2,222.8
აქციზი	434.1	530.5	638.2	667.5	2,270.3	515.3	665.1
იმპორტის გადასახადი	32.1	39.3	42.7	37.1	151.2	31.8	36.0
ქონებაზე გადასახადი	6.7	475.1	20.5	146.1	648.4	10.3	490.4
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	-33.7	-77.3	7.4	289.6	186.0	699.3	-588.5
სოციალური შენატანები	-	-	-	-	-	-	-



ნაერთი ბიუჯეტი							
	2023				2023	2024*	
	I	II	III	IV		I	II
გრანტები	89.2	30.7	28.9	52.3	201.1	82.0	27.6
სხვა შემოსავლები	371.2	868.3	467.5	483.5	2,190.5	468.4	761.2
<b>ხარჯები</b>	<b>4,229.1</b>	<b>4,506.8</b>	<b>4,666.3</b>	<b>5,154.0</b>	<b>18,556.2</b>	<b>4,948.7</b>	<b>5,188.7</b>
შრომის ანაზღაურება	626.7	642.1	652.1	758.3	2,679.2	721.1	778.2
საქონელი და მომსახურება	549.9	714.1	647.8	848.5	2,760.3	654.9	737.3
პროცენტი	313.0	227.3	375.9	278.7	1,194.9	422.1	291.9
სუბსიდიები	553.6	554.3	572.0	699.9	2,379.8	600.8	652.5
გრანტები	6.6	8.8	1.3	11.6	28.3	9.3	5.7
სოციალური უზრუნველყოფა	1,647.8	1,746.0	1,896.5	1,821.6	7,111.9	1,924.6	2,008.7
სხვა ხარჯები	531.5	614.2	520.7	735.4	2,401.8	615.9	714.4
<b>ბიუჯეტის საოპერაციო სალდო</b>	<b>840.6</b>	<b>1,291.9</b>	<b>723.2</b>	<b>712.2</b>	<b>3,568.0</b>	<b>1,375.1</b>	<b>1,366.3</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>742.2</b>	<b>1,214.5</b>	<b>1,557.8</b>	<b>1,941.9</b>	<b>5,456.4</b>	<b>1,141.8</b>	<b>1,342.4</b>
<b>ბიუჯეტის მთლიანი სალდო</b>	<b>98.4</b>	<b>77.4</b>	<b>-834.6</b>	<b>-1,229.7</b>	<b>-1,888.4</b>	<b>233.3</b>	<b>23.9</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>167.8</b>	<b>859.4</b>	<b>-121.4</b>	<b>-437.3</b>	<b>468.5</b>	<b>417.9</b>	<b>474.3</b>
საშინაო	167.8	859.4	-121.4	-437.3	468.5	417.9	474.3
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მონეტარული ოქრო და ნასესხობის პეციალური უფლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>69.4</b>	<b>782.0</b>	<b>713.1</b>	<b>792.4</b>	<b>2,356.9</b>	<b>184.6</b>	<b>450.4</b>
საშინაო	43.8	615.6	282.2	456.2	1,397.8	229.8	212.9
საგარეო	25.6	166.4	430.9	336.2	959.1	-45.2	237.5

წყარო: [WWW.GEOSTAT.GE](http://WWW.GEOSTAT.GE)

2023 წლის მეორე კვარტალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიუჯეტის ნაერთი შემოსავლები 24,2 პროცენტით, ხოლო ხარჯები 12,5 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო ბიუჯეტმა, რომელიც წარმოადგენს მთავრობის დანაშობს, 1291,9 მლნ ლარი შეადგინა, ჯამური ნაშთი კი 77,4 მლნ ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი საგადასახადო შემოსავლებს უკავია, რაც 2023 წლის მეორე კვარტალში 84,5 პროცენტია. ნაერთ ბიუჯეტში 4 900 მილიონი ლარის გადასახადია მიღებული, რაც 23,9 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავალი 20.0 პროცენტით გაიზარდა 1 471 მლნ ლარამდე. შემცირება შეინიშნება მოგებიდან მიღებუ-

ლი შემოსავლის სახით, რომელიც 2022 წლის მეორე კვარტალთან შედარებით ყოველწლიურად 1,6 პროცენტით შემცირდა, შეადგინა 442 მლნ. და მთლიანი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის 9,0 პროცენტი (Ministry of Finance of Georgia, 2023). პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ბიზნესის კრიზისების გათვალისწინებით, საინტერესოა დასაქმების სტატისტიკის ანალიზი, სადაც ჩანს, რომ საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება, ხოლო უმუშევართა რაოდენობა მცირდება (National Statistics Office of Georgia, 2023).

**ცხრილი 12: დასაქმება და უმუშევრობა**

	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024-I
საშუალო ძალა, ათასი კაცი	1641.4	1605.2	1572.8	1523.7	1533.6	1551.6	1596.3	1630.5
დასაქმებული, ათასი კაცი	1286.9	1296.2	1295.9	1241.8	1217.4	1283.7	1334.6	1401.9
უმუშევარი, ათასი კაცი	354.5	309	276.9	281.9	316.2	267.9	261.7	228.6
უმუშევრობის დონე, პროცენტი	21.6	19.2	17.6	18.5	20.6	17.3	16.4	14

წყარო: [WWW.GEOSTAT.GE](http://WWW.GEOSTAT.GE)

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება რეგისტრირებული, აქტიური და ახლად რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობაც და თუ ბოლო 10 წლის დინამიკას გადავხედავთ, 2020 წელს კლება მხოლოდ რამდენიმე კომპონენტში დაფიქსირდა, რისი მთავარი მიზეზიც Covid-19 პანდემიაა (Katamadze G., 2023). ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესთან დაკავშირებული ბოლო წლების ზოგადი სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც მკაფიოდ არის გამოხატული ბოლო სამი წლის ზრდის დინამიკა მნიშვნელოვანი მიმართულებებით. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებული საქმიანობისთვის არსებობს მნიშვნელოვანი წინაპირობები, მათ შორის: ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურა, სრული კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შეღავათიანი რეჟიმები, სპეციალური სტატუსები, სახელმწიფო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტები, კარგი ინფრასტრუქტურა და სხვა. (Katamadze G., 2023). ბიზნესი, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს. სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი აქვს ბიზნეს სუბიექტების განვითარების პროცესში;

ბიზნეს სუბიექტების როლს, თავის მხრივ, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესისა და შედეგებისთვის (Kamtadze G. , 2022).

ბიზნესის ზოგადი ძირითადი მონაცემები ასე გამოიყურება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023 წ.).

**ცხრილი 13: ბიზნესის სტატისტიკა**

	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024-I	2024-II
<b>ბრუნვა, მილიარდი ლარი</b>	71.7	86.6	109	114.3	150.4	181.8	204.6	48.9	53.6
<b>გამომწვეული პროდუქცია, მილიარდი ლარი</b>	38.2	41.6	47.5	46.2	57.6	71.8	77.9	17.9	20.5
<b>დამატებული ღირებულება, მილიარდი ლარი</b>	19	20.7	23.3	22.3	27.8	36.2	39.8	...	...
<b>შუალედური მოხმარება</b>	19.2	20.9	24.2	24	29.8	35.6	38	...	...
<b>ფიქსირებული აქტივები, მილიარდი ლარი</b>	34.9	33.8	36.8	38.7	44.7	46.8	48.8	...	...
<b>დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი</b>	708.2	734.2	756.9	703.9	744.3	779.4	823.6	749.4	769.9
<b>დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი</b>	1019.7	1101.3	1161.7	1222.9	1347.6	1605.9	1827.3	1985.4	2105.5

წყარო: [WWW.GEOSTAT.GE](http://WWW.GEOSTAT.GE)

გეოპოლიტიკურმა არასტაბილურობამ და რთულმა გარემომ ვერ შეაჩერა საქართველო საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების კრიზისამდე არსებულ დონეზე მიღწევისგან. 2020 წელს COVID-19-ის პანდემიამ გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია ეკონომიკის გარკვეული სექტორების და მასში მოქმედი ფირმების საქმიანობის დროებითი ჩაკეტვის გამო. ეს ჩაკეტვა აღმოჩნდა ეფექტური მექანიზმი ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად ადამიანებს შორის კონტაქტების შეზღუდვით (Papava, 2021). 2020 წელს, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო ეკონომიკის წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების საპასუ-

ხოდ, მენარმეობის ხელშეწყობა გაფართოვდა ბიზნესის ხელშეწყობის არსებული პროგრამების მიმართულებით. კერძოდ, გაფართოვდა საწარმოო და სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით პროცენტის სუბსიდიების არსებული სქემა, შეიცვალა საკრედიტო გარანტიის მექანიზმის დიზაინი და გამოცხადდა მიკროგრანტების კონკურსის ახალი ეტაპი გამზრდილი დაფინანსებითა და დაფარვით. ამასთან, შემუშავდა ბიზნესის ხელშეწყობის დამატებითი ეფექტური მექანიზმები, კერძოდ, ტურიზმის, რესტორნების ინდუსტრიის, ღონისძიებების ორგანიზატორებისა და სამშენებლო სექტორში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს სააგენტოს ბიუჯეტი 57.5 მილიონი ლარიდან 477 მილიონ ლარამდე გაიზარდა (ENTERPRISE GEORGIA, 2020).


Covid-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გამოწვევები შეუქმნა ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობას. ამ ვითარებაში განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესი დაზარალდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, Covid-19-ის პანდემიამ და შესაბამისმა ეკონომიკურმა კრიზისმა ბიზნეს სექტორში ლიკვიდურობის სერიოზული პრობლემა შექმნა. შესაბამისად, კერძო სექტორის მიმართ სახელმწიფო დახმარება მიმართული იყო ლიკვიდურობის პრობლემის შესარბილებლად, როგორც საგადასახადო ვალდებულებების გაუქმების ან გადავადების, ასევე პირდაპირი ფინანსური დახმარების განვების გზით. ამ მიზნით შეიცვალა სახელმწიფო ფინანსური დახმარების პროგრამები, კერძოდ შეიცვალა თანადაფინანსების ვადები და ლიმიტები და გაფართოვდა თანადაფინანსების ნებადართული სფეროების სია. ასევე, უკვე არსებულ ინსტრუმენტებს დაემატა ახალიც. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2021 წ.). Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული მნიშვნელოვანი და სწრაფი ცვლილებები გლობალურ მიწოდების ჯაჭვში საქართველომ შესაძლოა გამოიყენოს როგორც შესაძლებლობა, მაქსიმალურად აითვისოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა ამიური და ევროპული ტვირთების გადაზიდვის პროცესში (Katamadze & Katamadze, 2023).

საქართველოში სურსათის ტრანსპორტირება ვერ აკმაყოფილებს 2030 წლის დღის წესრიგით გათვალისწინებული მდგრადი განვითარების მიზნებს, სატრანსპორტო ბაზარზე ჩამოყალიბებულია ასიმეტრიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მცირეა ტრანსპორტის როლი ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში. მდგრადი ტრანსპორტი გადამწყვეტია სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად, ადგილობრივი წარმოების გამზრდისა და სურსათის ბაზრების განვითარებისთვის (Kharaishvili & Gechbaia, 2023). საერთაშორისო შეფასება უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკ-

ონომიკური მდგომარეობისთვის, რადგან ის არის მაკროეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მონაცემების პირველი წყარო და ადვილად ხელმისაწვდომია. ეს მონაცემები ნამდვილად შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან მიმოხილვას ინვესტორისათვის ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელებამდე. მსოფლიო ბანკის „Doing Business“-ის რეიტინგის მიხედვით, საქართველო წამყვან პოზიციებს იკავებს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2022 წ.).

**ბიზნესის კეთების რეიტინგი (საქართველო)**

**World Bank “Doing Business”**



წყარო: [WWW.ECONOMY.GE](http://WWW.ECONOMY.GE)

2023 წლის პირველ ნახევარში ტურიზმიდან შემოსავალი 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 58%-ით გაიზარდა და 1804,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2023 წლის პირველ ნახევარში ტურიზმიდან შემოსავალი 24%-ით გაიზარდა 2019 წლის პირველ ნახევართან შედარებით. ყველაზე ძლიერი აღდგენა დაფიქსირდა ისრაელის, თურქეთის, უკრაინის, ევროკავშირისა და რუსეთის მხრიდან (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023 წ.).

პოსტ-კოვიდ პერიოდის ეკონომიკური ანალიზის დროს ასევე მნიშვნელოვანია რუსეთ-უკრაინის ომის ფაქტორი, რის გამოც საგრძნობლად გაიზარდა დროებითი მაცხოვრებლების რაოდენობა უკრაინიდან, რუსეთიდან და ბელორუსიდან. ამასთან, შემოსული დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის ფონზე მკვეთრად გამყარდა ეროვნული ვალუტა - ლარიც. აღსანიშნავია, რომ დიდი რაოდენობით შემოსული უცხოელები დასახლდნენ ტურისტებისთვის მიმზიდველ ქალაქებში, სადაც ინფრასტრუქტურა ოპტიმალურად არის შენარჩუნებული. ქალაქებში (განსაკუთრებით ბათუმსა და თბილისში) ახლად გახსნილი საერთო სამუშაო სივრცეების სიმრავლე მოწმობს, რომ მათთვის სწრაფ ინტერნეტზე წვდომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შეძლონ ონლაინ დისტანციურად მუშაობა. ამ ყველაფერთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ COVID-19-ის პანდემიამ დააჩქარა ციფრული ეკონომიკის გაფართოება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (Lucaci, Nastase, & Aceleanu, 2022).

ზოგიერთი კვლევაში ვკითხულობთ, რომ თითქმის ყველა მაკროეკონომიკური ინდიკატორი შენეულა ან გახდა არაპოზიტიური, რაც მიუთითებს Covid 19-ის უარყოფით ეფექტზე განუვითარებელი ქვეყნების ეკონომიკაში. ანალოგიურად, მიკრო დონეზე, მიმოხილვა აჩვენებს, რომ მან სერიოზული გავლენა მოახდინა ეროვნულ ეკონომიკასა და კომერციულ კომპანიებზე (Tisha, 2021). COVID-19 პანდემია ნათლად ასახავს ამ ეფექტებს მთელ მსოფლიოში. ამრიგად, პოლიტიკის განმსაზღვრელებმა და კანონმდებლებმა გულდასმით უნდა გააანალიზონ ეს ფენომენი, რათა შექმნან ახალი, სტრუქტურირებული წესები, იმისათვის რომ დაეხმაროს ბიზნესებსა და ინდივიდებს, თავიდან აიცილონ გაურკვევლობის უარყოფითი გავლენა კორპორაციულ საქმიანობებზე (Saud Asaad Al-Thaqeb, 2022). მოგზაურობისა და მობილურობის შეზღუდვამ სერიოზული გავლენა მოახდინა შრომის ბაზრებზე, ასევე მომხმარებელთა მოთხოვნაზე პროდუქტებსა და მომსახურებაზე, დამატებით ასევე იმოქმედა მასალების ტრანსპორტირებაზე, რამაც გააუარესა კომპანიების არაადეკვატურობა წარმოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რაც გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე და ტალღოვანი ზეგავლენა მოყვა ეკონომიკაზე (Delardas, Kechagias, Pontikos, & Giannos, 2022).

2023 წლის მესამე კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობები 19.4%-ით გაიზარდა ყოველწლიურად და 2,706,863 შეადგინა. საერთაშორისო მოგზაურობები ასევე მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ მოგზაურობებს. 2023 წლის მესამე კვარტალში საერთა-




შორისო ვიზიტორთა რიცხვმა 2,298,720-ს მიაღწია (21.0%-ით მეტი 2022 წლის მესამე კვარტალთან შედარებით).

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული მოგზაურობების უმეტესი ნაწილი იყო რუსეთიდან (571,421, ზრდა წინა წელთან შედარებით 7,2%), თურქეთიდან (498,892, ზრდა 77,3% წინა წელთან შედარებით) და სომხეთიდან (338,970, ზრდა 4,0% წინა წელთან შედარებით). 2023 წლის მესამე კვარტალში შემოსავალმა უცხოური მოგზაურობიდან 1,447,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5,3%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით (საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2023 წ.).

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით, 2023 წლის მეორე კვარტალში საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა ყველაზე მაღალი წილი მთლიან შიდა პროდუქტში (15.5%). მნიშვნელოვანი წილი დაფიქსირდა რამდენიმე სექტორზე, კერძოდ, უძრავი ქონებით საქმიანობა (10.6%), წარმოება (8.9%), მშენებლობა (7.7%), სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზაობა (7.7%), სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა (6.9). % და ტრანსპორტირება და შენახვა (6.0%) (საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2023 წ.).

### დიაგრამა 1: მშპ და ეკონომიკური ზრდა



წყარო: <https://www.mof.ge/4552>



ბიზნეს სუბიექტები უნდა იყვნენ ადაპტირებული ბიზნეს გარემოსთან, რომელიც ექვემდებარება სხვადასხვა ფაქტორებით გამოწვეულ მრავალ ცვლილებას. სწორედ ამიტომ კომპანიებმა და მათმა მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი: 1) ქვეყანაში მიმდინარე პროცესები; 2) კომპანიის საქმიანობაში ნებისმიერი ცვლილების ადეკვატური ასახვა ან ადაპტაცია (Katamadze G., 2022).

ძირითადი მიზნის მისაღწევად მაკროეკონომიკურ გარემოში მნიშვნელოვანი განვითარების უზრუნველსაყოფად დროულად არის გამოვლენილი და გადაწყვეტილების მიმღები პირები ალტერნატიული არიან უახლესი ინფორმაციით შესაბამისი პოლიტიკის დასაგეგმად/დასარეგულირებლად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ყოველთვიურად, კვარტალურად და ყოველწლიურად ახორციელებს მაკროეკონომიკურ მიმოხილვებს. 2023 წლის კვარტალური ანგარიშის მიხედვით:

- 2023 წლის III კვარტალში, წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ 5.4%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა აგვისტოში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ პროგნოზირებულ 6,9%-ზე ნაკლებია.
- 2023 წლის მესამე კვარტალში, წლიური ინფლაცია 0.6%,-ს შეადგენდა, რაც ინფლაციის 3.0%-ან მიზანზე დაბალია.
- 2023 წლის მესამე კვარტალში კონსოლიდირებული ბიუჯეტის უარყოფითმა მთლიანმა ბალანსმა 834.5 მლნ ლარი შეადგინა.
- სახელმწიფო ვალი ნომინალური თვალსაზრისით ზრდის ტენდენციას ავლენს. შემცირდა საგარეო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალში. კერძოდ, საგარეო ვალის წილმა 73.7% შეადგინა, ხოლო 2022 წლის მესამე კვარტალში იგივე მაჩვენებელი 76.3% იყო.
- 2023 წლის მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის ბალანსი გაუარესდა. კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა ბალანსმა 366.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- 2023 წლის მესამე კვარტალში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 5,273.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- 2023 წლის მესამე კვარტალში ექსპორტის წილი საგარეო ვაჭრობაში 30.0%-დან 28.7%-მდე შემცირდა (წინა წელთან შედარებით).
- 2023 წლის მესამე კვარტალში ფულადი გზავნილები წინა წელთან შედარებით 15.1%-ით შემცირდა და 872.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი 2023 წლის სექტემბრიდან 10.0%-მდე შემცირდა.

- ლარი დოლართან მიმართებაში კვარტალში 2.4%-ით გაუფასურდა, წინა წელთან შედარებით კი 7.7%-ით.
- წინა წელთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე (საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2023 წ.).

როგორც ოფიციალურ წყაროებსა და მონაცემებზე დაფუძნებულმა კვლევამ აჩვენა, ამჟამად, პოსტპანდემიური მაკროეკონომიკური მდგომარეობა და დინამიკა საქართველოში დადებითია. მიუხედავად ბოლო წლების პანდემიისა და ომების მძიმე შედეგებისა, ქვეყნის განვითარება შეუქცევადად, დაგეგმილი პროექტები და პროგრამები კი ნორმალურად, შეზღუდვებისა და შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს.

მაკროეკონომიკური ფაქტორები აძლიერებს ბიზნეს სუბიექტის კრიზისის გამომწვევ შიდა ფაქტორებს და შესაბამისად კომპლექსური, მრავალფაქტორიანი კრიზისული სიტუაციები უფრო რთულ სტაბილიზაციისა და საბოლოო რეაბილიტაციის ღონისძიებებს საჭიროებს. თუ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია მაგ., კომპანიის ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, მაგრამ ქვეყანაში კვლავ გრძელდება საგარეო შოკების გავლენით ვალუტის კურსის მერყეობა, შესაძლებელია ანტიკრიზისულ ღონისძიებებში ჩადებული ინვესტიცია კიდევ უფრო ბარალიანი აღმოჩნდეს კომპანიისათვის. შესაბამისად სახელმწიფოს როლი მაკროეკონომიკური ფაქტორების სტაბილიზაციისათვის არის ბიზნესისათვის გადაწყვეტი.

თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობებს მხარდამჭერი ქვეყნის პასუხისმგებლიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფა, დაბალი გადასახადები და ზოგადად მდგრადად განვითარებადი ეკონომიკური პროცესების ხელშეწყობა წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობა მაკროეკონომიკურ ფაქტორების ანალიზისას ძირითადად ეყრდნობა შემდეგ საერთაშორისო რეიტინგების მონაცემებს, ესენია:

- Doing Business-ი არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილი, რომლის ანგარიშიც ქვეყნდება ყოველწლიურად. მსოფლიო ბანკი ბიზნესის კეთების რეიტინგს ათი სხვადასხვა ინდიკატორით ადგენს და აფასებს იმ რეგულირებებს, რომელიც აძლიერებს ან აფერხებს ბიზნეს-საქმიანობას;
- Fraser Institute - წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების მიმოხილვას. მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება ზო-

მავს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას 5 ძირითადი სფეროს მიხედვით;

- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ბიზნესის დაწყების, ფუნქციონირებისა და დახურვის შესაძლებლობის შეფასებას ახდენს;
- მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს;
- კორუფციის აღქმის ინდექსი მოიცავს კორუფციის საერთო მოცულობას (სიხშირე ან/და კორუფციული გარიგებების მოცულობა) როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ სექტორში და ახდენს ქვეყნების რანგირებას კორუფციის აღქმის მიხედვით;

საქართველოს მთავრობა ასევე ყურადღებას აქცევს ისეთ საკრედიტო რეიტინგებს როგორცაა: S&P (Standard and Poors), Moody's და Fitch, რომელთა მიერ საქართველოსთვის რეიტინგების მინიჭების პრაქტიკა 2005 წლიდან იწყება.

- სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული საგარეო შოკების გავლენით სავალუტო ბაზრის მკვეთრი ცვალებადობისაგან დაცვაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ბაზარზე ინტერვენციები. სახელმწიფოს როლი, მისი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, შესაძლებელია გადამწყვეტი აღმოჩნდეს ბიზნეს სუბიექტების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების საქმეში.
- საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულება მაქსიმალური მონიტორინგისა და დახმარების რეჟიმში იმყოფებოდა. მთავრობა ცდილობდა ნაკლები ზეწოლა მოეხდინა ბიზნესზე, მიუხედავად მკაცრი შეზღუდვებისა მთელ მსოფლიოში..
- მთავრობის მიერ განხორციელებული ფინანსური ინტერვენციები როგორც ჯანდაცვის, ისე ეკონომიკის მიმართულებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც ბიზნეს სუბიექტებისთვის, ასევე მთლიანად ქვეყნისთვის;
- პანდემიის დასრულების შემდეგ ეკონომიკამ სწრაფად გაუმჯობესება დაიწყო, მაგრამ ეს ყველაფერი დაემთხვა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებას, რამაც კვლავ შექმნა არასტაბილური ეკონომიკა-

ური და პოლიტიკური ვითარება რეგიონში. თუმცა, ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან და სხვა ქვეყნებიდან დროებითი რეზიდენტების მიერ უცხოური ვალუტის შემოდინების გამო, ეროვნული ვალუტა დასტაბილურდა და დაიწყო გამყარება.

- როგორც კვლევამ აჩვენა, ამ დროისთვის საქართველოს მაკროეკონომიკური მონაცემები კარგია და მკვეთრ რყევებს არ განიცდის. მონეტარული, ფისკალური და ზოგადი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მკაფიო მიმართულებები იძლევა პოზიტიური პროგნოზების გაკეთების საშუალებას.

## **2.2 მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები და საბანკო პოლიტიკის გამომწვევები პანდემიისა და პოსტ-პანდემიურ პერიოდში;**

ფინანსური ინსტიტუტები ქმნიან ძლიერ რგოლს თანამედროვე მსოფლიოს ბიზნეს ოპერაციების ჯაჭვში; გარდა ამისა, ისინი ასევე შეიძლება ჩაითვალოს დამაკავშირებლად. Covid-19-ის პანდემიის დროს ფინანსური ინსტიტუტები მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც მთელი რიგი პრობლემებისა და გამომწვევების წინაშე დადგა: ერთის მხრივ, დიდი რაოდენობით გაიცა სამომხმარებლო და ფიზიკურ პირებზე იპოთეკური სესხები, ხოლო მეორე მხრივ, ბიზნეს სუბიექტებზე საბრუნავი და ძირითადი საშუალებების, უძრავი ქონების შესყიდვისა და სხვა მიზნებისთვის გაცემული სესხები, მათი საკრედიტო პორტფელის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. პანდემიამ ფიზიკური და იურიდიული პირები ფორს-მაჟორულ სიტუაციაში შეიყვანა, ხოლო ფინანსური ინსტიტუტების გადაწყვეტილებები გადამწყვეტი იყო მათი სიცოცხლისუნარიანობისთვის. თუმცა, ამ თავში ჩვენი მიზანია განვიხილოთ საკრედიტო პოლიტიკის გავლენა ბიზნეს სუბიექტებზე და მათ განვითარების პროცესებზე.

წინამდებარე თავში განხილულია ფინანსური ინსტიტუტების პოლიტიკა Covid-19-ის პანდემიისა და პოსტ-პანდემიურ პერიოდში, მიღებული გადაწყვეტილებების ქრონოლოგია და ასეთი გადაწყვეტილებების შედეგები ხელმისაწვდომ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე დაკრედიტების გავლენა ბიზნეს სუბიექტებზე და განსაზღვრულია თანამედროვე ტენდენციები და გამომწვევები. ასვე განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პანდემიამდე და მის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები სესხებისა და ფინანსური ტრანზაქციების შესახებ. ფინანსური ინსტიტუტები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური პროცესების

ფუნდამენტურ კომპონენტებს, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა ფინანსურ ტრანზაქციას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, ასევე უზრუნველყოფენ ბიზნესის დაფინანსების პროცესს, რაც აუცილებელია ბიზნეს სუბიექტების სტაბილური და უწყვეტი ფუნქციონირებისთვის. ფინანსურ ინსტიტუტებს შეიძლება ჰქონდეთ არსებითი გავლენა როგორც ქვეყნის მთლიან ეკონომიკურ პროცესებზე, ასევე ბიზნეს სუბიექტების მიკროეკონომიკურ საქმიანობაზე. ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის მიერ უპასუხისმგებლო დაკრედიტებამ შესაძლოა კომპანია მიიყვანოს მოულოდნელ, ფორსმაჟორულ, კრიზისულ სიტუაციამდე, რაც ხშირად იწვევს გაკოტრებას და კომპანიის საქმიანობის შეწყვეტას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს საქმიანობის შეჩერებას უმეტეს შემთხვევაში ვალეზულებებია დაფარვის სირთულე მოჰყვება. ვადაგადაცილებული სესხები იწვევს დამატებით ჯარიმებს; თუ ისინი დროულად არ გადაიხადეს, კომპანიის წინააღმდეგ იწყება შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებები, ბანკი ართმევს და ყიდის სესხის უზრუნველყოფის გარანტირებულ ქონებას.

მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებზე. მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნება, მასზე მოქმედი ფაქტორების რეგულირება და ზედამხედველობა, როგორცაა რესურსების ხელმისაწვდომობა და სხვა. ბოლო წლების განმავლობაში, გლობალური კრიზისების კონტექსტში (Covid-19 პანდემია, ომები სხვადასხვა ქვეყნებს შორის), კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ბიზნეს სუბიექტების მდგრადობის შენარჩუნება, რადგან ეს არის საკითხი, რომელზეც დიდი გავლენა იქონია მიმდინარე გამოწვევებმა, როგორც ბიზნეს საოპერაციო ციკლის, ისე მისი მართვის თვალსაზრისით და რომელშიც ფინანსური ოპერაციები კრიტიკულ როლს თამაშობს. პანდემიამ წარმოქმნა ფორსმაჟორული მდგომარეობა, რომელიც გადაიზარდა კრიზისში (Katamadze & Tsiklashvili, 2024). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ანტიკრიზისული მართვის ზოგადი მეთოდოლოგია, რომელიც ზოგადია და ძირითადად მოიცავს ხარჯების შემცირებას, დებიტორული დავალიანების დაჩქარებას, საკრედიტო ვალდებულებების რესტრუქტურირებას და კომპანიის რეორგანიზაციას. ამჟამად საქართველოში მოქმედი ძირითადი საფინანსო ინსტიტუტების შესახებ მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

**ცხრილი 14: ფინანსური ინსტიტუტები საქართველოში**

ფინანსური ინსტიტუტები								
პერიოდი	კომერციული ბანკები				არასაბანკო სადეპოზიტო დანესხებულებები	მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	სესხის გამცემი სუბიექტები	ვალუტის გადამცემი პუნქტები
	სულ	უცხოური კაპიტალის მონაწილეობით	ფილიალები	სერვის-ცენტრები				
01-2023	15	13	139	764	1	36	176	691
02-2023	15	13	140	767	1	36	174	695
03-2023	15	13	142	771	1	35	174	699
04-2023	15	13	142	771	1	35	173	696
05-2023	15	13	142	768	1	35	172	697
06-2023	15	13	144	760	1	34	172	705
07-2023	15	13	145	760	1	34	168	711
08-2023	15	13	145	752	1	34	166	719
09-2023	15	13	145	754	1	34	165	725
10-2023	15	13	145	757	1	34	167	724
11-2023	16	14	145	760	1	34	168	725
12-2023	17	15	146	759	1	34	169	728
01-2024	17	15	146	760	1	34	168	709
02-2024	17	15	148	760	1	34	167	708
03-2024	17	15	148	761	1	34	167	713
04-2024	17	15	149	763	1	34	165	704
05-2024	17	15	149	761	1	34	164	706
06-2024	17	15	149	757	1	34	164	709
07-2024	17	15	149	760	1	34	162	716

წყარო: <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

პანდემია ბევრ სხვადასხვა სახის პრობლემას უქმნის ბანკებს. მოსალოდნელია, რომ მდგომარეობა გაუარესდება ფინანსური ბაზრის სუსტი სტრუქტურის მქონე ქვეყნებში (Barua and Barua). პანდემიამ მთლიანად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკა და საოცრად იმოქმედა ბიზნესის უმეტესობაზე. საბანკო სისტემა არსებით როლს ასრულებს ამ სიტუაციაში, რადგან ეკონომიკური თვალსაზრისით ის საკვანძო კომპონენტია (Marcu). ფინანსური ინსტიტუტები, გადასახადები, საერთაშორისო ვაჭრობა, გა-



რემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებები, შრომის რეგულირება, კონკურენცია და ანტიმონოპოლიური საქმიანობა, ეს არის მთავარი ჩამონათვალი, რომელთა ერთობლიობა ქმნის მდგრად ეკონომიკურ და კონკურენტულ ბიზნეს გარემოს, რაც წარმოადგენს უმთავრეს პირობას ბიზნეს სუბიექტების წარმატებული საქმიანობისთვის (Katamadze, 2023). ფინანსური სექტორი არის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის წამყვანი მიმართულება, რომელიც ასევე პირდაპირ აისახება სოციალურ მდგომარეობაზე. სწორედ ამიტომ, პანდემიამ საფრთხის ქვეშ დააყენა სხვადასხვა სფერო, მათ შორის მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შრომით უფლებებსა და ურთიერთობებზე (Katamadze, G., Tavdgiridze, L., & Bolkvadze, M., 2023).

ბიზნესი სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ამ სფეროებს და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ანტიკრიზისული გეგმების შემუშავება მათი მდგრადობის უზრუნველსაყოფად (Katamadze, 2022). მონეტარული პოლიტიკა ყველაზე დიდ გავლენას ახდენს კომერციული ბანკების დაკრედიტების გადაწყვეტილებებზე იმ ქვეყნებში, სადაც უფრო ძლიერი ინსტიტუტები, ძლიერი ფინანსური სტრუქტურები და კონკურენტუნარიანი საბანკო სისტემებია (Mishra, Montiel, Pedroni, & Spilimbergo, 2014). მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ბუნდოვანება არის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რისკის ფაქტორი საბანკო სესხების განაკვეთების განსაზღვრისათვის (Ashraf & Shen, 2019). ცენტრალური ბანკები, როგორც წესი, არბილებენ პოლიტიკას, როდესაც ეკონომიკა სუსტია და აძლიერებენ პოლიტიკას, როდესაც ეკონომიკა უფრო ძლიერია (Arestis, Philip, Sawyer, & Malcolm, 2002). თუმცა, ბოლოდროინდელი კრიზისების პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანია მსოფლიო განვითარების ფაქტორის აღნიშვნა, კერძოდ, გლობალიზაციას, შეუძლია გავლენა მოახდინოს ცენტრალური ბანკების მოტივაციაზე, გააკონტროლონ ინფლაცია, ასევე ინფლაციის ტენდენციებზე მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში (Mishkin). ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობიდან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკისა და მისი სისტემატური ანალიზისთვის შესწავლილ იქნა ოფიციალური დოკუმენტაცია და მონაცემები. ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებულ იქნა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და ზოგადი ეკონომიკური პარამეტრების გასაანალიზებლად. კომპანიებთან ჩატარდა ჩალრმაგებული ინტერვიუები სასესხო პოლიტიკისა და ბიზნეს სუბიექტების ზოგადი ტენდენციების შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად. საბოლოოდ, ყველა შედეგის სინთეზირებით მივიღეთ ანალიზი შესაბამისი დასკვნებით. ცალკეულმა



ეკონომიკურმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა იმოქმედონ გამართულად ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისთვის. ფინანსური ინსტიტუტები ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებენ, რადგან ისინი ხელს უწყობენ სახსრების გადინებას, მიმოქცევას და დაფინანსებას მრავალი მიმართულებით. საქრთველოში ეკონომიკური ტენდენციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ღია ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნებზე, როგორც საქრთველოში. დღევანდელ მსოფლიოში მუდმივად ვითარდება ფინანსური ტრანზაქციების ადმინისტრირების მეთოდები და მექანიზმები, რაც დაკავშირებულია ბანკების განვითარებასთან და ზოგადად ფინანსური სექტორის წარმატებებთან. სახელმწიფო მონეტარული პოლიტიკის გადამწყვეტილებები და განსაკუთრებით საკრედიტო პოლიტიკის კორექტირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე. საქრთველოს ეროვნული ბანკი მუდმივად მუშაობს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება/გაუმჯობესებისა და მონეტარული მექანიზმის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით (Katamadze, 2020).

საქრთველოში სხვადასხვა ფინანსურ ოპერაციებში ფულის მიმოქცევას, ძირითადად, კომერციული ბანკები ახორციელებენ, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი სამართლებრივი და ორგანიზაციული სტრუქტურით, მაგრამ ყველა ბანკის ერთ-ერთი უპირველესი მახასიათებელია ის, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან სხვადასხვა ფინანსურ ოპერაციებზე და ასევე ასრულებენ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ვალდებულებას. საქრთველოს ეროვნული ვალუტა „ლარი“ ოფიციალურად 1995 წლის 25 სექტემბერს შევიდა მიმოქცევაში და იმავე წლის 2 ოქტომბერს იგი აღიარებულ იქნა გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებად მთელ საქრთველოში (საქრთველოს ეროვნული ბანკი თ.გ.). 2014 წლის 7 ივლისს საქრთველოს ეროვნულმა ბანკმა საბჭომ დაამტკიცა ლარი, როგორც ქართული ვალუტის სიმბოლო (საქრთველოს ეროვნული ბანკი თ.გ.).

საქრთველოს კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ეროვნული ბანკი თავის ოპერაციებს დამოუკიდებლად ახორციელებს. საქრთველოს საკანონმდებლო და სამთავრობო მოხელეებს არ აქვთ უფლება ჩაერთონ ეროვნული საბანკო ჯგუფების ოპერაციებში. საქრთველოს ორგანული კანონი „საქრთველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ განსაზღვრავს საქრთველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის, პასუხისმგებლობებსა და უფლებამოსილებებს, ასევე მისი საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპებს და დამოუკიდებლობის უზრუნველყო-

ფას. საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილ მონეტარული და საგალუტო პოლიტიკის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას (მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, 2024 წ.). საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ვალდებული არიან 2021 წლიდან უზრუნველყონ კომერციული ბანკების შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარები. ამ გზით ზედამხედველებს შეუძლიათ შეაფასონ შესაბამისობა გარე ინსტრუმენტებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ეროვნული საბანკო ჯგუფების მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებთან/სახელმძღვანელო შენიშვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან ერთად.

პანდემიის პერიოდში მენარმეებმა ვერ შეინარჩუნეს თავიანთი ფინანსური მდგომარეობა, რადგან მათ უნდა გადაეხადათ ყველა ფიქსირებული ხარჯი, როგორცაა სესხის განვადება, ხელფასი, ელექტროენერჯის გადასახადები და ა.შ. მუდმივი შემოსავლის გარეშე (Boro, 2022). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფო მონეტარული პოლიტიკის შესახებ გადამწყვეტილებები და განსაკუთრებით, საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური პროცესებისთვის (Katamadze, 2020). სესხის პროცესის ფაქტორების უგულებელყოფით წარმოიქმნება უპასუხისმგებლო დაკრედიტება, რომელიც შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: უპასუხისმგებლო დაკრედიტება არის ფინანსური ინსტიტუტის დაკრედიტება მის არსებულ ან პოტენციურ კლიენტზე რისკებისა და ფინანსური მდგომარეობის ყოვლისმომცველი შეფასების გარეშე, რაც მოიცავს მიზანმიმართულ, მოსალოდნელი რისკების უგულებელყოფას ან არაკეთილსინდისიერი მოგების მიზანმიმართულ იგნორირებას, გამიზნული ფინანსური პროდუქტის გასაყიდად. საბანკო ინდუსტრიის უმთავრეს პრიორიტეტად უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებელი დაკრედიტება, რადგან ის არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომლის უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს კრიზისი ბიზნეს სექტორში, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. დაკრედიტების სტრატეგია ასევე მოიცავს ვალუტებთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, რადგან ვალუტის კურსის მერყეობამ შესაძლოა პრობლემები შეუქმნას ბიზნეს სუბიექტებს. ფინანსური ინსტიტუტების პროდუქტები უნდა იყოს გამჭვირვალე, გამოყენების მკაფიო პირობებით. ამ სერვისებთან დაკავშირებული კონტრაქ-

ტები უნდა იყოს მოქნილი, მარტივი ენით დაწერილი; ამ სფეროში მთავრობის მიზანი უნდა იყოს ყველაზე მკაცრი რეგულაციების დადგენა ფინანსურ/ეკონომიკური კონცეფციების ნიუანსების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ნაწილში (Katamadze, G., & Abuselidze, G., 2016). ეკონომიკური ცნობიერების გაძლიერება და ეკონომიკასთან დაკავშირებული თემების საბაზისო შესწავლა/განხილვა სკოლამდელ საფეხურზე არის მომავალი წარმატებული მოქალაქეებისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარებით აღჭურვილი ადამიანების ჩამოყალიბების ქვაკუთხედი (Tavdgiridze, Katamadze and Bolkvadze). მონეტარული პოლიტიკის პროგრესულმა შემსუბუქებამ გაზარდა საკრედიტო აქტივობა. 2024 წლის მარტში საკრედიტო ზრდა 17,3 პროცენტამდე გაიზარდა. საკრედიტო აქტივობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამომხმარებლო და ბიზნეს სესხების ზრდამ. მონეტარული პოლიტიკის დაბალანსებასთან ერთად იზრდება ბიზნეს სესხები ლარში. ამავდროულად, საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციულმა პოლიტიკამ, რომელმაც 2023 წლის 1 ნოემბერს არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ხანგრძლივობა ოთხ წლამდე გაახანგრძლივა, სამომხმარებლო კრედიტის აქტივობის ზრდას შეუწყო ხელი. შედეგად, სამომხმარებლო სესხების ზრდამ 2023 წლის ბოლოსთან შედარებით 1,5% გაიზარდა და 26,4%-ს მიაღწია (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2024 წ.).

საქართველოს მთავრობის ჩარევამ Covid-19-ის პანდემიის მართვის პროცესში სერიოზულად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. პანდემიის დროს მთავრობამ პრიორიტეტად მიიჩნია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის მონიტორინგი და დახმარება. მიუხედავად გლობალური შეზღუდვებისა, მთავრობა ცდილობდა შეემცილებინა გენოლა ბიზნესზე (Katamadze, Petrova, & Tsiklashvili, 2024). 2023 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.9%-ით გაიზარდა. 2023 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-ს თანაფარდობამ მიაღწია ისტორიულ მინიმუმს 4,3%-ს. 2024 წლის პირველ კვარტალში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურად 1.9%-ით, ხოლო წლიურად 13.1%-ით შეფასდა. საგარეო შოკების თანდათანობით შემსუბუქებასთან ერთად, 2023 წლის დასაწყისიდან იმპორტირებულ საქონელზე ფასები შემცირდა, რამაც შეამცირა იმპორტირებული ინფლაცია. შერეულ პროდუქტებზე წინა წელთან შედარებით ფასები 1,9%-ით შემცირდა.

**ცხრილი 15: მშპ საქართველოში**

	2019	2020	2021	2022	I 23*	II 23*	III 23*	IV 23*	2023*	I 24*
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	49.7	49.8	60.7	72.9	16.9	19.7	21.3	22.3	80.2	18.9
მშპ მუდმივ 2019 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	49.7	46.6	51.6	57.2	12.6	14.9	16.5	17.4	61.5	13.7
რეალური მშპ-ის ზრდა, პროცენტი	5.4	-6.3	10.6	11	8.2	8.1	7	6.9	7.5	8.4
მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი	4	6.8	10.2	8.1	7.5	2.4	0.7	0.7	2.5	3.1
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	13 366.7	13 374.3	16 373.8	19 625.6	4 556.7	5 293.8	5 739.5	6 007.7	21 597.8	5 119.1
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4 741.4	4 300.8	5 083.6	6 731.2	1 728.3	2 069.1	2 189.4	2 229.8	8 218.8	1 916.4
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	17.6	16	18.9	25	6.4	7.7	8.1	8.3	30.5	7.1

\* განახლებული მონაცემები გამოქვეყნდება 2024 წლის 15 ნოემბერს

წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)


ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 17 კომერციული ბანკი და 34 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ეს არის ის ძირითადი ინსტიტუტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკურ პროცესებში. ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ზედამხედველობას უწევს კომერციულ ბანკებს. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა სამართლებრივი აქტები მოიცავს მოთხოვნებს კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და კონტროლის შესახებ. რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის ცნებები ემსახურება ეროვნული ბანკის საბანკო ინდუსტრიის ზედამხედველობის საფუძველს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ უფრო რთული ან მაღალი რისკის მქონე ორგანიზაციები ან ტრანზაქციები უფრო მეტ ზედამხედველობის რესურსს იღებენ. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ნორმები და პრინციპები, ისევე როგორც

ევროკავშირის კანონმდებლობა და მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკა, საფუძვლად უდევს საბანკო ზედამხედველობასა და რეგულირების მოთხოვნებს. საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი მიმართულებიდან პირველი არის ფინანსური სექტორის გამჭვირვალობა. გამჭვირვალობის უფრო მაღალი დონე ხელს უწყობს ინფორმაციის ასიმეტრიის შემცირებას, ფინანსური ინდუსტრიის მიმართ ნდობის გაზრდას და ინვესტორებისა და მომხმარებლების უფლებების დაცვას. ამისათვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ყოვლისმომცველი გაუმჯობესება განახორციელა. ფინანსური სექტორის გამჭვირვალობის ერთ-ერთი კომპონენტია კომერციული ბანკების ინფორმაციის გამჭვირვალობა. პილარ 3 და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადებული ანგარიშები ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის რეგულაციების შესაბამისად. ეს მოიცავს დეტალებს მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნების, კორპორატიული მმართველობის, რისკების მართვისა და საბანკო რისკების ზემოქმედების შესახებ. კომერციული ბანკების მიერ საზედამხედველო ორგანოსთვის მიწოდებული სხვადასხვა ანგარიშები (პილარ 3 წლიური ფორმები; პილარ 3 კვარტალური ფორმები; ზედამხედველობის სხვა ფორმები). საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ეკონომიკის არსებული ვითარებიდან გამომდინარე დაიწყო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი შემცირება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წელს დაიწყო უფრო მკაცრი მონეტარული პოლიტიკის თანდათანობითი შემცირება და 2024 წლის იანვრამდე საპროცენტო განაკვეთი ჯამში 2.0%-ით, 9.0%-მდე შემცირა (საქართველოს ეროვნული ბანკი). პანდემიის პერიოდში, კომერციული ბანკების კლიენტებს სესხებზე სამთვლიანი საშელავათო პერიოდი მიეცათ. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვნად შეარბილა მარეგულირებელი სტანდარტები სესხის დაფარვის საშელავათო პერიოდთან დაკავშირებით, რომელიც კომერციულმა ბანკებმა მოითხოვეს. ეს საშუალებას აძლევდა კომერციულ ბანკებს ჰქონოდათ მოქნილობის უდიდესი დიაპაზონი, როდესაც საქმე ეხებოდა მომხმარებლებისათვის ვალდებულებების რესტრუქტურირებას. ამ პროცესში მონაწილეობა მიიღო მიკროსაფინანსო სექტორმაც (COVID-19). ზოგიერთი მეცნიერის აზრით: ბევრ ქვეყანაში ცენტრალურმა ბანკებმა დაიწყეს „ფულის ბეჭდვა“ პანდემიის საპასუხოდ (Wei and Han). ტენდენციის ანალიზი, რომელიც ეფუძნება ბანკის საშუალო მაჩვენებელს და ფი-

ნანსურ სტაბილურობას კვარტალურ პერიოდებში, განსაზღვრავს ბანკის სტაბილურობის აღდგენის ნიშანს 2020 წლის მეორე კვარტალში (Elnahass, Trinh and Li).

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ათი წლის განმავლობაში და მნიშვნელოვნად შემცირდა სესხებზე საპროცენტო განაკვეთები როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

**დიაგრამა 2: სესხებზე საპროცენტო განაკვეთები**




წყარო: ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2023 ([www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge))

ფინანსური სტაბილურობის ანგარიში არის ყოველწლიური გამოცემა, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი გამოსცემს (NBG). ამ ანგარიშის მიხედვით: რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, 2022 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა უარყოფითი სესხის განაცხადების წილის ზრდა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიებისთვის. თუმცა, ეს კოეფიციენტი შემდგომში შემცირდა და დასტაბილურდა 11 პროცენტთან ახლოს 2023 წლის პირველ ნახევარში. (ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2023).



**დიაგრამა 3: უარყოფითი სესხების წილი მცირე და საშუალო ზომის კომპანიების სეგმენტში**



წყარო: ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2023 ([www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge))


მსოფლიო თეორიისა და გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია საქართველოში ტერმინის „მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტების“ მკაფიო/ცალსახა დეფინიციის შემუშავება, რომელიც იქნება საყოველთაოდ აქტუალური და დაინერგება სხვადასხვა რეგულაციაში (Katamadze, 2023).

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა (ბანკთა-შორის სესხების გარეშე) 2024 წლის აპრილში 730.66 მლნ ლარით, ანუ 1.36%-ით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით (გაცვლითი კურსის ეფექტი აღმოფხვრილია, გაიზარდა 1.66%-ით) და 2024 წლის აპრილის ბოლოსთვის 54.51 მლრდ ლარს მიაღწია. ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა გაიზარდა 435,78 მლნ ლარით (1,47%), ხოლო უცხო-



ურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა 294,88 მლნ ლარით, ანუ 1,22%-ით. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები 2024 წლის აპრილის ბოლოსათვის, კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მთლიანმა მოცულობამ 8,82 მლრდ ლარი შეადგინა (0,20 პროცენტით ნაკლები წინა თვესთან შედარებით) (Loans, n.d.). ყველა სხვა ფაქტორთან ერთად მნიშვნელოვანია ბოლო წლების სავალუტო კურსის დინამიკაც. მონეტარული პოლიტიკის ჩარჩოს მიხედვით, ეროვნული ბანკი ინარჩუნებს მცურავი გაცვლითი კურსის სისტემას, რაც ნიშნავს, რომ გაცვლითი კურსი რეგულირდება მაკროეკონომიკური ფაქტორებით, როგორცაა ბაზრის მოთხოვნა და მიწოდება. ბოლო წლების მონაცემები ჩანს დიაგრამაზე.

**დიაგრამა 4: ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან**




წყარო: (მონეტარული სტატისტიკა)

2024 წლის დასაწყისში მთლიანი ინფლაცია 3%-ზე მნიშვნელოვნად დაბალი იყო. დაბალი ინფლაციის მაჩვენებელი ასახავს არსებულ მონეტარული პოლიტიკას და ლარის ძლიერ პოზიციას. საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით, ინფლაცია 2024 წლის პირველ ნახევარში 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი იქნება, მაგრამ საბოლოო ჯამში საშუალოდ მის გარშემო იქნება. მიუხედავად იმისა, რომ იყო ხელსაყრელი ტენდენციები, ინფლაცია კვლავ საფრთხის ქვეშაა ადგილობ-

რივი და საგარეო გეოპოლიტიკური ცვლილებების გამო. საგარეო მიზეზების გარდა, მოსალოდნელზე მაღალი შიდა მოთხოვნა იზრდება ინფლაციურ ზეწოლამდე. საქართველოს ეროვნული ბანკი ამ მიზეზების გათვალისწინებით ეტაპობრივად ამსუბუქებს შემაკავებელ მონეტარულ პოლიტიკას. 2024 წლის 22 მაისს ეროვნულმა ბანკმა მხარი დაუჭირა პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას 0,25%-ით - 8,0%-მდე (მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, 2024). შემდგომში აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2016 წლიდან გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციისთვის (მათ შორის: საქონელზე ფასების განსაზღვრა ლარში, 100 000 ლარამდე კრედიტის შეზღუდვა უცხოურ ვალუტაში, კრედიტის კონვერტაციის ეროვნული პროგრამა (ფიზიკურ პირებზე) ლარში და კრედიტების მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაფიქსირება), თუმცა პრობლემები მაინც რჩება. ჩვენი აზრით, მთავრობამ ეკონომიკური ზრდის გრძელვადიან სტრატეგიაში გარკვეული კონკრეტული პროგრამები უნდა შეიტანოს და პრიორიტეტული იყოს ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია. ამ კუთხით მთავრობამ უნდა განახორციელოს კომპლექსური, ურთიერთდაკავშირებული ქმედებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტიციების ზრდა, ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა და სხვა კარგი მაჩვენებლები „ერთჯერად“, ცალკეულ და მოკლევადიან გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს ექნებოდა ყველაზე სწრაფი ეკონომიკური ზრდა საშუალოვადიან პერიოდში (2023-2028) რეგიონულ და ევროპულ ქვეყნებს შორის, 5.3%-იანი მაჩვენებლით. საქართველოს აქვს თანამშრომლობის გამოცდილება და ძლიერი მხარდაჭერა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკის ლეგიტიმურობას, რეფორმების გაგრძელების იმპულსს და დაფინანსების რისკების შემცირებას. საქართველოს საბანკო სექტორი ძლიერია, საკმარისი ლიკვიდობით, კარგი მომგებიანობითა და უმოქმედო სესხების დაბალი პროცენტით. საქართველოში სესხების მოცულობა წლების განმავლობაში მუდმივად იზრდება. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023 წ.). ფინანსური მდგომარეობის სრული სურათის გასაგებად ასევე მნიშვნელოვანია დეპოზიტების სტატისტიკა, რომელიც ნათლად აჩვენებს, რომ დეპოზიტების დინამიკა იზრდება, განსაკუთრებით ეროვნულ ვალუტაში, რაც დადებითი მაჩვენებელია. დეტალები ვალუტების მიხედვით, იხილეთ დიაგრამა:

**დიაგრამა 5: დეპოზიტები პერიოდის ბოლოსთვის, მილიარდი ლარი**



წყარო: (მონეტარული სტატისტიკა)

ბევრი მეცნიერი აღნიშნავს ბანკების მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის თანამედროვე სექტორების განვითარებაში (Kharaisvili, Gechbaia and Tsiklashvili).

როგორც ანალიზმა აჩვენა, საკრედიტო შეღავათებით ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიებმა ისარგებლეს. კვლევაში მონაწილე მცირე და საშუალო კომპანიებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სესხის გადადებამე უარის თქმის ძირითადი მიზეზი არსებული ფინანსური რეზერვები იყო, რომელიც საკმარისი იყო სესხის რამდენიმე თვის განმავლობაში უპრობლემოდ დასაფარად. Covid-19-ით გამოწვეული სირთულეების პარალელურად, ბიზნესიც გააქტიურდა, გახდა უფრო ადაპტირებული, ძლიერი, ინოვაციური და ამჟამად იწყებს მუშაობას შემოქმედებითი მიმართულებით (Katamadze & Tsiklashvili, 2024).

მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკა არის სახელმწიფო პოლიტიკისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების/პროცესების შესაბამისად განსახორციელებელი ქმედებების ერთობლიობა, დროის მკაცრი მენეჯმენტით და თანხმლები ღონისძიებების კონტროლით. ამიტომ მნიშვნელოვანია:

საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებს მაქსიმალურად დაეხმაროს სახელმწიფო და მათთვის შეთავაზებული საკრედიტო რესურსები უნდა იყოს დაბალპროცენტიანი, მოქნილი პირობებით და მარტივი პროცედურებით. ეს არის ასევე ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ფინანსურ სტაბილურობასა და კრიზისისგან დაცვას;

მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ მათ ბიზნესზე ადაპტირებული ინდივიდუალური ანტიკრიზისული სტრატეგია, გეგმა, რომელიც მოიცავს ძირითადი გამონწვევების დროს ზოგადი ბიზნეს გადანწყვეტილებების ალტერნატივებს;

სამთავრობო ინსტიტუტებს, ისევე როგორც სანარმოებს, უნდა ჰქონდეთ შემუშავებული გეგმები გაუთვალისწინებელი გარემოებებისა და კრიზისების შემთხვევებისთვის, რაც მოიცავს მონეტარული პოლიტიკას და კერძოდ ფინანსურ სექტორს.

თანამედროვე, განვითარებულ სამყაროში მოსალოდნელია ახალი ტიპის კრიზისები, რომლებიც ბუნებრივად ყალიბდება განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ერთობლიობით. ამიტომ, სტრატეგიები მუდმივად უნდა განახლდეს და მოერგოს მიმდინარე ტენდენციებს.

როგორც კი რაიმე ახალი პრობლემა და გამოწვევა გაჩნდება, ისევე როგორც სხვა ინსტიტუტებმა, კერძო ბანკებმაც უნდა ითანამშრომლონ სახელმწიფო სტრუქტურებთან უწყვეტად და ინტენსიურად. სწრაფი და ეფექტური გადანწყვეტილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნებისმიერი კრიზისის უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად.

# თავი III მცირე და საშუალო ბიზნესი: რეალობა, ტრენდი, პერსპექტივა

## 3.1. COVID-19 პანდემიის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე;

ბოლო ათწლეულში მსოფლიო ქვეყნები არაერთი ფორს-მაჟორის, კრიზისისა და გამონღვევის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ განსაკუთრებით გლობალური და დიდი გავლენის მქონე იყო COVID-19 პანდემია, რომელიც რომელიც გამონღვეული იყო ახალი კორონავირუსის SARS-CoV-2-ით. პანდემიის შედეგად მთელი მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით<sup>3</sup> ადამიანი გარდაიცვალა და ამ პროცესში მძიმე წნეხი ჰქონდა ქვეყნების ეკონომიკებს, ცალკეულ სახელმწიფო ინსტიტუციებს და განსაკუთრებით ბიზნეს სექტორს.

პანდემიის გარდა უამრავი გამონღვევა ჰქონდა მსოფლიოს, მათ შორის კლიმატის ცვლილებების კრიზისი, ლტოლვილთა და მიგრაციის კრიზისი, მიმდინარე კონფლიქტები, პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური კრიზისები, ჯანმრთელობის გამონღვევები-განსაკუთრებით ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები, ხელოვნური ინტელექტისა და კიბერუსაფრთხოების გამონღვევები. ფაქტურად ამ პრობლემების თავში მოექცა კოვიდ 19 პანდემია, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა ეს გამონღვევები. ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, საქართველომაც სწრაფად აისახება გლობალური პრობლემები და განსაკუთრებით სენსიტიურია ეკონომიკაზე გავლენა.

მეცნიერთა ნაწილი კოვიდ 19 პანდემიას განიხილავს როგორც დიდი წარუმატებლობის ჩამონათვალს, რომელმაც პრობლემები გამოიწვია როგორც ადამიანების ჯანმრთელობის მხრივ, ასევე ეკონომიკის, გლობალური ენერჯეტიკული ბაზრის, გარემოს დაცვისა და სხვა მიმართულებებით. Priya, S. S., Cuce, E., & Sudhakar, K. (2021). ფაქტია, ჩამონათვალი შეიძლება უნივერსალურად მივიჩნიოთ, იმდენად, რამდენადაც ყველა საკვანძო მიმართულებას მოიცავს. პანდემიის დაწყებიდან მოკლე დროში, მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობდა, რომ COVID-19 პანდემია გააღრმავებდა სოციალურ-ეკონომიკურ მონწყვლადობას, გაზრდიდა სხვაობას

<sup>2</sup> Coronavirus disease (COVID-19) is an infectious disease caused by the SARS-CoV-2 virus. [https://www.who.int/health-topics/coronavirus#tab=tab\\_1](https://www.who.int/health-topics/coronavirus#tab=tab_1)

<sup>3</sup> Number of COVID-19 deaths reported to WHO (cumulative total), <https://data.who.int/dashboards/covid19/deaths>

მოსახლეობის მდიდარ და ღარიბ ნაწილს შორის და ასევე გაანადგურებდა დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებს. Lenzen, M., Li, M., Malik, A., Pomponi, F., Sun, Y. Y., Wiedmann, T., ... & Yousefzadeh, M. (2020). ეს ვარაუდი რეალურად გამართლდა და ქვეყნების ნაწილი დღემდე რთულად უმკლავდება პოსტპანდემიურ კრიზისს. პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა იქ ქვეყნები, რომლებიც ძირითადად დამოკიდებული იყვნენ იმპორტზე. გლობალური სავაჭრო ურთიერთობების ცვლილება ძირითადად გამოწვეული იყო ლოგისტიკური პრობლემების გამო, ვინაიდან ძირითადად პანდემიამდე საქონლის მიწოდება დამოკიდებული იყო საერთაშორისო ლოგისტიკურ ჯაჭვებსა და ბაზრებზე, მიზეზი კი ადგილობრივი მიწოდების არასაკმარისი, არადაამაკმაყოფილებელ რაოდენობაში მდგომარეობდა. Batty, M. (2020).

კოვიდ 19-ის გავრცელების პირველ წელს პანდემიას არ უჩანდა დასასრული და ის იწვევდა სამოგადოების იმედგაცრუებას და ნდობის დაკარგვას მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკის სიდიდისა და განვითარებისა. Barua, S. (2020). მაგრამ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა 2021 წლის ბოლოდან, როცა ეკონომიკის ცალკეულ დარგებში შეინიშნებოდა მკაცრი, ამკრძალველი რეგულაციების მნიშვნელოვანი შემსუბუქება. პანდემიის პერიოდში, სწრაფად ცვალებადი რეგულაციების პირობებში, ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობების შეფასება რთული და შეუძლებელი იყო. მეცნიერთა ნაწილი, გლობალური ეკონომიკური აქტივობის შეფასებისათვის მნიშვნელოვან წინააღმდეგობად Covid-19-ის შედეგად გამოწვეული კრიზისის სწრაფად განვითარებად ბუნებას მიიჩნევს. Jackson, J. K., Weiss, M. A., Schwarzenberg, A. B., & Nelson, R. M. (2020). უპროგნოზო მდგომარეობის მიუხედავად, მეცნიერთა ნაწილს მიაჩნდა, რომ პოსტპანდემიურ მსოფლიოში, პანდემიის დასრულების შემდეგ დისკრეციული მოთხოვნა გაიზრდებოდა, ვინაიდან ადამიანები გახდებიან წინდახედულები და მსოფლიოში საცალო ვაჭრობის ბერკეტი ახალ სიმაღლეებს მიაღწევს. Bai, H. M., Zaid, A., Catrin, S., Ahmed, K., & Ahmed, A. (2020). მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პანდემიის სოციალურ-კულტურული, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი შედეგები პრიორიტეტული კვლევის საგანი უნდა იყოს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, რათა მოხდეს ახალი ცოდნის ევოლუცია, რომელიც სამომავლოდ საფუძველი იქნება დასაბუთებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებისათვის. Madeira, A., Palrão, T., & Mendes, A. S. (2020).

პანდემიამ აჩვენა სამომავლოდ ქვეყნებს თანამშრომლობის საჭიროება, გლობალური კოორდინაციის აუცილებლობა სხვადასხვა გამოწ-

ვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგალითად როგორცაა პანდემია, კლიმატის ცვლილება და სხვა. Contractor, F. J. (2021). ფაქტია პანდემიის შემდეგომ დაფიქრებასა და განსჯას საჭიროებს ისეთი საკითხები, როგორცაა პანდემია, კლიმატის ცვლილებები, ფინანსური ტურბოლენცია და სხვა. Leach, M., MacGregor, H., Scoones, I., & Wilkinson, A. (2021).

თანამედროვე მსოფლიო განვითარებისა და ახალი გამოწვევების კვალდაკვალ ხშირად გაუთვალისწინებელი, სპონტანურად აღმოცენებული პროცესების წინაშე დგება, რომელთა კლასიფიკაცია შესაძლებელია მათი ცალკეული კრიტერიუმებისა და კომპონენტების მიხედვით, თუმცა საბოლოო ჯამში ასეთი შემთხვევები მაინც ორ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ, ეს ჯგუფებია კრიზისი და ფორს-მაჟორი. ბოლო წლებში, განსაკუთრებით Covid 19 პანდემიის პერიოდში მსოფლიომ აღმოაჩინა, რომ აქამდე საკანონმდებლო აქტებში და ხელშეკრულებებში თითქოს სტანდარტული ჩანაწერი ფორს-მაჟორის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი და ხშირად ბიზნეს სუბიექტებისათვის კრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთი გამოსავალი აღმოჩნდა. მისი ინტერპრეტაცია მხარეთა შორის სწორი ეკონომიკურ-ფინანსურ-პოლიტიკური თუ სხვა ურთიერთობის რეგულირებაში განმსაზღვრელი აღმოჩნდა. კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი „ფორს-მაჟორი“ (Force majeure), მხარეებს უქმნის პირობიან თავისუფლებას ვალდებულებების შეუსრულებლობისას, კერძოდ ფორს-მაჟორის არსებობის შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებისაგან. ფორს-მაჟორის უნივერსალური განმარტება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არსებობს, ტერმინის „დაუძლეველი ძალა“ ან „ფორს-მაჟორი“ ერთმნიშვნელოვანი განმარტება, მისი დეფინიციები გაბნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმებში, თუმცა შედარებით ფართო და ამომწურავი ფორმულირება შემდეგია:

ფორს-მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოფარგლება, სტიქიური უბედურებებით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტით, ან სხვა სამხედრო მოქმედებებით, გაფიცვებით, ბლოკადით, აჯანყებით, საბოტაჟით, სამოქალაქო არეულობით, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ მხარის კონტროლს, რომელმაც ასეთი ფორსმაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ მხარეს არ შეუძლია. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ კი „დაუძლეველი ძალა“ არის სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებისგან



გათავისუფლების საფუძველი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26.06.1997) თუმცა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში ასევე გვხვდება ტერმინი ფორს-მაჟორიც. საქართველოს პარლამენტის სამოქალაქო განათლების ლექსიკონი კი ფორს-მაჟორს შემდეგნაირად განმარტავს: „გარემოება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია“. (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=6>). ბიზნეს სუბიექტები, მათი საქმიანობა და განვითარების შესაძლებლობები სრულიად მოქცეულია სახელმწიფო რეგულაციებში, რომლებიც პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პარალელურად იცვლება, ამასთანავე ფორს-მაჟორულ სიტუაციებში როგორც ბიზნესს ასევე სახელმწიფოს უხდება შემჭიდროვებულ პერიოდში გადანყვეტილებების და საგანგებო ზომების მიღება, რომელიც უნდა ემყარებოდეს სწრაფ ანალიზს, ინტუიციას და რისკს. ამ გადანყვეტილებების შედეგებზეა დამოკიდებული კონკრეტული ფორს-მაჟორული სიტუაცია დასრულდება თუ ფორსმაჟორი გადაიქცევა კრიზისად.

ზოგადად ეკონომიკური კრიზისების საინტერესო და თანმიმდევრულ კლასიფიკაციას გვთავაზობს პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი. კერძოდ, ავტორის მოსაზრებით: „ეკონომიკური კრიზისების ზოგადი თეორია ემყარება შემდეგ უმნიშვნელოვანეს პოსტულატებს. პირველი, კრიზისისათვის დამახასიათებელია გაურკვევლობა, ანუ ბიფურკაციის მდგომარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება და კერძოდ, ეკონომიკა კრიზისის დროს და განსაკუთრებით პოსტკრიზისულ პერიოდში გზაჯვარედინზე იმყოფება. მას შეუძლია იმოძრაოს განახლებისაკენ, პროგრესისაკენ, ახალი თვისობრიობისაკენ, ან გადაგვარებისა და დესტრუქციისაკენ. ბიფურკაციის მდგომარეობას ხშირად თან ახლავს ინფორმაციის შეზღუდულობა, რაც მთლიანად სისტემის ნეტროპიის მიზეზი შეიძლება გახდეს.

მეორე, კრიზისისათვის ნიშანდობლივია მოულოდნელობა, რომელიც შეიძლება წარმოშვას ინფორმაციის ნაკლებობამ ან პირიქით, ჭარბმა „საინფორმაციო ხმაურმა“. ორივე მათგანი იწვევს გადანყვეტილების მიმღები პირის ან სტრუქტურის დემორიენტაციას, მისგან გამომდინარე პანიკურ განწყობილებას ან გაუმართლებელ პასიურობას. საბოლოო ანგარიშით ყოველივე ამას მოყვება არასწორი მოქმედება ან გაუმართლებელი უმოქმედობა. მესამე, კრიზისს თან სდევს სისტემისათვის (ქვესისტემებისათვის) ზიანის მიყენების საფრთხე, რომელიც განხილული უნდა იქნეს გადანყვეტილების მიმღები ინდივიდების ან სტრუქტურების მიერ დაშვებული შეცდომების, ორგანიზაციული „ჩავარდნების“, გარემოს უს-

წრაფესი ცვლილების ურთიერთქმედებათა კანონზომიერი შედეგის სახით. მეოთხე, კრიზისი, როგორც „შესაძლებლობათა ფანჯარა“, საზოგადოებრივი განვითარების პარადიგმის ცვლილების სტიმულია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ბერძნულ ტრანსკრიფციაში კრიზისი ნიშნავს „გადაწყვეტას“ ან „შემობრუნების პუნქტს“; ლათინურში „გაყოფას“ ან „გარდატეხას“; ჩინურში ერთდროულად – „საფრთხეს“ და „შესაძლებლობას“. აღნიშნულიდან გამომდინარე, კრიზისი შეიძლება განხილული იქნეს არა მხოლოდ დამანგრეველი, არამედ შემოქმედებითი პროცესის სახითაც. ამით იგი განსხვავდება „კატასტროფისაგან“, რომელიც კრიზისის მხოლოდ დესტრუქციული კომპონენტია. მეხუთე, ეკონომიკური კრიზისები მრავალგვარია, ისევე როგორც მათი გამომწვევი ფაქტორები. ამასთანავე, ყველა ფაქტორი არ მოქმედებს ერთდროულად და თანაბარი ძალით. ეკონომიკური კრიზისის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია იმ ერთი ან რამდენიმე ფაქტორის გამოყოფა, რომელიც იწვევს კრიზისს და განსაზღვრავს მის ხასიათს“ (მექვაბიშვილი, 2012, გვ.20).

ჭოზიფე შუმპეტერს მიაჩნდა, რომ შესაძლებელია კრიზისებს იწვევდეს არა წმინდა ეკონომიკური ფაქტორები, არამედ გარე ფაქტორებით გამომწვეული ეკონომიკური პროცესების დარღვევის მდგომარეობა (Schumpeter, 2003). სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება შემდეგი თეორიებიც: ჭარბწარმოების თეორია (ჯოან რობინსონი, ფოსტერი, კეტჩინგსი, 1962), რომელიც ციკლურობას ხსნის მოხმარების დანაკლისით. გაუხარჯველობა იწვევს პროდუქციის ჭარბწარმოებას და პროვოცირებს კრიზისს, კრიზისის თავიდან აცილების საფუძველია მოხმარების სტიმულირება (Robinson, 1962). ინგლისელი ეკონომისტი დ. რიკარდო კი ზოგადად ეკონომიკური კრიზისების საფუძვლად სიმდიდრის უსამართლო განაწილებას მიიჩნევს (Ricardo, 2001).

COVID 19 პანდემია თავისი არსით ბიზნეს სუბიექტებისათვის აღმოჩნდა ფორს-მაჟორული გარემოება, ბიზნეს სუბიექტების ნაწილმა დაძლია ეს ფორს-მაჟორი, ხოლო ნაწილი მათგანისთვის ეს პროცესი გარდაიქმნა კრიზისად. მკვლევრები ლ. გრეინერი, ი. ადიზესი და სხვები კომპანიების კრიზისში შესვლის სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ყველა მათგანი ვიწროვდება ორ დიდ ჯგუფად: გარე და შიდა ფაქტორებად. გარე ფაქტორი - კომპანიისგან დამოუკიდებელი მოვლენა, რომელზეც რაიმე სახის გავლენის მოხდენა კომპანიას არ შეუძლია. გარე ფაქტორი შეიძლება იყოს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური-ეკონომიკური მდგომარეობა, ფორს მაჟორი, კონკურენცია, პროდუქციის ან მომსახურეობის მორალური ცვეთა და

სხვა... ხოლო შიდა ფაქტორი შესაძლებელია იყოს: მენეჯმენტის პრობლემა, თანამშრომელთა დაბალი კომპეტენცია, პროდუქციის-მომსახურეობის ხარისხის ცვლილება და სხვა... ზოგადად გარე და შიდა ფაქტორები მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან, ვინაიდან შიდა ფაქტორებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს გარე ფაქტორების მოქმედების გაძლიერებას და პირიქით. კრიზისის ანატომიის/კლასიფიკაციისათვის ვფიქრობთ, საინტერესო იქნება სამი მიმართულების შედარება კერძოდ, ბიზნეს სუბიექტის პოზიციიდან, საერთაშორისო ზოგადი კლასიფიკაციის შესაბამისად და სახელმწიფოს პოზიციიდან.

**ცხრილი 16: ბიზნეს სუბიექტების კრიზისების კლასიფიკაცია**

ბიზნეს სუბიექტის პოზიციიდან	ზოგადი კლასიფიკაცია	სახელმწიფოს პოზიციიდან
ზოგადი ფაქტორები: სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური: ინფლაციის ზრდა; საგადასახადო სისტემის ცვალებადობა; კანონმდებლობის ცვალებადობა; მოსახლეობის შემოსავლის კლება; უმუშევრობის ზრდა; კრიზისოვანი სიტუაცია;		
კონკურენცია / მონოპოლია	კრიზისის გარე ფაქტორი	კონკურენცია (ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედი ეკონომიკური აგენტების მეტოქეობა, რის პროცესშიც თითოეული მათგანის ქმედება ზღუდავს მეტოქის შესაძლებლობას უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე და ხელს უწყობს მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას.) - თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე პროცესია და რეგულირდება საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ (2014 წლის 21 მარტი) და მონოპოლია (ეკონომიკური აგენტის, სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე და შეზღუდოს კონკურენცია)

დაკრედიტების პოლიტიკა (მონეტარული პოლიტიკა)	კრიზისის გარე ფაქტორი	რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით. რეგულირებადი სფეროა.
მენეჯმენტი: არაფექტიანი ფინანსური მენეჯმენტი, არაფექტიანი საკადრო მენეჯმენტი,	კრიზისის გარე ფაქტორი	სახელმწიფო განსაზღვრავს კანონით მენარმეთა შესახებ მხოლოდ ბიზნეს სუბიექტების მართვის ორგანიზების სტრუქტურასა და წილოვბრივი პროპორციების განსაზღვრის ზოგად წესს.
მარკეტინგი: არასწორი ბაზრის ანალიზი, არასწორი სარეკლამო კამპანია, რეპუტაციის შელახვა,	კრიზისის გარე ფაქტორი	თავისუფალი ბაზრის პრინციპების შესაბამისი პროცესია
ვალუტის კურსი (მონეტარული პოლიტიკა)	კრიზისის გარე ფაქტორი	თავისუფალი ბაზრის პრინციპების შესაბამისი პროცესია/გაცვლითი კურსი განისაზღვრება სავალუტო ბაზრის მიერ. აღნიშნულ ბაზარზე მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში რეგულირებულ ყველა კომერციულ ბანკსა და უცხოური ბანკების ფილიალებს, რომლებსაც, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ეროვნული ბანკის მიერ მინიჭებული აქვთ მონაწილე ბანკის სტატუსი.
ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობა	კრიზისის გარე ფაქტორი	რეგულირებულია სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით მათ შორის სავადასახადო კოდექსით, კანონით მენარმეთა შესახებ, კანონით კონკურენციის შესახებ და სხვა.
ფორს მაჟორი	კრიზისის გარე ფაქტორი	სახელმწიფოს არ აქვს პროგრამები

თუ გემოაღნიშნულ ფაქტორებს კლასიფიკაციას მოვახდენთ იმის მიხედვით, ექვემდებარებიან ისინი სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, ან არ ექვემდებარება მას, მივიღებთ შემდეგ სურათს:

რეგულირებადია:

1. სახელმწიფოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა;
2. ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობა;

არარეგულირებადია:

1. ბიზნეს სუბიექტების მენეჯმენტით გამონწვეული;
2. მარკეტინგული პოლიტიკა და სტრატეგია;  
და განსაკუთრებული ფაქტორი არის ფორს-მაჟორი.

არარეგულირებადი ფაქტორების გავლენით კომპანიის კრიზისულ სიტუაციაში შესვლა, თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე, ურთიერთდაკავშირებული ქმედებების შედეგს წარმოადგენს, რომლის პრევენცია და მისი გავლენისაგან დაცვა სწორედ ბიზნეს სუბიექტის პრეროგატივა და ინტერესი უნდა იყოს. თანამედროვე საწარმოებისთვის გასული რამდენიმე წელი განსაკუთრებულად რთული და დაბრკოლებებით სავსე იყო. Covid-19-ის გავრცელებამ და შემდეგ, ომმა უკრაინაში ფუნდამენტურად შეცვალა გლობალური დღის წესრიგი და პირდაპირი გავლენა იქონია ყველა სფეროზე, განსაკუთრებით ეკონომიკის მიმართულებებზე. გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე პირდაპირი გავლენა მოახდინა ლოჯისტიკის გართულებამ, რესურსების შემცირებამ, ნედლეულის ნაკლებობამ და სხვა.

ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მცირე და საშუალო საწარმოების მუშაობაზე, როგორც საბიუჯეტო, ისე მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის. ეს სეგმენტი ასევე არის ყველაზე დიდი „დამსაქმებელი“ ჩვენს ქვეყანაში და მისი კვლევის ობიექტად შერჩევის კიდევ ერთი მიზეზი არის საქართველოს მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების მოწინავე რაოდენობა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023 წ.). „ბიზნეს სუბიექტების როლი უდიდესია ეკონომიკური კლიმატის ფორმირებაში და ხშირად ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკისთვის“ (Katamadze, G., & Abuselidze, G. 2019). ეს ფაქტორები გადაამწყვეტია ამ ინდუსტრიის ეფექტური მუშაობისთვის ახლაც და წარსულშიც საყოველთაო ლოქდაუნისა და კომპანიის მენეჯმენტისთვის გამოწვევების პირობებში. პანდემიამ ფორსმაჟორული სიტუაციები შექმნა, რომლებიც კრიზისში გადაიზარდა; კრიზისების მართვისა და აღმოფხვრის მეთოდოლოგია დახვეწილი მეთოდების გამოყენებით მისი თითოეული გამორჩეული აქტორის დადგენას და განეიტრალებას მოითხოვს. უცხოურ სამეცნიერო კვლევებში კრიზისების თემატიკას არაერთი ავტორი უთმობს ყურადღებას. გაკოტრების მოდელების კუთხით საყურადღებოა, ე. ალტმანი, კრიზისების მართვაში სახელმწიფოს როლზე – ჯ.მ კვინსი, პ. სამუელსონი, ფ. შაიევი, ი. ჰანი, ა. ჰანსენი; კრიზისების მართვა საკრედი-

ტო ინტერვენციებით – .ჭ. შუმპეტერი, რ. ბერნსი, და სხვები. ვითვალისწინებთ რა ზემოაღნიშნული ავტორების მოსაზრებებს კრიზისის შესახებ, ვფიქრობთ რომ იგი შეიძლება განვითარდეს სამი მიმართულებით, კერძოდ:

- კრიზისი გადაილახოს;
- მოხდეს კრიზისის სტაბილიზაცია;
- კრიზისმა გამოიწვიოს ბიზნეს სუბიექტის გადახდისუნარიობა/გაკოტრება და ლიკვიდაცია.

ჩვენი კვლევა ფოკუსირებულია მეორე ტიპის კრიზისის განვითარების მიმართულებაზე, კერძოდ სიტუაციაზე, როდესაც კრიზისი ბიზნესის მრდის შესაძლებლობას იძლევა. ბევრ კვლევაში მომხიბლავი იდეები გვხვდება კრიზისის, ფორსმაჟორების და ზოგადად, ეკონომიკის ბოლოდროინდელი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ. ამ კვლევებიდან ზოგიერთი კრიზისის პრობლემად განიხილავს, ზოგი კი - შესაძლებლობად (Donthu & Gustafsson, 2020). რიტერის (Ritter, T., & Pedersen, C. L. (2020) თანახმად, “ეს კრიზისი უნიკალურია მისი გლობალური მასშტაბის, ეკონომიკური გავლენისა და პოლიტიკური გავლენის თვალსაზრისით”. ნებისმიერი ბიზნეს სუბიექტის მიერ კრიზისის დროს კონკრეტული ზომების მიუღებლობა იწვევს მის გამწვავებას და, საბოლოო ჯამში, კომპანიის ლიკვიდაციას (Katamadze, 2022).

ინტერნეტზე უფრო მეტი დამოკიდებულებისა და სოციალური მედიის პლატფორმების უფრო ხშირი გამოყენების გარდა, ელექტრონული კომერცია მრავალი მიმართულებით გაიზარდა, რაც გავლენას ახდენს B2B, B2C და C2C მიმართულებებზე. საჯარო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი ფუნქციონირებას ციფრულ პლატფორმებზე აგრძელებს, ასევე კერძო სექტორმა კონკრეტული სფეროები გააციფრულეს. ეს სწრაფად განვითარებადი პროცესი კომერციულ ცხოვრებაში შეუქცევად ტენდენციად იქცა. ამ მხრივ საინტერესოა ალმეიდას, ფ. (Almeida, F.), სანტოსის, ჯ.დ. (Santos, J. D.) და მონტეიროს, ჯ.ა. (Monteiro, J. A.) (2020) მოსაზრებები ციფრული ტრანსფორმაციების შესახებ, კერძოდ: „COVID-19-მა დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაციის პროცესები არა მხოლოდ კომპანიებში, არამედ ფიზიკურ და საჯარო სუბიექტებშიც. მენეჯერებისთვის უზარმაზარი გამოწვევაა ჩაერთონ ამ ცვლილებაში, ამავდროულად, შეეცადონ ბიზნესის შენარჩუნება, განსხვავებული და გაურკვეველი მომავლის პირობებში.“ ასევე მნიშვნელოვანია მეცნიერთა ნაშრომები, რომელთა მიხედვითაც უკვე არსებობს პანდემიის ზემოქმედების შედეგები, მაგ.:




პანდემიამ განავითარა ელექტრონული კომერციის და ავტომატიზაციის სექტორები და დააჩქარა მენარმეების გადანყვეტილებები, თავიანთი ბიზნესის ინტერნეტით გაძლიერებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დისტანციურმა მუშაობამ მრავალი მუშაკისთვის შესაძლებელი გახადა სახლიდან მუშაობა, კომპანიებს საშუალება მისცა შეეცვალათ თავიანთი ორგანიზაციული მენეჯმენტი. (LUCACI, NASTASE et al, 2022). საინტერესოა პეტროვასა და ტაიროვის (Petrova, M., & Tairov, I., 2022) მოსაზრებები დიגיტიზაციისა და ჯვრიანი ტექნოლოგიების შესახებ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „ისევე როგორც ჯვრიანი გადანყვეტილების ყველა ინიციატივის მიზანია გააუმჯობესოს მოსახლეობის ცხოვრება, წარმატებისა და მდგრადობისთვის, მიდგომამ უნდა შეამციროს დაბინძურების რისკები, გაზარდოს სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა და სხვა. თუმცა, სიტუაციებიდან იმპროვიზირებული გადანყვეტილებები არის დაუფიქრებელი, სახიფათო და არაორგანიზებული. სპონტანური გადანყვეტილებები აორმაგებს კრიზისის გამომწვევი ფაქტორების გაძლიერების რისკს. კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილების ერთადერთი გზა არის პრევენციის ანტიკრიზისული სტრატეგიის შექმნა ყველა მოსალოდნელი ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კრიზისი” (Katamadze, 2022). უკეთესი იდეების არარსებობის გამო, მთავრობებმა გამოიყენეს იგივე ანტიკრიზისული ზომები კორონომიული კრიზისის დასაძლევად, რაც 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის დროს. კერძოდ, ეს ღონისძიებები მიზნად ისახავს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქებას და ბიზნესის ხელშეწყობას (PAPAVA, 2021). საქართველოში, COVID-19 პანდემიამ მკვეთრად დაამარაღა ტურისტული კომპანიები, განსაკუთრებით სასტუმროები, რომლებიც ძირითადად, საერთაშორისო ტურისტულ ნაკადებზე – შემომავალ ტურიზმზე არიან დამოკიდებულნი (Katamadze, 2021).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვის მიხედვით (II კვარტალი, 2024 წ.) 2024 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობის დონემ 14 პროცენტი შეადგინა, რაც 1.3პ.პ-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 4.0 პ.პ-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 14.4 პროცენტს (-5.3 პ.პ. წ/წ), ხოლო სოფლად - 13.5 პროცენტს (-2.0 პ.პ. წ/წ). 2024 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 55.0 პრო-

ცენტი შეადგინა. 2024 წლის პირველ კვარტალში, ქალების ჯგუფში უმუშევრობის დონემ შეადგინა 11.1 პროცენტი, ხოლო მამაკაცების ჯგუფში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 16.3 პროცენტი. 2024 წლის პირველ კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 10.2 პროცენტით, ხოლო 4.7 პროცენტული პუნქტით გაზრდილია დასაქმების დონე. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა წლიურად შემცირდა 18.1 პროცენტით. ამავე დროს, 13.2 პროცენტით გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი, რომელიც 2024 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით შეადგენს 1943.4 ლარს. (Quarterly Economic Outlook- [https://www.mof.ge/images/File/2024/Publikaciebi/02-08-2024/kvartali/2024Q2\\_ENG.pdf](https://www.mof.ge/images/File/2024/Publikaciebi/02-08-2024/kvartali/2024Q2_ENG.pdf)).

**დიაგრამა 6: დასაქმება და უმუშევრობა.**




წყარო: [www.mof.ge](http://www.mof.ge)

21-ე საუკუნეში ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ძალა ყველა ქვეყნის მაკრო დონეზე, ასევე ცალკეული კომპანიების წარმატების მიკრო დონეზე არის ქვეყნის ფინანსური განვითარების ფაქტორე-

ბი და ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში. ორივე ამ კომპონენტმა მნიშვნელობა შეიძინა კვლევისა და კონცეფციების თვალსაზრისით (Laktionova, Koval et al, 2021). საქართველოს ეკონომიკური ზრდის მონაცემები კი შემდეგნაირად გამოიყურება:

**დიაგრამა 7: ეკონომიკური ზრდა.**



წყარო: [https://www.mof.ge/mshp\\_ekonomikuri\\_zrda](https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda)

COVID-19 პანდემიის დასაწყისში აშშ დოლარი ძლიერი იყო სხვა ვალუტებთან შედარებით, როდესაც გლობალური გაურკვევლობის დონე მაღალი იყო. აშშ დოლარმა 2021 წლის დასაწყისიდან დაიწყო კურსის კლება როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში. ექსპორტის გაზრდის, შესაძლებლობების გაზრდისა და აშშ დოლარის კურსის კლების გამო, 2021 წლის აპრილში ლარმა დოლართან მიმართებაში თანდათან გაძლიერება, გამყარება დაიწყო. ცხრილში მოცემულია გაცვლითი კურსის რყევების დინამიკა 2020 წლიდან 2023 წლამდე, სადაც აშკარად ჩანს ეროვნული ვალუტის გამყარების ტენდენცია.

**ცხრილი 17: გაცვლითი კურსები**

	აშშ დოლარი/ლარი		ევრო/ლარი		რუსული რუბლი/ლარი	
	პერიოდის ბოლო	პერიოდის საშუალო	პერიოდის ბოლო	პერიოდის საშუალო	პერიოდის ბოლო	პერიოდის საშუალო
<b>2020</b>	<b>3.2766</b>	<b>3.1097</b>	<b>4.0233</b>	<b>3.5519</b>	<b>0.0440</b>	<b>0.0431</b>
I 21	3.4118	3.3142	4.0044	3.9978	0.0449	0.0445
II 21	3.1603	3.3271	3.7608	4.0077	0.0435	0.0448
III 21	3.1228	3.1204	3.6409	3.6803	0.0429	0.0425
IV 21	3.0976	3.1252	3.5040	3.5762	0.0415	0.0430
<b>2021</b>	<b>3.0976</b>	<b>3.2209</b>	<b>3.5040</b>	<b>3.8140</b>	<b>0.0415</b>	<b>0.0437</b>
I 22	3.1013	3.1136	3.4496	3.4933	0.0368	0.0363
II 22	2.9289	2.9967	3.0821	3.2000	0.0565	0.0453
III 22	2.8352	2.8235	2.7482	2.8491	0.0490	0.0472
IV 22	2.7020	2.7339	2.8844	2.7847	0.0368	0.0437
<b>2022</b>	<b>2.7020</b>	<b>2.9156</b>	<b>2.8844</b>	<b>3.0792</b>	<b>0.0368</b>	<b>0.0431</b>
I 23	2.5604	2.6366	2.7862	2.8279	0.0331	0.0362
II 23	2.6177	2.5586	2.8591	2.7862	0.0301	0.0316
III 23	2.6783	2.6215	2.8422	2.8534	0.0274	0.0279
IV 23	2.6894	2.6943	2.9753	2.8979	0.0299	0.0291
<b>2023</b>	<b>2.6894</b>	<b>2.6279</b>	<b>2.9753</b>	<b>2.8416</b>	<b>0.0299</b>	<b>0.0312</b>
I 24	2.6953	2.6713	2.9063	2.9012	0.0291	0.0294
II 24	2.8101	2.7396	3.0082	2.9493	0.0330	0.0302

ვალუტა (პერიოდის საშუალო)	2020	2021	2022	2023	I 2024	II 2024
აშშ დოლარი/ლართან (საშუალო)	3.1097	3.2209	2.9156	2.6279	2.6713	2.7396
ევრო/ლართან (საშუალო)	3.5519	3.8140	3.0792	2.8416	2.9012	2.9493

წყარო: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/92/monetary-statistics>

პროექტის ფარგლებში ჩაღრმავებული ინტერვიუ მოიცავდა ორ მნიშვნელოვან თემას კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ:

1. რა იყო ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც პანდემიამ ბიზნესს შეუქმნა? მათგან გამოიკვეთა შემდეგი:
  - გაურკვეველი რეგულაციები;
  - რეგულაციების ხშირი ცვლილებები;
  - ფინანსური ზეწოლა რეგულაციების შესასრულებლად;
  - არადივერსიფიცირებული (ბიზნეს სექტორის მიხედვით) გადანაწილებები;
  - საჭირო მასალების, საშუალებების ნაკლებობა
2. ჰქონდა თუ არა Covid-19 ეპიდემიას რაიმე სასიკეთო ეფექტი ბიზნესზე?

ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ბიზნესები ძირითადად კონცენტრირებულნი არიან ონლაინ და ელექტრონული სერვისების შექმნაზე, რაც საჭიროებს ცალკე გამოკითხვის შექმნას ბიზნესისთვის, რომელიც მოიცავდა ონლაინ კომერციის შესახებ კითხვებს.

კომუნიკაცია, ტექნოლოგია და ელექტრონული კომერცია მნიშვნელოვანი ბიზნეს ფაქტორებია პოსტპანდემიურ სამყაროში. მრავალი აგტორი აღნიშნავს ტექნოლოგიის როლს ბიზნესში, მათ შორის პანდემიამდე კვლევებში, მაგალითად: საკომუნიკაციო ტექნოლოგიამ პირდაპირი გავლენა მოახდინა ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობაზე; ამ ფაქტმა განსაზღვრა კონკურენტული უპირატესობის ორი ფუნდამენტური განზომილების კორექტირება: ღირებულების სხვაობა და უპირატესობა (Condratov, 2013).

შედეგების ანალიზმა გამოავლინა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პასუხები შემდეგ სამ კითხვაზე:

1. გაუშვებდა თუ არა კომპანია ონლაინ სერვისებს, თუ ეს არ იქნებოდა საჭირო Covid-19 პანდემიის გამო?
2. ზოგადად, გეგმავდა თუ არა ბიზნეს სუბიექტი ონლაინ სერვისების გაშვებას და თუ ასეა და როდის?
3. აპირებს თუ არა კომპანია ონლაინ სერვისების შეთავაზების შეწყვეტას COVID-19 პანდემიის დასრულების შემდეგ და მუშაობის ძველებურად გაგრძელებას?

კითხვარების დასკვნები შემდეგია:

- პირველ კითხვაზე გამოკითხულთა 48% ამბობს, რომ აუცილებლად შემოიღებდა ონლაინ სერვისებს; 31%-მა უპასუხა, რომ მათთვის ადგილზე მომხმარებელთა მომსახურება

უფრო მნიშვნელოვანი იყო; 21% ამბობს, რომ არ დანერგავდა.

- მეორე კითხვაზე გამოკითხულთა 48% აცხადებს, რომ გვემავდა მაგრამ მომავალი 3 წლის განმავლობაში; 31%-ის თანახმად სავარაუდოდ 5-7 წლის შემდეგ; 21%-ი აღნიშნავს, რომ საერთოდ არ დანერგავდა ონლაინ მითანის სერვისს.
- მესამე კითხვაზე გამოკითხულთა 100% არ აპირებს ონლაინ სერვისის სრულად გაუქმებას; 19% თანახმად, ისინი არ გააუქმებენ ონლაინ შეკვეთებს, მაგრამ პრიორიტეტს ადგილზე მომსახურებას მიანიჭებენ. ამის მიზეზი ალბათ ბიზნესის, ტურისტული ლოკაციების (ძირითადად კვების სერვისების) პოპულარიზაციაა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებს არ გააჩნიათ შიდა გაყიდვებისა და მიწოდების სისტემა, ხოლო საქალაქთაშორისო საფოსტო სერვისები აგრძელებდნენ მუშაობას ჩაკეტვის პერიოდში და იძლეოდა ბიზნესის უწყვეტობის საშუალებას. ბიზნესმა გაიღვიძა, გახდა უფრო ადაპტირებული, გამძლე, ინოვაციური და კრეატიული, დაიწყო მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის:

- დაიწყო სტრატეგიების, ამოცანების და მთელი საოპერაციო ციკლის შეფასება;
- რისკის შეფასება და კრიზისის მართვის გეგმების შემუშავება სერიოზულად იქნა მიღებული და აღარ განიხილება, როგორც ფორსმაჟორის გვერდითი ეფექტი;
- დაჩქარდა ტექნოლოგიებისა და ელექტრონული პლატფორმების დანერგვისა და გამოყენების გრძელვადიანი პროცესი;
- ახლა უფრო პრიორიტეტულია მოქნილობა და ბაზრის ადაპტაცია, ვიდრე კორპორატიული პოზიციონირება;
- თანამშრომლობისა და განაწილების ალტერნატიული მეთოდების გამოყენების მნიშვნელოვან გზებზე ფიქრი დაჩქარდა და პრიორიტეტად იქნა მიჩნეული;
- თანამშრომლების მიმართ დამოკიდებულება უფრო მგრძობიარე გახდა, უკუკავშირი კი უფრო ინტენსიური.

Covid-19-ის პანდემიის შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ბიზნესთან დავკავშირებით შემდეგი პროცესები შეინიშნება:

- პანდემიამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ონლაინ ბიზნესის განვითარება საქართველოში;



- კრიზისმა შექმნა დაჩქარებული განვითარების შესაძლებლობა;
- კრიზისი გადაიქცა შესაძლებლობად;


ბიზნესზე პანდემიის გავლენის სრული ანალიზი შესაძლებელი იქნება COVID-19 პანდემიის დასრულების ოფიციალური გამოცხადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

COVID-19 პანდემია მსოფლიო მასშტაბით ბიზნეს სუბიექტებისათვის იყო სტრესის, ადაპტაციის, მოქნილობისა და გამძლეობის ტესტი, რომელიც თავისი შინაარსითა და სირთულით უმეტესობისათვის შოკური აღმოჩნდა. მართალია პანდემიამ ბიზნესი დააყენა ფორს-მაჟორულ მდგომარეობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა ის იქცა ბევრი ბიზნესისათვის შესაძლებლობად გადაეხედა სტრატეგიას, შეეცვალა სტრუქტურა და გამხდარიყო უფრო ძლიერი. ბიზნეს სუბიექტები სწორედ პანდემიამ აიძულა დაფირებულიყვნენ როგორც ზოგად ასევე კონკრეტულ ანტიკრიზისულ სტრატეგიებზე.

ბიზნეს სუბიექტების ანტიკრიზისული სტრატეგია, არის ინდივიდუალური ხასიათის მიზნებისა და ამოცანების სისტემატიზირებული დოკუმენტი, რომელიც ბიზნესმა უნდა გამოიყენოს შესაბამის დროს მისი მდგრადობის შენარჩუნებისა და მინიმალური ზეგავლენის მიზნით. სტრატეგიები განსხვავდებიან როგორც ბიზნეს სეგმენტის სპეციფიკის, ასევე სხვა გარემო ფაქტორების მიხედვით, ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი კი თავად კრიზისის სპეციფიკაა. ბიზნეს გარემო და თავად ბიზნეს სუბიექტების ქცევა პოსტპანდემიურ პერიოდში გამოირჩევა პანდემიის პერიოდში დაკარგული მოგების ანაზღაურების სურვილით გამომდინარე ბიზნეს პროცესების აქსელერაციით, რომელიც რიგ შემთხვევაში რისკების იგნორირების ხარჯზე ხდება. ბიზნეს სუბიექტების ქცევა პოსტპანდემიურ პერიოდში არის ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი და სწორედ ამ საკითხის დეტალურმა ანალიზმა მოგვცა საშუალება სრულად შეგვეფასებინა ბიზნეს სუბიექტების მიმდინარე მდგომარეობა. სწორედ ამ მიზნით მოსახლეობის რაოდენობისა და ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის გათვალისწინებით შერჩეულ იქნა ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში მოქმედი ბიზნეს სუბიექტები, რომლებთანაც ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები, ასევე ბიზნეს სუბიექტების ნაწილს მიეწოდა კითხვარი, რომელიც ზოგადი ფონის სწორად შეფასებაში დაგვეხმარებოდა, ხოლო საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდა ასევე კომპანიის ფინანსურ მენეჯერებთან დეტალების დაზუსტება.

ბიზნესის ქცევა პოსტპანდემიურ პერიოდში, სრულად განსაზღვრა COVID-19 პანდემიის გამოცდილებამ. ბიზნესი არის უფრო ანალიტიკური, ფრთხილი და დივერსიფიცირებული, ამის საფუძველს კი ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა გვაძლევს, რომელმაც სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. ბიზნეს სუბიექტებზე პანდემიისა და პოსტპანდემიური ეფექტის კომპონენტურ ჭრილში, კომპლექსურად გასაანალიზებლად ჩაღრმავებული ინტერვიუების პარალელურად ჩატარდა ბიზნეს სუბიექტების გამოკითხვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. კვლევის მთავარი მიზანი იყო დაგვედგინა კრიზისების ძირითადი მიმართულებები და ასევე პოსტ-პანდემიურ პერიოდში კომპანიის სტრატეგიების არსებობა/სახეობები.

**ფიგურა 1: კვლევაში მონაწილე კომპანიების სეგმენტაცია/კატეგორიზაცია**



კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ძირითადი შეკითხვები ეხებოდა შემდეგ თემებს:

- ჰქონდა თუ არა კომპანიას პანდემიის პერიოდში შეჩერებული ბიზნეს საქმიანობა;
- რეგიონის ეკონომიკისა ბიზნეს სეგმენტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე გვანტერესებდა იყო თუ არა ბიზნეს სუბიექტის საქმიანობა დაკავშირებული ტურიზმთან;
- მოახდინა თუ არ ბიზნეს სუბიექტმა პანდემიის პერიოდში მომწოდებელი/მომხმარებლის ცვლილება;

- ჰქონდა თუ არა კვლევაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტებს სესხი/ფინანსური ვალდებულება და მოახდინა თუ არა მისი რესტრუქტურირაცია;
- მოახდინა თუ არა პანდემიამ შემოსავლებზე გავლენა და დაახლოებით რა პროცენტით;
- ისარგებლა თუ არა კომპანიამ სახელმწიფო სუბსიდირების/დახმარების პროგრამით; და კონკრეტულად რომელი პროგრამით;
- დაეხმარა თუ არა სახელმწიფო კომპანიას პანდემიით გამონჯვეული კრიზისის დაძლევაში;
- ჰქონდა თუ არა კომპანიას რაიმე სახის ანტიკრიზისული გეგმა;
- ჰქონდა თუ არა პანდემიას რაიმე სახის დადებითი გავლენა ბიზნესზე;
- ყველაზე მეტად რომელმა შეზღუდვამ იმოქმედა ბიზნესზე;
- ჰქონდა თუ არა ბიზნესზე ვალუტის კურსის ცვალებადობას გავლენა;
- იყო თუ არა კომპანია დამოკიდებული იმპორტულ საქონელზე;
- კოვიდ 19 პანდემიის დროს ჰქონდა თუ არა ბიზნეს სუბიექტს შეჩერებული საქმიანობა;

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილე/შერჩეული ბიზნეს სუბიექტების 63,3% არ იყო დაკავშირებული ტურიზმთან ან ზოგადად ჰორეკა სექტორთან, 69,4%-მა პანდემიის პერიოდში შეიცვალა მომხმარებელი და მომწოდებელი, ხოლო 30,6%-მა შეინარჩუნა ძველი მომწოდებლები და მომხმარებლების სტრუქტურა. აქ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ე.წ. „ლოქდაუნი“, რომლის პერიოდშიც უცხოეთიდან პრობლემური იყო სხვადასხვა საქონლის შემოტანა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილება ამ მიმართულებით ჰქონდათ ჩინეთიდან საქონლის იმპორტიორებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა პანდემიის პერიოდში საფინანსო ინსტიტუტების მიერ სესხებისა და დაკრედიტების პოლიტიკის მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილებები და თუ როგორ აისახა ეს კვლევაში მონაწილე კომპანიების საქმიანობაზე. ბიზნეს სუბიექტების 61,2%-ს პანდემიის პერიოდში აღებული ჰქონდა სასესხო ვალდებულებები სხვადასხვა ბანკებისგან და მათგან დაახლოებით 52%-მა არ მოახდინა სესხის რესტრუქტურირაცია ან ზოგადად სასესხო პირობების ცვლილება, ხო-

ლო დაახლოებით 48%-მა მოახდინა პირობების ცვლილებება, ძირითადად ეს გამოიხატა 3 დან 6 თვიანი საშელავათო პირობების დაწესებით. დამატებითი შეკითხვების დროს, ძირითად მიზეზს სესხის პირობების ცვლილებისგან თავის შეკავების კომპანიები ასახელებდა ვადის გაგრძელების ხარჯზე გაზრდილი საპროცენტო გადასახადს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე კომპანიების 63,3% არ იყო დაკავშირებული ტურიზმთან ან ზოგადად ჰორეკა სექტორთან, მაინც ამ სექტორის მონაცემებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიებში ბრუნვის შემცირების ანალიზზე. როგორც კვლევამ გამოავლინა, 50%-ზე ნაკლებით შეუმცირდა ბრუნვა გამოკითხული კომპანიების 44,9%-ს ხოლო დანარჩენ კომპანიებს ბრუნვა შეუმცირდა 55,1% ზე მეტით. როგორც კომპანიის მენეჯერები აღნიშნავენ, რესტორნებისა და კაფეების შემოსავლების მონაცემები მნიშვნელოვნად იცვლებოდა რეგულაციების ცვლილების პარალელურად. კერძოდ, ონლაინ გაყიდვებამდე (გატანის სერვისი) მათი ფინანსური მონაცემები (ბრუნვები) თითქმის იყო განულებული, ონლაინ ვაჭრობის დაშვების შემდეგ დაიწყო მნიშვნელოვანი ზრდა, ხოლო პირბადითა და ვაქცინაციის დამადასტურებელი აპლიკაციის წარდგენით რესტორნებსა და კაფეებში დაშვების შემდეგ კიდევ უფრო მოიმატა ბრუნვის მოცულობამ. ასევე ზოგადი მონაცემებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული კომპანიების 42,9%-ს არ ჰქონდა შეჩერებული ბიზნეს საქმიანობა, ხოლო 57,1%-მა შეწყვიტა ბიზნეს პროცესი.

ჩვენთვის ასევე საინტერესო იყო, კვლევაში მონაწილე კომპანიების რა ნაწილმა ისარგებლა სახელმწიფო სუბსიდირება/დახმარება/მხარდაჭერის პროგრამებით პანდემიის პერიოდში. როგორც აღმოჩნდა 46,9% ისარგებლა ამ პროგრამებით და ძირითადად ისარგებლეს საშემოსავლო გადასახადის შეღავათის პროგრამით. ამ წესის მიხედვით ასევე, ის საწარმოები, ვინც უფლებამოსილი არიან ისარგებლონ შეღავათით, მაისი-ოქტომბრის პერიოდში, ხელფასების გაცემის დროს საშემოსავლო გადასახადით: საერთოდ არ გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელთა ხელფასიც 750 ლარი ან უფრო ნაკლებია; ნაწილობრივ გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელთა ხელფასიც მეტია 750 ლარზე და არ აღემატება 1500 ლარს. ამ შემთხვევაში დარიცხულ ხელფასს აკლდება 750 ლარი და დარჩენილი თანხა იბეგრება საშემოსავლო გადასახადით [www.mof.ge](http://www.mof.ge). გამოკითხულთა დანარჩენი ნაწილი კი ასევე ასახელებს სესხებზე პროცენტის სუბსიდირებას და სესხის გადაგადებას.

კომერციულმა ბანკებმა მსესხებლებს სამთვიანი საშელავათო პერიოდი შესთავაზეს, აღნიშნული საშელავათო პერიოდის შეთავაზებულ აქციებთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვნად შეარბილა საზედამხებლო მოთხოვნები, რათა მოქალაქეებისათვის ვალდებულებათა გადავადების პროცესში ბანკებს მაქსიმალური მოქნილობა ჰქონოდათ, აღნიშნულ ინიციატივას შეუერთდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნაწილი. (<https://nbg.gov.ge/page/covid-19>).

კვლევაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტების 89,8%-მა დაადასტურა ვალუტის კურსის ცვალებადობის მნიშვნელოვანი გავლენა მათ საქმიანობაზე და მხოლოდ 10,2%-მა დააფიქსირა უარყოფითი პასუხი. დამუსტების მიზნით, დამატებით იყო დასმული შეკითხვა იმპორტ-ექსპორტთან დაკავშირებით, რომელზეც პასუხი შემდეგია: 57,1% ბიზნეს სუბიექტები არ იყო დამოკიდებული იმპორტულ საქონელზე, ხოლო 42,9% მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო იმპორტ-ექსპორტზე. საინტერესო იყო ასევე კომპანიების პოზიცია კრიზისის დაძლევაში რამდენად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, როგორც კვლევაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტების 40,8% აფიქსირებს სახელმწიფოს როლი გადამწყვეტი იყო კრიზისის დაძლევაში, კერძოდ საგადასახადო და სასესხო შეღავათებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიების ლიკვიდურობის შენარჩუნებაში, ხოლო დანარჩენს არ უსარგებლოა სახელმწიფო პროგრამებით ან ისარგებლა ნაწილობრივ. კვლევაში მონაწილე კომპანიების მხოლოდ 18,4%-ს ჰქონდა ანტიკრიზისული გეგმის მსგავსი სამოქმედო სტრატეგია, რომელიც უფრო არასისტემურ, არადოკუმენტალური ფორმის იყო და ძირითადად ალტერნატიულ მომწოდებლებსა და ბაზრებს ეხებოდა, ხოლო კომპანიების 81,6%-ს არ გააჩნია არანაირი სტრატეგია ფორს-მაჟორული ან კრიზისული სიტუაციებისათვის. კვლევაში მონაწილე სუბიექტების პასუხებით 79,6%-ისთვის პანდემიას არ ჰქონია ბიზნესზე დადებითი გავლენა, ხოლო დანარჩენი 20,4%-ის პასუხების მიხედვით პანდემიისგან კომპანიამ მიიღო დადებითი გამოცდილება, კერძოდ ონლაინ პლატფორმების განვითარება, ჰიგიენურ-სანიტარული სტანდარტების დანერგვა-გაძლიერება, უსაფრთხოების მიმართულებით ახალი სტანდარტების დანერგვა და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოვიდ-19 პანდემიის დროს ბიზნეს სუბიექტებისათვის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენი აკრძალვების პროპორცია შემდეგია: 72,4% ასახელებს „ლოქდაუნს“, ე.წ. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში „ჩაკეტვას“-გადაადგილების აკრძალვას, დანარჩენი კი ინდივიდუალურ შემლუდვებს, მაგალითად: 6,8% ტრანსპორტით გადა-

ადგილების შეზღუდვას, 4,3% ჰორეკა სექტორში ვაქცინაციის საფუძველზე შესვლას, დანარჩენი 16,5% სამუშაო სივრცეებში თანამშრომელთა რაოდენობისა და ოთახების მონყოობის შეზღუდვას.

როგორც კვლევის ამ ნაწილის შედეგებით ვნახეთ, პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის პროცესზე, მართვის სტრუქტურაზე და ზოგადად, ფუნდამენტურად მოხდა ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სტრატეგიების გადახედვა. ბიზნეს სუბიექტების უმეტესობისათვის პანდემიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ასევე იმ მიმართულებით, რომ კომპანიების მენეჯმენტი უფრო მეტად დარწმუნდა ბიზნესისათვის სწრაფი გადაწყვეტილებებისა და ანალიტიკური უნარების საჭიროებაში, ასევე ფორს-მაჟორული სიტუაციებისათვის სწრაფი, მოკლევადიანი სტრატეგიების არსებობისა და ზოგადად, ბიზნეს პროცესების მოქნილობის უდიდეს მნიშვნელობაში. მიგვაჩნია, რომ COVID-19 პანდემიამ, ყველა მის ნეგატიურ შედეგებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა მოახდინა ბიზნეს სუბიექტების განვითარებაზე, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ბიზნეს სუბიექტების მდგრადობაზე აისახება.

### **3.2. მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები და თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება;**

ბიზნესში ტექნოლოგიური განვითარება აქტიურად დღისწესრიგში COVID-19 პანდემიის პერიოდიდან დადგა. სწორედ ეს იყო ის გარდამტეხი მომენტი, როცა ბიზნესის გადარჩენა სწორედ ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციაზე იყო დამოკიდებული.

ციფრული მენეჯმენტი და ხელოვნური ინტელექტი არის პანდემიურ და პოსტპანდემიურ სამყაროში ბიზნეს პროცესების გადარჩენის, შენარჩუნებისა და განვითარების განუყოფელი ნაწილი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე განვითარების უწყვეტი პროცესების კვალდაკვალ, Covid-19-ის პანდემიამ დააჩქარა ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მენეჯმენტის პროცესები. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტები რეალური გამოწვევის წინაშე დადგნენ, რადგან ეს სეგმენტი ბიზნეს სექტორის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ეს ნაწილი მიზნად ისახავს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე გამოწვევების იდენტიფიცირებას, კერძოდ, ციფრული მენეჯმენტისა და ხელოვნური ინტელექტის როლსა და ფუნქციას პანდემი-



ისა და პოსტპანდემიის პერიოდში. პანდემიის პერიოდმა დააჩქარა ციფრული მენეჯმენტისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაცია ბიზნესში. მან გამოიწვია ციფრული ტრანსფორმაცია, ხაზი გაუსვა ციფრული მენეჯმენტისა და ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობას კორპორატიული სტაბილურობის, ეფექტურობისა და ეფექტურობის დაცვაში. პოსტპანდემიურმა ეპოქამ აჩვენა ციფრული მენეჯმენტისა და ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობა ბიზნესის სტაბილურობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაში. ბიზნესები, რომლებიც ამ ტექნოლოგიებს იყენებენ, უფრო ეფექტურები არიან, ბევრად უკეთესი აქვთ მომხმარებელთა მომსახურება, ასევე უკეთესი გადაწყვეტილებების მიღება და ბაზის მდგრადობის გაძლიერება შეუძლიათ თანამედროვე ეპოქაში.

ხელოვნური ინტელექტის, ციფრული მართვის, ელექტრონული კომერცისა და ზოგადად თანამედროვე ბიზნესის პროცესები ახლებურად, ინოვაციურად და თანამედროვედ ტრანსფორმირდა პოსტ-კოვიდურ სამყაროში. კოვიდ-19 პანდემია იყო ის, რამაც განსაკუთრებით დააჩქარა ბიზნეს სუბიექტების ამ მიმართულებით განვითარება და ამას ჰქონდა რამდენიმე მიზეზი, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

- გადაადგილებისა და თავშეყრის შეზღუდვამ ბიზნესს გაუჩინა საჭიროება თავად მისულიყო მომხმარებელამდე;
- მომხმარებლის მიერ პროდუქციისა თუ სერვისის სანახავად საჭირო იყო მისი დისტანციური მიწოდება-ჩვენება, ამან დააჩქარა ვებ-გვერდების შექმნა;
- დისტანციურმა მუშაობამ გააჩინა საჭიროება პროცესებისა და დოკუმენტბრუნვის გაციფრულების;

ეს იყო ის საკვანძო საკითხები, რამაც ბიზნეს სუბიექტები დააფიქრა ბიზნესის სწრაფ ტრანსპორმაციაზე. კრიზისი გადაიქცა ბიზნესის განვითარების შესაძლებლობად. (Katamadze&Tsiklashvili, 2024), ბიზნესის ნაწილისთვის კრიზისმა საბოლოოდ შეაჩერა მათი საქმიანობა, თუმცა ეს იყო მდგომარეობა როცა მანამდე დღის წესრიგში მდგარი საკითხი კომპანიების ანტიკრიზისული სტრატეგიების ქონის შესახებ ახლებურად ფორმირდა (Katamadze 2022). ამჟამინდელი მაკროეკონომიკული მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრა კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, რომელიც მაქსიმალურად ეფუძნებოდა მონიტორინგის საფუძველზე ბიზნესის მხარდაჭერას. მთავრობა ცდილობდა მინიმალური ყოფილიყო რეგულაციების წნეხი ბიზნესზე მიუხედავად მსოფლიოს მასშტაბით მკაცრი საერთო შეზღუდვებისა (Katamadze, G., Petrova, M., & Tsiklashvili, N. (2024). პანდე-



მიის პერიოდში ბიზნესმა გამოიღვიძა, გახდა უფრო მეტად ადაპტირებადი, მოქნილი, კრეატიული და დაინყო სხვადასხვა მიმართულებით ფიქრი და საქმიანობა (Katamadze, G., & Tsiklashvili, N. (2024). კვლევის ამ ნაწილის თეორიული ბაზისია ქართველ და უცხოელ მკვლევართა შრომები, რომელთა კლასიფიკაცია შეიძლება ორი ძირითადი კრიტერიუმით მოვასხდინოთ, კერძოდ: ნაშრომები, რომლებიც ეხება გაციფრულებას, ონლაინ ბიზნეს და ხელოვნურ ინტელექტსა და მეორე ნაწილი რომელიც ზოგადად თანამედროვე ტექნოლოგიურ-ინოვაციურ მიდგომებს განიხილავს. აღსანიშნავია შემდეგი ნაშრომები:

- Zhang, C., & Lu, Y. (2021). Study on artificial intelligence: The state of the art and future prospects. *Journal of Industrial Information Integration*, 23, 100224;
- Surden, H. (2019). Artificial intelligence and law: An overview. *Georgia State University Law Review*, 35(4);
- Loureiro, S. M. C., Guerreiro, J., & Tussyadiah, I. (2021). Artificial intelligence in business: State of the art and future research agenda. *Journal of business research*, 129, 911-926;
- Enholm, I. M., Papagiannidis, E., Mikalef, P., & Krogstie, J. (2022). Artificial intelligence and business value: A literature review. *Information Systems Frontiers*, 24(5), 1709-1734;
- Kraus, S., Durst, S., Ferreira, J. J., Veiga, P., Kailer, N., & Weinmann, A. (2022). Digital transformation in business and management research: An overview of the current status quo. *International journal of information management*, 63, 102466;
- Kharaishvili, E., Gechbaia, B., Tsiklashvili, N., & Katamadze, G. (2024). Digital transformation of the agricultural sector and its impact on productivity in Georgia. In *BIO Web of Conferences* (Vol. 114, p. 01002). EDP Sciences;
- Popova, P., Popov, V., Marinova, K., & Petrova, M. (2023, November). The Role of Digital Platforms and Big Data Analytics as a Base for Digital Service Innovation. In *2023 4th International Conference on Communications, Information, Electronic and Energy Systems (CIEES)* (pp. 1-8). IEEE;

კვლევა განხორციელდა კომპლექსურად, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი კვლევის სინთეზირების საფუძველზე. ოფიციალური ინფორმაციის სამაგიდე ანალიზისთან ერთად გამოყენებულია ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია დამუ-

შავდა კომპონენტების (სტრატეგიები, ტექნოლოგიები, შექმნა, იმპლემენტაცია, უკუკავშირები) მიხედვით, მოხდა მათი კორელაციებისა და აცდენების დადგენა. ამასთანავე თითოეული ბიზნეს სუბიექტის მიერ მონოდებული ინფორმაცია შედარებულ იქნება მსგავსი მახასიათებლების მქონე კომპანიების მონაცემებთან, რომლის მიზანი იყო ზოგადი ტენდენციების დადგენა. ამასთანავე კვლევის თეორიული ჩარჩოს განსაზღვრისათვის ჩატარდა სამაგიდე კვლევა და საბოლოოდ მიღებული შედეგები შედარებულია ოფიციალურ მონაცემებსა და ტენდენციებთან. ინტერვიუსათვის ბიზნეს სუბიექტების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ა) ბიზნეს სუბიექტის საქმიანობის დაწყების პერიოდი (Covid-19 პანდემიამდე მინიმუმ 2 წელი); ბ) ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის არეალი (საქართველოს სხვადასხვა ქალაქები); გ) ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სეგმენტების მრავალფეროვნება; ჩვენს მიერ შერჩეული ბიზნეს სუბიექტების სეგმენტები მოიცავდა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითად მიმართულებებს.

დისტანციური მუშაობა, ციფრული პლატფორმები ხარჯების დაზოგვისა და ეფექტიანობის ამაღლების საშუალება გახდა. პლატფორმები ზუმი, თიმსი, სკაიპი და მესენჯერ ჩატები, ბიზნეს პროცესის მართვის განუყოფელი ნაწილი გახდა. ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ იცვლება სამუშაო გარემო, მუშაობის განრიგი, დატვირთულობა და ზოგადად დასაქმებულისა და შესასრულებელი სამუშაოს ურთიერთმიმართების სპეციფიკა. ხელოვნური ინტელექტის ფართოდ პოპულარიზაცია და მისი პრაქტიკული გამოყენება ბევრ კითხვას აჩენს, რომელმაც პასუხის გაცემა პირდაპირპროპორციულად დამოკიდებულია ხელოვნური ინტელექტის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხზე, ინტენსიურობასა და მოცულობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის (AI) „მომიერი გამოყენება“, „მცირედი გამოყენება“, „სამაგალითოდ გამოყენება“ ან „სპეციფიკური მიზნებით გამოყენება“ შეიძლება იყოს სასარგებლო და პოზიტიური ეფექტის მქონე დროის მართვისა და დაზოგვის თვალსაზრისით, თუმცა ის ასევე წარმოადგენს გარკვეულ რისკებსა და გამოწვევებს, რომლის დროული ანალიზი და მასზე დისკუსია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ ცხოვრებაში. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია დღითიდღე ძლიერდება და ვითარდება, ასევე ძლიერდება ის მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სფეროში შესაძლებელია არაკეთილსინდისიერად იქნას გამოყენებული. ორიგინალური კონტენტის ავტომატიზირებული გენერირების შესაძლებლობა აქრობს შემოქმედებით უნ-

არს. პლაგიატის აღმოჩენის ალგორითმების დასამარცხებლად თანამედროვე მსოფლიოს დიდი შრომა მოუწევს ინტენსიური ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად. ტექნოლოგიური წინსვლა და განვითარება აუმჯობესებს სამუშაოს შესრულების ხარისხს, თუმცა არსებობს დარგები სადაც თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება ქმნის რისკებს სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც ეხება: ორიგინალურობას, ავთენტურობას, ადამიანური ფაქტორის უგულებელყოფას და ა.შ... აქამდე კომპანიები იყენებდნენ ციფრულ პლატფორმებს, თუმცა ეს იყო სპეციალიზირებული აპლიკაციები და სოფთვეარები, რომელიც კონკრეტული მიმართულებით გამოიყენებოდა, მაგალითად, ბუქინგი, სარეზერვაციო სისტემები, კვების ობიექტებში მენიუს კალკულაციის პროგრამა და ა.შ., თუმცა პანდემიამ განაპირობა პროგრამებისა და აპლიკაციების გაფართოება და მათი შესაძლებლობები უნდა ყოფილიყო უფრო მულტიფუნქციური, მაგ: თუ ადრე მხოლოდ ონლაინ კატალოგები არსებობდა და მენიუები, ახლა უკვე ამ პროგრამებმა დაჯაგშნისა და დაკვეთის, გადახდის მრავალფეროვანი საშუალებების, ასევე ადგილზე მითანის თრეინინგის ფუნქციებიც დაიმტა. ამან განაპირობა გარე ახალი სამუშაო ძალების დამატების აუცილებლობა მითანის სერვისის თანამშრომელთა სახით, თუმცა თავად კომპანიებში დასაქმებულთა კვალიფიკაციისა და უნარების განსხვავებული მოთხოვნები გაჩნდა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობას და ზოგჯერ სპეციალურ IT უნარებსაც კი მოითხოვს.

● **ოფიციალური, სახელმწიფო სტატისტიკა**

ვიდრე უშუალოდ ჩვენს მიერ ემპირიული კვლევის შედეგებს წარმოვადგენთ, საინტერესოა იმ ინფორმაციის გაცნობა, რაც სახელმწიფო ოფიციალურ სტრუქტურებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, გააჩნია. ჩვენ მოვიძიეთ ოთხი მიმართულებით ინფორმაცია, კერძოდ:

- 1). საწარმოთა მიერ ხელმოწერილი ინტელექტის გამოწყენების შესახებ ინფორმაცია (მიზნობრიობა);
- 2). საწარმოთა მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების განაწილება წარმომავლობის მიხედვით;
- 3). საწარმოთა წილი, სადაც დასაქმებულები არიან ICT სპეციალისტები;
- 4). საწარმოთა წილი, რომლებიც ეწეოდნენ საქონლის/მომსახურების ვებ გაყიდვებს;

**ცხრილი N18: საწარმოთა მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების განაწილება მიზნების მიხედვით**

<b>საწარმოთა მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების განაწილება მიზნების მიხედვით</b>				
<b>მიზანი</b>	<b>2020</b>	<b>2021</b>	<b>2022</b>	<b>2023</b>
მარკეტინგის და გაყიდვებისთვის	34.8%	24.4%	22.9%	29.9%
წარმოების პროცესებისთვის	19.2%	13.8%	12.4%	16.1%
ბიზნეს ადმინისტრირების პროცესების ორგანიზებისთვის	11.0%	6.8%	15.1%	12.2%
საწარმოების მართვისთვის	12.5%	15.6%	11.0%	5.4%
ლოჯისტიკისთვის	3.4%	5.9%	19.0%	9.0%
ICT უსაფრთხოებისთვის	10.7%	18.0%	10.9%	12.3%
ადამიანური რესურსების მართვისა ან რეკრუტირებისთვის	8.4%	15.4%	8.7%	15.1%
<b>სულ</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>

წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

როგორც ოფიციალურ მონაცემებში ვხედავთ, ხელოვნულ ინტელექტს ბოლო წლების განმავლობაში ძირითადად იყენებენ მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულებით, ხოლო შემდეგ არის წარმოების პროცესებისათვის და ადამიანური რესურსების მართვისა და რეკრუტირებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლოჯისტიკის მიმართულებით ხელოვნური ინტელექტის გამოყენება 2020 წლიდან გაზრდილია თითქმის სამჯერ. ასევე საინტერესო ციფრებია საწარმოების მართვის მიზნობრიობით გამოყენებით 2020 წელს 12,5% დან 2023 წელს 5,4% მდე შემცირება. როგორც ამ სტატისტიკაში ვხედავთ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მრავალმხრივია საწარმოებში და ყოველწლიურად მისი გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი მატულობს. ასევე მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის იმპლემენტაციის პრაქტიკა, კერძოდ თუ როგორ ხდება მისი შექმნა/დანერგვა კონკრეტულ კომპანიებში. სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

**ცხრილი N19: საწარმოთა მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების განაწილება წარმომავლობის მიხედვით**

<b>საწარმოთა მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების განაწილება წარმომავლობის მიხედვით</b>				
<b>წარმომავლობა</b>	<b>2020</b>	<b>2021</b>	<b>2022</b>	<b>2023</b>
საწარმოს თანამშრომლებმა შექმნეს	29.0%	25.1%	16.8%	16.9%
კომერციული პროგრამული უზრუნველყოფა ან სისტემები მოდიფიცირებულ იქნა საწარმოს თანამშრომლების მიერ	13.0%	9.7%	8.4%	21.3%
ღია სანჯისი კოდის პროგრამული უზრუნველყოფა ან სისტემები, რომლებიც შეცვალეს საწარმოს თანამშრომლებმა	9.2%	5.2%	9.4%	18.6%
შეიძინეთ გამოსაყენებლად მზა კომერციული პროგრამული უზრუნველყოფა ან სისტემები	27.6%	36.8%	44.2%	25.6%
კომპანიის გარე მომწოდებლებთან გაფორმდა ხელშეკრულება მათ შესამუშავებლად ან შესაცვლელად	21.2%	23.2%	21.1%	17.5%
<b>სულ</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>

წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

როგორც მონაცემებით ვხედავთ, საწარმოების 25,6% შეიძინა მზა პროგრამული უზრუნველყოფა, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს საწარმოს თანამშრომლების მიერ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას-16,9%. დანარჩენ პროცენტულობას აუთსორსინგი ან პროგრამული უზრუნველყოფის საწარმოს მიერ მოდიფიცირება ავსებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოთა წილი, სადაც დასაქმებულები არიან ICT სპეციალისტები ძირითადად არის მსხვილი საწარმოები 55,9%-ით, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებში მათი მონაცემები შემდეგია: მცირე საწარმოების-3,3%-ში, ხოლო საშუალო საწარმოების 29,4%-ში. შესაბამისად არსებობს ვარაუდი, რომ ძირითადად მსხვილ საწარმოებში იქმნება ხელოვნური ინტელექტის პროგრამული უზრუნველყოფა, ან ხდება მისი მოდიფიცირება. ხელოვნური ინტელექტის მონაცემების ანალიზის პარალელურად მნიშვნელოვანია ასევე განვიხილოთ საწარმოები, რომლებიც ეწეოდნენ პანდემიისა და პოსტპანდემიურ პერიოდში საქონლის ან მომსახურების ვებ გაყიდვებს. ამ მიმართულებით ოფიციალური სტატისტიკა შემდეგია:

**ცხრილი N20: სანარმოთა წილი, რომლებიც ეწეოდნენ საქონლის/მომსახურების ვებ გაყიდვებს, %**

<b>სანარმოთა წილი, რომლებიც ეწეოდნენ საქონლის/მომსახურების ვებ გაყიდვებს, %</b>					
		2020	2021	2022	2023
<b>სულ</b>	სანარმოს ვებ საიტით ან აპლიკაციებით (ექსტრანეტის ჩათვლით)	3.0%	2.7%	2.9%	3.1%
	ელექტრონული კომერციის ბაზრის ვებ საიტებით ან აპლიკაციებით, რომლებსაც რამდენიმე სანარმო იყენებს საქონლის ან მომსახურების გაყიდვის მიზნით (მაგ. MyMarket.ge, Wishlist.ge, Vendoo.ge, My.ge, Procurement.gov.ge, Booking.com, hotels.com, eBay, Amazon, Amazon Business, Alibaba და ა.შ.)	1.1%	1.9%	1.9%	1.7%
	არ ჰქონია	96.8%	96.0%	96.2%	96.2%
<b>მათ შორის:</b>					
<b>მცირე</b>	სანარმოს ვებ საიტით ან აპლიკაციებით (ექსტრანეტის ჩათვლით)	2.7%	2.4%	2.5%	2.7%
	ელექტრონული კომერციის ბაზრის ვებ საიტებით ან აპლიკაციებით, რომლებსაც რამდენიმე სანარმო იყენებს საქონლის ან მომსახურების გაყიდვის მიზნით (მაგ. MyMarket.ge, Wishlist.ge, Vendoo.ge, My.ge, Procurement.gov.ge, Booking.com, hotels.com, eBay, Amazon, Amazon Business, Alibaba და ა.შ.)	0.9%	1.8%	1.7%	1.6%
	არ ჰქონია	97.0%	96.3%	96.5%	96.6%
<b>საშუალო</b>	სანარმოს ვებ საიტით ან აპლიკაციებით (ექსტრანეტის ჩათვლით)	8.8%	7.8%	12.0%	11.2%
	ელექტრონული კომერციის ბაზრის ვებ საიტებით ან აპლიკაციებით, რომლებსაც რამდენიმე სანარმო იყენებს საქონლის ან მომსახურების გაყიდვის მიზნით (მაგ. MyMarket.ge, Wishlist.ge, Vendoo.ge, My.ge, Procurement.gov.ge, Booking.com, hotels.com, eBay, Amazon, Amazon Business, Alibaba და ა.შ.)	3.1%	3.9%	6.7%	4.9%
	არ ჰქონია	90.6%	90.5%	86.5%	87.3%

<b>მსხვილი</b>	საწარმოს ვებ საიტით ან აპლიკაციებით (ექსტრანეტის ჩათვლით)	14.9%	18.0%	22.1%	22.2%
	ელექტრონული კომერციის ბაზრის ვებ საიტებით ან აპლიკაციებით, რომლებსაც რამდენიმე საწარმო იყენებს საქონლის ან მომსახურების გაყიდვის მიზნით (მაგ. MyMarket.ge, Wishlist.ge, Vendoo.ge, My.ge, Procurement.gov.ge, Booking.com, hotels.com, eBay, Amazon, Amazon Business, Alibaba და ა.შ.)	6.6%	8.4%	8.5%	12.1%
	არ ჰქონია	84.0%	80.6%	76.8%	75.7%
<b>შენიშვნა:</b> პროცენტული მაჩვენებელი გაანგარიშებულია მხოლოდ იმ საწარმოებისთვის, რომელთაც შესაბამის პერიოდში ჰქონდათ ინტერნეტთან წვდომა.					

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi>

როგორც ვხედავთ მცირე და საშუალო საწარმოების ჯამში 13,9% ახდენს საქონლისა და მომსახურების **საკუთარი ვებ გვერდით ან აპლიკაციით** გაყიდვას, ხოლო მსხვილი საწარმოების 22,2%. ჯამურად მთლიანად ბიზნეს სუბიექტების **36,1%** ახდენს საქონლისა და მომსახურების **საკუთარი ვებ გვერდითა და აპლიკაციით** გაყიდვას. მცირე და საშუალო საწარმოების 6,5% ახდენს საქონლისა და მომსახურების რეალიზებას ელექტრონული კომერციის ბაზრის ვებ საიტებით ან აპლიკაციებით, რომლებსაც რამდენიმე საწარმო იყენებს საქონლის ან მომსახურების გაყიდვის მიზნით (მაგ. MyMarket.ge, Wishlist.ge, Vendoo.ge, My.ge, Procurement.gov.ge, Booking.com, hotels.com, eBay, Amazon, Amazon Business, Alibaba და ა.შ.), ხოლო მსხვილი ბიზნესის წილი აქ 12,1%-ია. ჯამურად **18,6%** იყენებს ელექტრონული კომერციის ბაზრის საერთო ვებ ვერდებს.

- **ემპირიული კვლევა, მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებთან** ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებში მონაწილეობდა საქართველოში მოქმედი, სხვადასხვა სეგმენტის, მცირე და საშუალო



ბიზნეს სუბიექტები, ჯამში 29 კომპანია და კვლევის მიზანი იყო სამი საკითხის დადგენა:


- 1) ბოლო წლებში კომპანიამ შეცვალა თუ არა მართვის მიმართულებით სტრატეგია და ბოლო წლებში რომელი ციფრული ან ონლაინ პლატფორმები დანერგა კომპანიამ მართვის მიმართულებით?
- 2) რა პერსპექტივას ხედავს კომპანია სამომავლოდ AI დანერგვის მიმართულებით?

კვლევის მიზნების სპექციფიკურობიდან გამომდინარე კვლევაში მონაწილეობა მიიღო როგორც კომპანიის მენეჯერებმა, ასევე მისმა დამფუძნებლებმა და ფინანსურმა სტაფმა. ჩვენს შეკითხვებზე მიღებულია მნიშვნელოვანი პასუხები, რომელთა გაზიარებამდე გვსურს ზოგადი, დამატებითი კითხვების პასუხების წარმოდგენა, სრული სურათის წარმოსადგენად. ზოგადი ინტერესის საგანს წარმოადგენდა პანდემიის დადგომამდე ჰქონდა თუ არა კომპანიას რაიმე სახის ანტიკრიზისული გეგმა. როგორც გამოკითხვის შედეგებით აღმოჩნდა, კომპანიების მხოლოდ 18,4%-ს ჰქონდა ანტიკრიზისული გეგმის მსგავსი სამოქმედო სტრატეგია. კომპანიების 81,6% არ გააჩნია არანაირი სტრატეგია ფორს-მაჟორული ან კრიზისული სიტუაციებისათვის.


ასევე, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დამატებითი შეკითხვის სახით საინტერესო იყო ჩვენთვის კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში რომელმა შეზღუდვამ მოახდინა ნეგატიური გავლენა ბიზნესზე?

კვლევაში მონაწილე კომპანიების 72,4% ასახელებს „ლოქდაუნს“, ე.წ. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში „ჩაკეტვას“-გადაადგილების აკრძალვას. დანარჩენი კი ინდივიდუალურ შეზღუდვებს, მაგალითად: 6,8% ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვას, 4,3% ჰორეკა სექტორში ვაქცინაციის საფუძველზე შესვლას, დანარჩენი 16,5% სამუშაო სივრცეებში თანამშრომელთა რაოდენობისა და ოთახების მოწყობის შეზღუდვას.

ყველაზე უფრო რომელმა შეზღუდვამ იმოქმედა ბიზნესზე?



ჰქონდა თუ არა კომპანიას რაიმე სახის ანტიკრიზისული გეგმა?



რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს საკვლევ კითხვებზე პასუხებს:

**1. ბოლო წლებში კომპანიამ შეცვალა თუ არა მართვის მიმართულებით სტრატეგია? და რომელი ციფრული ან ონლაინ პლატფორმები დანერგა კომპანიამ მართვის მიმართულებით?**

**ონლაინ კომუნიკაცია.** კომპანიების უმეტესობა მართვის სტრატეგიაში ძირითად ცვლილებად ონლაინ ინსტრუმენტების დამატებას ასახელებს, კერძოდ კომპანიების უმეტესობას შექმნილი აქვს სოციალური ქსელების ჩატები, სადაც ხდება მიმდინარე საკითხების დასმა და განხილვა. როგორც მენეჯერები და თანამშრომლები ამბობენ, კოვიდის პერიოდში მოხდა ძირითადად ონლაინ ინსტრუმენტების დამატება, თუმცა პანდემიის შემზუდვების ამონურვის შემდეგაც აქტიურად იყენებენ გუნდებისა და ცალკეული დავალების მართვის-კონტროლის საშუალებად ონლაინ ინსტრუმენტებს (ჩატები (ძირითადად messenger, whats up, viber) და ასევე ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე ვიდეო ზარებისათვის zoom პლატფორმას. ამ ყველაფერმა განაპირობა მართვის სტრატეგიის ცვლილება, მაგალითად: თუ მანამდე კომპანიაში კვირის კონკრეტული დღე არსებობდა დიდი თათბირისათვის, ხოლო ყოველდღიურად დილის თათბირი ტარდებოდა მიმდინარე დავალებების მისაღებად, ახლა ყოველდღიური თათბირების უმეტესობა ჩაანაცვლა ონლაინ, დისტანციურმა კომუნიკაციამ. ასევე ბიზნესში გეგმები გახდა უფრო გრძელვადიანი, კერძოდ, გაყიდვების მიმართულებით ონლაინ ცხრილებისა და გეგმების განთავსებამ შეამცირა ყოველდღიური განხილვების საჭი-

როება და თასქების შესრულების თრექინგიც გამარტივებულია ონლაინ ინფორმაციის მარტივი ხელმისაწვდომობის ხარჯზე. ასევე რეალური, პირისპირ შეხვედრების შემცირებით მოხდა დროის დაზოგვა და ზოგადი მიმდინარე საოფისე ხარჯების შემცირებაც (ელექტროენერგია, საკანცელარიო მასალები და სხვა).

**გაციფრულება.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიების უმეტესობა დადებითად ახასიათებს გაციფრულებასაც, კერძოდ მენიუები, პროდუქციის (ნაშთების) ჩამონათვალები, საქმისწარმოების დოკუმენტები, ზოგადად, ბაინდერებში არსებული ინფორმაცია და ა.შ. ხელმისაწვდომია დაუყოვნებლივ და ამცირებს გადანყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებულ დროს. აქვე გაციფრულების ნაწილში ასახელებენ ონლაინ სისტემების დანერგვასაც როგორც არის ჯავშნების მიღება, მომხმარებელთა უკუკავშირის მიღება და ა.შ. ასევე ონლაინ კატალოგების არსებობის მნიშვნელოვან პოზიტიურ მხარედ დასახელდა ადამიანური რესურსი დაზოგვა, რომელიც საჭირო იყო დახლებზე პროდუქციის განახლებისათვის და ასევე მნიშვნელოვანია ინვენტარის შემცირების ნაწილში. ციფრული მონაცემები ასევე საშუალებას იძლევა მარტივად, სხვადასხვა დორის ჭრილში განისაზღვროს ყველაზე გაყიდვადი პროდუქტის ან მომსახურების კატეგორია, რომელიც მნიშვნელოვანი ანალიტიკური მონაცემია ფასდაკლებების კატეგორიების განსასაზღვრად. ეს ახდენს ბიზნეს პროცესების მაქსიმალურ ოპტიმიზაციას რაც პირდაპირ ისახება კომპანიის ეფექტიანობისა და ეფექტურობის ზრდაზე. ფაქტიურად გაციფრულებისა და ონლაინ პლატფორმების ინტეგრირებამ ფუნდამენტურად შეცვალა ბიზნესს პროცესები და მართვის სტრატეგიები.

## **2. რა პერსპექტივას ხედავს კომპანია სამომავლოდ AI დანერგვის მიმართულებით?**

კომპანიის წარმომადგენელთა მოსაზრებით, უპირველეს ყოვლისა AI-ს კომპანიაში დანერგვა პირდაპირ თანხვედრაშია თანამედროვე ბიზნესისა და ბაზრის გამოწვევებთან, ნიშნავს პროგრესს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის იმიჯსა და რეპუტაციაზე და აქვს კონკურენტულ გარემოში უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობა.

ასევე კომპანიების მოსაზრებით, AI-ს მეშვეობით ავტომატიზირებული, სტანდარტიზირებული, ერთგვაროვანი პროცესების დანერგვით შენარჩუნდება ხარისხი, შემცირდება გაუაზრებელი, მექანიკური, ადამიანური ფაქტორით უნებლიე შეცდომები, რაც დაზოგავს ადამიანურ რესურსს, დროს და ხარჯებს. AI ამარტივებს საჭირო მონაცემების დამუშავებას და

ინფორმაციის მოძიებებს, ასევე შესაძლებელია ალტერნატიული ვერსიების განხილვა და მზა SWOT ანალიზის გენერირება. ასევე მნიშვნელოვანია კლიენტთან კომუნიკაციის ნაწილში მისი სისწრაფე, ერთიანი სტანდარტის პასუხების გაცემა, მუშაობაში ეფექტიანობის ერთი დონე, ემოციური ფაქტორის არ არსებობა რთულ კლიენტებთან კომუნიკაციის დროს და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია მომხმარებლების ინტერესის ანალიზში დახმარება და მათთვის საინტერესო კატეგორიების პროდუქციის, სერვისის, მომსახურების შეთავაზება, რაც თანამედროვე გაყიდვებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ეფექტიურად AI ციფრული მართვის ძირითადი შემადგენელი, მენეჯერის ფუნქციის (დაგეგმვა, ორგანიზება, ლიდერობა და კონტროლი) განხორციელების ეფექტური TOOL და თანამედროვე ბიზნესის მდგრად განვითარებაში მნიშვნელოვანი კომპონენტი ხდება, თუმცა არსებობს ამ მიმართულებით გამოწვევები რომელიც ეხება მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის და პროგრამული უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსების ხელმისაწვდომობას.

აქცე მნიშვნელოვანი მონაცემებია ასევე ოფიციალურად მიწოდებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურზე თუ რომელ პერიოდში, რომელი კატეგორიების საწარმოები იძენდნენ ტექნიკას და ტექნოლოგიებს, რომელიც მნიშვნელოვანი დასკვნების საშუალებას იძლევა ამ მიმართულებით. იხ. ცხრილი N4

**ცხრილი 21: საწარმოთა განაწილება შეძენილი ტექნოლოგიის კატეგორიების მიხედვით**

		2020	2021	2022	2023
სულ	დაფუძნებული მხოლოდ იგივე ან გაუმჯობესებულ ტექნოლოგიაზე, რაც უკვე გამოიყენებოდა მანამდე საწარმოში	5.6%	5.8%	5.8%	10.1%
	დაფუძნებული მხოლოდ ახალ ტექნოლოგიაზე, რომელიც არ გამოიყენებოდა მანამდე საწარმოში	1.5%	1.0%	1.4%	1.9%
	დაფუძნებული ორივე ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიაზე	2.7%	2.2%	3.3%	4.5%
	არ შეუძენიათ	90.3%	91.1%	89.6%	83.5%
	<b>სულ</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>

მათ შორის:					
მცირე	დაფუძნებული მხოლოდ იგივე ან გაუმჯობესებულ ტექნოლოგიაზე, რაც უკვე გამოიყენებოდა მანამდე სანარმოში	5.1%	5.4%	5.4%	9.7%
	დაფუძნებული მხოლოდ ახალ ტექნოლოგიაზე, რომელიც არ გამოიყენებოდა მანამდე სანარმოში	1.4%	0.9%	1.3%	1.8%
	დაფუძნებული ორივე ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიაზე	2.4%	1.9%	3.0%	4.1%
	არ შეუძენიათ	91.1%	91.8%	90.4%	84.4%
	<b>სულ</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>
საშუალო	დაფუძნებული მხოლოდ იგივე ან გაუმჯობესებულ ტექნოლოგიაზე, რაც უკვე გამოიყენებოდა მანამდე სანარმოში	17.9%	15.3%	17.2%	22.4%
	დაფუძნებული მხოლოდ ახალ ტექნოლოგიაზე, რომელიც არ გამოიყენებოდა მანამდე სანარმოში	3.0%	3.1%	4.3%	2.9%
	დაფუძნებული ორივე ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიაზე	9.1%	9.3%	12.1%	13.3%
	არ შეუძენიათ	70.0%	72.4%	66.5%	61.4%
	<b>სულ</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>
მსხვილი	დაფუძნებული მხოლოდ იგივე ან გაუმჯობესებულ ტექნოლოგიაზე, რაც უკვე გამოიყენებოდა მანამდე სანარმოში	25.4%	23.4%	24.2%	25.0%
	დაფუძნებული მხოლოდ ახალ ტექნოლოგიაზე, რომელიც არ გამოიყენებოდა მანამდე სანარმოში	...	...	...	...
	დაფუძნებული ორივე ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიაზე	...	...	...	...
	არ შეუძენიათ	53.4%	54.2%	54.7%	47.3%
	<b>სულ</b>	<b>78.9%</b>	<b>77.6%</b>	<b>78.9%</b>	<b>72.3%</b>

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba>

როგორც მონაცემებზე ვხედავთ ბოლო ორი წლის განმავლობაში ყველა კატეგორიის ბიზნეს სუბიექტი (მცირე, საშუალო და მსხვილი) იძენენ ახალ ტექნიკასა ტექნოლოგიებს. 2020 წლიდან 2023 წლამდე პერიოდში ჯამურად, ყველა ბიზნეს სუბიექტების მონაცემების გათვალისწინებით, დაფიქსირდა თითქმის 7%-იანი ზრდა ტექნიკისა და ტექნოლოგიების შე-

ძენის თვალსაზრისით. განსაკუთრებით პოზიტიურია ის მონაცემი, რომ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებს აქვს დადებითი დინამიკა, კერძოდ: მცირეს-6%-იანი, საშუალოს-5.1%-იანი, ხოლო მსხვილ ბიზნეს სუბიექტებს 7.4% ოდენობით. აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო ზომის ბიზნეს სუბიექტები ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ მაღალი საპროცენტო მოცულობით (2020-17.9; 2021-15.3%; 2022-17.2%; 2023-22.4%) იძენენ ან აუმჯობესებენ ტექნოლოგიებს. თანამედროვე განვითარების კვალდაკვალ ეს დინამიკა საკმაოდ დამაიმედებელია ქართული კომპანიების ტექნოლოგიური ტრანსპორმაციის პროგრამების მიმართულებით.

საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტები, ისევე როგორც თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ბიზნესები, ანალოგიური გამოწვევების წინაშე დააყენა ბოლო წლების კრიზისებმა (კოვიდ-19 პანდემია, ომები და ა.შ.) და განსაკუთრებით ეს ინტენსიური იყო ონლაინ სერვისებისა და ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით. ჩვენი კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ ქართული კომპანიებიც თანამედროვე განვითარების კვალდაკვალ აძლიერებენ ტექნოლოგიურ მიმართულებებს და ბოლო წლების განმავლობაში ეს ტენდენცია მზარდია. ასევე გაზრდილია ამ მიმართულებით კვლევების მოცულობა და სახელმწიფოს ინტერესი. ძლიერი ბიზნეს სუბიექტები სახელმწიფოს ეკონომიკის მდგრადობის საფუძველია და სწორედ ამიტომ, კერძო და საჯარო სექტორის ინტერესები ბიზნესის მდგრადობასთან დაკავშირებით იკვეთება. გაზრდილია ასევე მკველვართა ინტერესი ამ საკითხებისადმი და სულ უფრო მეტ ნაშრომს ვხვდებით ტექნოლოგიურ პროგრესთან დაკავშირებით. ელექტრონული კომერციის ხელშეწყობისკენ მნიშვნელოვანი წინგადადგული ნაბიჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ, 2000 წლის 8 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/31/EC დირექტივის ელექტრონული კომერციის შესახებ, შესაბამისად USAID-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში შემუშავდა საქართველოს კანონი „ელექტრონული კომერციის შესახებ“, რომელიც ძალაშია 2023 წლის 13 ივნისიდან. კანონის მოქმედება ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ მენარმეზე, აგრეთვე უცხო ქვეყნის სამენარმეო საზოგადოების ფილიალზე. კანონის მიზანია საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების თავისუფალი გადაადგილებით უზრუნველყოფით შიდა ბაზრის სათანადოდ ფუნქციონირების ხელშეწყობა, ელექტრონული კომერციის პროცესში მომხმარებელთა უფლებების დაცვა, შუალედური მომსახურების მიმწოდებელთა უფლებებისა



და მოვალეობების განსაზღვრა და ზოგადი მონიტორინგის ვალდებულების დაწესებისგან მათი დაცვა. (საქართველოს კანონი ელექტრონული კომერციის შესახებ, 13.06.2023).

ამრიგად:

საქართველოში ბიზნეს სუბიექტები, ბოლო წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ხელოვნულ ინტელექტს ძირითადად იყენებენ მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულებით. ისინი ძირითადად ყიდულობენ მზა პროგრამულ უზრუნველყოფას და ამ საწარმოების უმეტესობა არის მსხვილი საწარმოები. ხოლო მცირე და საშუალო საწარმოები ტენოლოგიურ ნაწილში იყენებენ ძირითადად ელექტრონულ კომერციის საიტებს და მათი მხოლოდ 6,5% ახდენს საქონლისა და მომსახურების რეალიზებას ამ გზით;

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც, ბიზნეს სუბიექტები აქტიურად არიან ჩართული ციფრულ სამყაროში, რაც აუცილებელს ხდის მათი ხედვების, სტრატეგიების, გეგმების შესაბამისობას თანამედროვე გამოწვევებთან, ამიტომაც შესაძლებელია უფრო და უფრო კომპანიების დიდ ნაწილს დასჭირდეს ბიზნეს სტრატეგიების ცვლილება და ბიზნეს მოდელის თანამედროვე ტენდენციებთან ადაპტირება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიები იყვენენ თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი უნარებით აღჭურვილნი, რომ მართივად შეძლონ კომპანიების სტრატეგიების ტრანსფორმირება და თანამედროვე ბიზნეს პროცესებთან ადაპტირება;

მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების მხარდაჭერა თანამედროვე ტექნოლოგიების იმპლემენტაციისათვის საჭირო რესურსების მიმართულებით. სასურველია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები, რომელიც მათ თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად ინფრასტრუქტურის შექმნაში დაეხმარება, ეს შესაძლებელი იყოს საგრანტო პროგრამები ან იაფი სესხის შესაძლებლობა;

კომპანიების ბიზნეს მოდელების ტრანსფორმაციისა და ინფრასტრუქტურის გამართვის პარალელურად, მნიშვნელოვანია ბიზნეს სუბიექტებმა ასევე იზრუნონ თანამშრომელთა ციფრული უნარების გაძლიერებასა და მათი სათანადო ცოდნით აღჭურვაზე, ვინაიდან თანამედროვე ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიური პროგრესი საჭიროებს მათ სათანადო მართვასა და გამოყენებას.

ბოლო წლებში საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების მიერ ტექნოლოგიების და ტექნიკის შეძენის პოზიტიური დინამიკა გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ სამივე კატეგორიის ბიზნეს სუბიექტები (მცირე, საშუალო და მსხვილი) მაქსიმალურად ორიენტირებული არიან



თანამედროვე ბაზრისა და ბიზნეს გარემოს გამოწვევებზე და ისინი არ ჩამორჩებიან ტექნოლოგიურ პროგრესს, შესაბამისად ეს მათ კონკურენტუნარიანობას ზრდის და მდგრადობის პროგნოზირების საფუძველს ქმნის.

ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტის ბიზნესში ინტეგრირება და ონლაინ სერვისების დახვეწა თანამედროვე ბიზნეს კომპანიების უმთავრესი გამოწვევა იქნება და ამ მიმართულებით რესურსების მობილიზება ბიზნეს სუბიექტების მზარდ და უწყვეტ პროცესად გადაიქცევა.



**Giorgi Katamadze**

**THE CRISIS OF SMALL AND MEDIUM BUSINESS  
SUBJECTS AND ITS PREVENTION IN  
THE POST-PANDEMIC PERIOD IN GEORGIA**

The Publishing Board of Batumi Shota Rustaveli State University reviewed the bilingual (Georgian-English) monograph "The Crisis of Small and Medium Business Subjects and its Prevention in the Post-Pandemic Period in Georgia" as of 19/11/2024, prepared by Giorgi Katamadze - Assistant Professor at Batumi State University within the framework of Research Grants for young scientists supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia [No YS-22-548, "The Crisis of Small and Medium Business Subjects and its Prevention in the Post-Pandemic Period in Georgia"] and proved that the content of the work complies with the standards. Therefore, the publishing house supports its publication (protocol N MES 4 24 0001492999).

**Author:** **Giorgi Katamadze**, Doctor of Business Administration,  
Assistant Professor,  
Batumi Shota Rustaveli State University,  
Faculty of Economics and Business

**Editor:** **Natela Tsiklashvili**, Doctor of Economics,  
Professor,  
Batumi Shota Rustaveli State University,  
Dean of the Faculty of Economics and Business

**Reviewer:** **Badri Gechbaia**, Doctor of Economics, Professor  
**Reviewer:** **Giorgi Abuselidze**, Doctor of Economics, Professor  
**Reviewer:** **Mariana Petrova**, Professor at D. Tsenov Academy  
of Economics, Svishtov, Bulgaria.

**Technical Editor:** **Maia Bolkvadze**, Doctor of Philology

**Designer:** **Kakha Makharashvili**



**Acknowledgement:** „*This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, (SRNSFG) Grant number YS-22-548, Project title - “The crisis of small and medium business subjects and its prevention in the post-pandemic period in Georgia “.*

ISBN 978-9941-9930-5-3



PUBLISHING HOUSE  
**SAMSHOBLO**

TBILISI, ROBAKIDZE ave. 7, T. 551 95 31 90

## ACKNOWLEDGMENT

Small and medium-sized businesses in Georgia have been the subject of extensive research for decades since the transition to a market economy. However, despite the huge number of studies, there is no clear definition of the term – small and medium-sized business. In addition to the comprehensive analysis of business subjects' activities, this work offers a new, research-based definition of the term.

**The research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, (SRNSFG) Grant number YS-22-548; project title –“The Crisis of Small and Medium Business Subjects and its Prevention in the Post-Pandemic Period in Georgia“.**

I would like to express my special thanks to the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia for the greatest opportunity for scientific advancement in Georgia, dissemination Georgian researchers' works internationally and especially, for supporting young scientists. I feel grateful to each member of the foundation who has helped with the project implementation process.

Very special thanks to Professor **Natela Tsiklashvili** - my mentor and the editor of the monograph for insightful recommendations and support, for sharing her rich scientific-practical experience and providing interesting materials.

Thanks to my consultants and reviewers - Professor **Giorgi Abuselidze** and Professor **Badri Gechbaia**, who were supporting me throughout the entire period of the project and providing valuable advice and recommendations.

Special thanks to Professor **Mariana Petrova** - my foreign consultant, whose advice significantly expanded the practical part of the research and contributed greatly to the project's success.

Thanks to the translator, technical editor, proofreader, my colleagues from the Faculty of Economics and Business to the administration of Batumi Shota Rustaveli State University for their support throughout this period.

Thanks to the managers, accountants and financial managers of the companies that participated in the study for their time and honesty spent on interviews and questionnaires during the field work, whose responses had a significant impact on the study's outcomes and conclusions.

Many thanks to my family and friends who supported and encouraged me during the project period.

The research of small and medium-sized businesses continues in a variety of areas, so I would like to express my gratitude to the reader in advance for being loyal to the technical flaws and minor inaccuracies in the work.

Sincerely,  
The author

## TABLE OF CONTENTS

<b>Chapter I. Business Entities: the Essence and Institutional Structure -----</b>	<b>139</b>
1.1 SMEs in Georgia: Legal Framework, Local and International Practice; -----	139
1.2 Issues of Tax Regulation of Business Entities in Georgia; -----	151
<b>Chapter II. Challenges of SMEs in Post-Pandemic Georgia -----</b>	<b>164</b>
2.1 SMEs and State Policy during the Pandemic and Post-Pandemic Periods; -----	164
2.2 SMEs and Challenges of Banking Policy during the Pandemic and Post-Pandemic Periods; -----	191
<b>Chapter III. SMEs: Reality, Trends, Perspectives -----</b>	<b>204</b>
3.1 The Impact of Covid-19 Pandemic on SMEs; -----	204
3.2 SMEs and Modern Technological Development. -----	221



# INTRODUCTION

Modern world economies face a great number of challenges to cope with as they perform economic activities of unprecedented scales, some of which often turn into problems. The inspiration for this research arose from two concepts – challenge and problem, their identification and in some cases, analysis of the process of transforming such challenges into the force-majeure, as well as the identification of strategies to overcome them.

Disruptions in the business operating cycle, force-majeure, crises and the cases of complete paralysis are the subject of our complex research, which frequently appears to be a variety of business cycle stress tests and represents valuable scientific material for future research.

The Covid-19 pandemic has been and continues to be the most expensive, demanding and long-lasting stress test of the contemporary world, which a huge number of business entities have struggled to overcome, and many of them are still grappling with this challenge.

During and after the pandemic period, Georgian government, international organizations, financial institutions, public organizations and others played critical roles in ensuring the smooth business operations. The relevance of our research stems from this complex, diverse anti-crisis measures in various domains, as well as the study of approaches, being entirely based on empirical research using interdisciplinary methodology.

The research aims to identify:

- what has the greatest negative impact on the business?
- whether the business was able to cope with it and how?
- whether the business was ready for the force-majeure situation?
- what role the government played in these situations?

what kind of positive experience and innovative approaches did business entities gain from the pandemic; what are those preventive mechanisms to be developed by the business to overcome such force-majeure situations.

Why small and medium-sized business entities?!

Covid-19 pandemic has completely changed the world's, having a direct impact on all areas, particularly the economy. The performance of economic activities of small and medium-sized business entities in Georgia has a significant impact on the country's budget revenue and economic stability (Ministry of Finance of Georgia, 2023). Herewith, this segment is the largest employer in the

country. Another reason for selecting small and medium-sized business entities as a research object is their prevailing number in the business registry of Georgia (National Statistical Service of Georgia, 2023). These are the very reasons for the proper operation of this segment of business and their maintenance was vital for the country in terms of lockdown and complicated business administration.

As of May 5, 2023, the director of the World Health Organization declared<sup>1</sup> the end of the Covid-19 pandemic and this is what raises the significance of our research, as comprehensive research of business entities during and after the pandemic is critical for the sustainable economic development of the country, as well as for planning and implementation of effective anti-pandemic measures.

The goals of the research include:

1. analyzing the business “behavior” during the crisis and its strategies (both spontaneous and planned approaches);
2. studying the decisions made by the state institutions in regard to the crisis during the Covid-19 pandemic and their consequences;
3. analyzing the effects of state interventions/regulations on small and medium-sized businesses implemented during the Covid-19 pandemic;
4. identifying and defining the anatomy of the business crisis in Georgia during the Covid-19 pandemic and the ways to prevent it.

Based on the goals of the research, we set the following objectives:

- ✓ to analyze (case study) of individual cases of crises of business entities;
- ✓ to analyze the decisions made by the state institutions and classify them based on areas, severity of restrictions and enforcement/control mechanisms;
- ✓ to study the impact of state regulations on business in terms of revenues and administration;
- ✓ to develop the methods of planning the anti-crisis strategies by defining the new typology, characteristics and the specifics of the crisis during the Covid-19 pandemic.

Crisis is an integral part of various processes and relationships; in this context, the crisis is not only a factor for identifying the problem, but also for its processing. In other words, the crisis is not a negative event; it never disappears,

---

<sup>1</sup> <https://www.who.int/news-room/speeches/item/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing—5-may-2023>

it transforms into a new opportunity; it is a key factor for development. Based on the research goals, the theoretical framework is completely built on the institutional analysis approach, where the research methodology was defined as follows:

**“Case Study”** - In the process of research the case-study method was applied – the study of each certain case of business entity crisis during Covid-19 pandemic, representing not only an evaluative record or description of a certain crisis, but a complete informational material, providing an opportunity to conduct a thorough analysis of the situation.

**Statistical Analysis** – Different statistical data of various periods during Covid-19 pandemic, obtained from the National Statistics Office of Georgia were analyzed, defining/determining the dynamics and trends.

**Comparative method** – was applied for comparative analysis of data existing in the similar categories, during Covid-19 pandemic, in order to define the tendencies of a certain component.

**Component analysis** – was applied for classification of the cases according to the components (e.g. the impacts of exchange rate, of competition, the factor of business location). Evaluation of impacts of these factors on business and defining of their role and place in causing the crisis.

**The Analysis of the official documents** – include the analysis and classification of the official data, documentation, decisions made by the state departments during COVID-19 pandemic.

In the research process, various business entities' cases were analyzed; the cases were selected based on the following criteria:

- A. The starting point of the business entity's activity (at least 2 years before Covid-19 pandemic);
- B. The area of activity of business entities (different cities of Georgia);
- C. The diversity of business entities' activity segments;

# CHAPTER I. BUSINESS ENTITIES – THE ESSENCE AND INSTITUTIONAL STRUCTURE

## 1.1. SMEs in Georgia: Legal Framework, Local and International Practice.

Modern social-economic-political processes have been recently exposed to continuous challenges globally, changing the political agenda of international relations between countries, and influencing economic relations where the major actor is business entities. Business is the key contributor to the economic development and state budget; for this very reason the proper regulation of the related processes is important for the state to ensure the sustainability and continuity of business entities' activities.

